ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

# სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები

# III (VIII)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2018

**BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY**

**NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

# THE QUESTIONS OF SOUTHERN-WESTERN GEORGIA HISTORY AND ARCHEOLOGY

# III (VIII)

Publishing House
«Batumi Shota Rustaveli State University»
Batumi − 2018

**БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ШОТА РУСТАВЕЛИ**

**ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

# ВОПРОСЫ ИСТОРИИ И АРХЕОЛОГИИ ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

## III (VIII)

Издательство
«Батумский государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2018

UDC (უაკ) 94(479.22)
ს-249

კრებულში წარმოდგენილი სტატიები ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებს. მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშს, რეცენზიებს, ანოტაციებს ახალ წიგნებზე და სხვა საკითხებს. კრებული საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტ-ისტორიკოსთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

**მთავარი რედაქტორი:** **ბიჭიკო დიასამიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
**Editor-In-Chief:** **Bichiko Diasamidze**
Doctor of Historical Sciences

**პასუხისმგებელი რედაქტორი:** **ოლეგ ჯიბაშვილი**
ისტორიის დოქტორი
**Responsible Editor:** **Oleg Jibashvili**
PhD in History

**რეცენზენტები:** **სულხან კუპრაშვილი**
ისტორიის დოქტორი
**ირაკლი ბარამიძე**
ისტორიის დოქტორი

**Reviewers:** **Sulkhan Kuprashvili**
PhD in History
**Irakli baramidze**
PhD in History

ISSN 1987-524X
© "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" – 2018

## სარჩევი – Contents


**ისტორია, არქეოლოგია**
**History, Archeology**

**ბიჭიკო დიასამიძე** – საქართველოს ხელისუფალთა ღონისძიებანი დამპყრობთაგან ქვეყნის გადასარჩენად XV საუკუნის მეორე ნახევარში 7

**Bichiko Diasamidze** – The Events of the Georgian Authorities from the Invaders to Save the Country in the Second Half of the XVth Century 23

**ირინე ვარშალომიძე** – თამარ მეფის მონეტები ციხისძირიდან 24

**Irine Varshalomidze** – Coins of the King Tamar from Tsikhisdzri 27

**გიორგი თავამაიშვილი** – ისევ „ქარონის ობოლის“ წესის შესახებ 29

**Giorgi Tavamaishvili** – Once Again on "Caron's Obol" 95

**ოთარ თურმანიძე** – უცხოელების ახალშენები საქართველოში 96

**OtarTurmanidze** – Foreigners’ Settlements in Georgia 128

**თამარ მაჭუტაძე, მერაბ მეგრელიშვილი** – საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრთა 1917 წლის წერილები (აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული მასალების მიხედვით) 129

**Tamar Matchutadze, Merab Megrelishvili** – Letters of Members of the Georgian National Committee of Independence for 1917 (According to the Materials Protected by the State Archives of Adjara) 142

**უჩა ოქროპირიძე** – დაპაუზებული ისტორია, ანუ ქმნა მართლისა სამართლისა... (ნაწილი მეორე) 143

**Ucha Okropiridze** – Paused History, Hence Doing Fair Justice (Second Part) 150

**ოლეგ ჯიბაშვილი –** XIX საუკუნის კლარჯეთის ისტორიიდან 151

**Oleg Jibashvili** – From the History of Klarjeti in the XIX$^{th}$ Century 160

## სამეცნიერო ანგარიშები
## Scientific Reports

**ბიჭიკო დიასამიძე, ოლეგ ჯიბაშვილი** – ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2017 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 161

## რეცენზიები – Reviews

**მერაბ მეგრელიშვილი** – რეცენზია წიგნზე – „ხასან თხილაიშვილი – კაცი, რომელიც ლეგენდად იქცა“, ავტორ-შემდგენლი ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უჩა ოქროპირიძე 208

## ახალი წიგნები – New Books

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2018 წელს გამოცემული წიგნები 212

## ქრონიკა – Chronicles

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2018 წელს ჩატარებული ღონისძიებები 215

**ავტორები – Authors** 218

ბიჭიკო დიასამიძე

# საქართველოს ხელისუფალთა ღონისძიებანი დამპყრობთაგან ქვეყნის გადასარჩენად XV საუკუნის მეორე ნახევარში

შესავალი

საქართველო, ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე უძველესი ქვეყანა, რომელზეც გადიოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი მთავარი გზები, მუდამ იქცევდა დიდ იმპერიათა ყურადღებას და, ნებსით თუ უნებლიეთ, მას მსოფლიო მოვლენათა ეპიცენტრში აქცევდა. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მის სამეურნეო-კულტურულ დაწინაურებას, მსოფლიო მიღწევათა სწრაფ ათვისებას და მასში საკუთარი წვლილის შეტანასაც, მაგრამ იგივე მიზეზი ხდებოდა მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხშირი ცვლისა. ეს პროცესი გრძელდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე და ქართველ ხალხს ბრძოლა უხდებოდა და უხდება მსოფლიოს უძლიერეს იმპერიებთან. იყო გამარჯვებაც და მარცხიც, მაგრამ, რაც მთავარია, იყო ქართველობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ურყევი რწმენა. ჩვენს წინაპრებს ყოველთვის გააზრებული ჰქონდათ ბრძოლის უპირველესი მიზანი: არა ერთეული, ცალკეული ბრძოლის მოგება, არამედ სახელმწი-

ფოებრიობის, ქართველობის შენარჩუნება და ამის გარანტიას ქვეყნის გაერთიანებაში ხედავდნენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამას ვერ ახერხებდნენ. ერთი ასეთი ხანგრძლივი ხანა იყო ჩვენს ისტორიაში გვიანი შუა საუკუნეები – XV-XVIII საუკუნეები, როცა სამეფო-სამთავროებად დაყოფილ ქვეყანას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უხდებოდა ძლიერ მუსლიმანურ იმპერიებთან – ოსმალეთთან და ირანთან. ამჯერად, ჩვენს მიზანს შეადგენს წარმოვადგინოთ XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები და ვაჩვენოთ ქართველ მეფე-მთავართა მიერ გადადგმული ნაბიჯები ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხის ასაცილებლად.

XV საუკუნეს საქართველო თათარ- მონღოლებთან და თემურ ლენგის მომთაბარე ურდოებთან ხანგრძლივი ბრძოლებით დასუსტებული შეხვდა. დაპყრობათა მძიმე შედეგები განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, დამპყრობელთა ბატონობის ხანგრძლივობამ და დაპყრობის ველურმა მეთოდებმა. მომთაბარე დამპყრობთა საუკუნოვანი ბატონობის მთავარი და ამავე დროს ყველაზე მძიმე შედეგი იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლის საფუძვლების მომზადება. თუ ეკონომიკური ზარალი, რაგინდ დიდიც იყოს, შეიძლება შედარებით მოკლე დროში აღდგეს, სოციალურ ურთიერთობაში ფეხმოკიდებული დარღვევები ძალიან ძნელად ისპობა. დამპყრობლებთან ბრძოლაში საქართველომ დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ მან გამოამჟღავნა უზომო სიცოცხლისუნარიანობაც, გადარჩა, როგორც ერი და სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ნგრევის სისასტიკე და შინაარსი ერთნაირი იყო საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯან, ირანი), დამპყრობლებმა ის რაც ვერ შეძლეს საქართველოში, წარმატებით განახორციელეს სომხეთსა და აზერბაიჯანში. იქ მათ მოახერხეს მეჯოგურ-მომთაბარული მეურნეობის ფართო და-

ნერგვით თანდათან გამოედევნათ ან ასიმილაცია ეყოთ ადგილობრივ მფლობელთა კლასისათვის. იქ ფიზიკურადაც შეიცვალა ფეოდალთა ძირითადი შემადგენლობა, გაბატონდა ჩამორჩენილი აღმოსავლური მიწის მფლობელობა, რამაც საბოლოოდ შესაფერისი პოლიტიკური ფორმები (სახანოები) წარმოშვა. საქართველოში ასე არ მოხდა და ამის მთავარი საფუძველი იყო მისი სრულყოფილი და მყარი ფეოდალური მიწისმფლობელობა და მაღალი სამეურნეო კულტურა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო, მეზობლებისგან განსხვავებით, ყველაზე გვიან განიცდიდა დამპყრობთა შემოსევებს. სანამ მტერი საქართველოს საზღვრებთან მოაღწევდა, ბრძოლებით უნდა გაევლო შუა აზიის, ირანის, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიები, რაც შედარებით ასუსტებდა მის ძალებს **(გაბაშვილი,1958:103-104)**, იგი იძულებული იყო შერიგებოდა საქართველოს სახელმწიფოს არსებობას და დასჯერებოდა მის ვასალურ დამოკიდებულებას. ასე რომ, XV საუკუნეს საქართველო ხვდებოდა თუმცა დასუსტებულ-დაზარალებული, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც მშვიდობიანი დრო სჭირდებოდა ხელახალი აღორძინებისათვის.

საქართველოს ისტორიის XIV- XVI საუკუნეების ამ მონაკვეთის შესწავლის მიზნით არა ერთი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი **(მამისთვალიშვილი, 1981; გაბაშვილი, 1954; სვანიძე, 1971; რეხვიაშვილი, 1989; ცინცაძე, 1956; ჟუჟუნაძე, 1970; ...)**, რომლებშიც შესწავლილია საქართველოს, მისი ცალკეული რეგიონების, მე-16 საუკუნიდან სამეფო-სამთავროებად ჩამოყალიბებული „საქართველოების“ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა და მათი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ნაშრომის შესრულებისას გამოვიყენეთ როგორც გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, ისე ქართული და უცხოური წყაროები, რომლებიც ქართულ ენაზეა თარგმნილი.

## საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის მოშლისა და საგარეო საფრთხის ზრდის ტენდენციები XV საუკუნის მეორე ნახევარში და ღონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად

მართალია, XV საუკუნის ათიანი წლებიდან, ალექსანდრე I-ის გამეფებიდან (1412- 1442 წწ.), ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა და წართმეული ტერიტორიების დაბრუნებასა და აღმშენებლობას მიექცა მთავარი ყურადღება, შედარებით გაუმჯობესდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ კვლავ რთული რჩებოდა ქვეყნის საგარეო პირობები. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებთან ერთიანდებოდნენ და ძლიერდებოდნენ ირანული მოდგმის ტომები, რომლებიც ხშირად აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებს სულ უფრო უახლოვდებოდნენ ოსმალო დამპყრობლები. ოსმალებმა დალაშქრეს ბალკანეთის ქვეყნები სერბია და ბულგარეთი და საფრთხე შეუქმნეს ცენტრალურ ევროპას. 1453 წელს აიღეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი, 1461 წელს კი საქართველოს მოსაზღვრე ტრაპიზონის იმპერია. 1475 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ყირიმი და შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ აქციეს. ასე, რომ საქართველოს მოსაზღვრედ სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან აღმოჩნდა ოსმალეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ისევ ქართველი მეფე-მთავრების დახმარებით, 1502 წლიდან ცალკეული ირანული ტომების გაერთიანებით, ირანის სახელმწიფო. XVI საუკუნის დასაწყისში „შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი“ **(გაბაშვილი, 1958: 61-62).**

საქართველოს გარშემო შექმნილ ასეთ რთულ ვითარებას ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დაქუცმაცებული შეხვდა (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები ბაგრატიონებით სათა-

ვეში და სამცხის სამთავრო, რომელსაც ჯაყელები მართავდნენ), ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა და იგი გაპირობებული იყო ქვეყანაში რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და მის ირგვლივ შექმნილი ურთულესი საგარეო პირობებით. თუმცა თითოეულ პოლიტიკურ ერთეულს კარგად ჰქონდა გააზრებული მოსალოდნელი საფრთხე და არ სცნობდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლის ფაქტს. განსაკუთრებით ეს ეხება ქართლის მეფე კონსტანტინე მეორეს, რომელიც წლების მანძილზე იბრძოდა ქვეყნის ერთიანობის აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ, 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა სცნო ქვეყნის პოლიტიკური დაშლის ფაქტი მეფის დაიმედებით, რომ „ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“ **(სინ, 1973:86).** მალე, 1491-1492 წლებში მეფეებმა და სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ხელი მაწერეს საზავო ხელშეკრულებას და სახელმწიფო საზღვრები დააწესეს **(ჯავახიშვილი,...:150-151).** ქვეყნის ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცება ამით არ დამთავრებულა. სამეფოებში ჩამოყალიბდა ძლიერი საერისთავოები, კერძოდ, ქართლის სამეფოში: ქსნის, არაგვის, საამილახვარო, საციციანო და საბარათიანო; კახეთის სამეფოში – ჩოლოყაშვილების სათავადო; სამცხე-საათაბაგოში – შალიკაშვილებისა. იმერეთის სამეფოში სამეგრელოსა და გურიის მმართველებს XVI საუკუნის შუა წლებში ნახევრად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი. მიუხედავად ამისა, თითოეულ პოლიტიკურ ერთეულს კარგად ესმოდა ურთიერთმხარდაჭერის მნიშვნელობა და გართულებული საგარეო პირობების შემთხვევაში საიმედო მოკავშირის ძიების აუცილებლობა. ეს კარგად ჩანს, ჯერ კიდევ საქართველოს ერთიანობის ხანაში, ალექსანდრე პირველის (დიდი) მეფობისას (1412-1442 წწ.) გადადგმული ნაბიჯით. როცა ოსმალთა დაპყრობებით შეშფოთებულმა რომის პაპმა მოუწოდა ქრისტიანულ სამყაროს გაერთიანებისკენ და 1438-1439

წლებში იტალიის ქალაქებში ფერარასა და ფლორენციაში მოიწვა საეკლესიო კრება, მოსალოდნელი საშიშროების გათვალისწინებით, საქართველოს წარმომადგენლებსაც მიუღიათ მონაწილეობა კრების მუშაობაში. კრებაზე გაგზავნილი ყოფილა სამი პირი: ორი სასულიერო – თბილელი ეპისკოპოსები გრიგოლი და იოანე და აგრეთვე გამოჩენილი სამოქალაქო პირი **(ჟუჟუნაძე, 1970:72),** მაგრამ როცა დარწმუნებულან, რომ რომის პაპისგან რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა საქართველო და უნიით ილახებოდა მართლმადიდებელთა ინტერესები, ხელი არ მოუწერიათ კრების დადგენილებისთვის **(მთავარეპისკოპოსი..., 1998:248-249).** იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში „კალმასობა“ დაცული აქვს ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე დამსწრე ქართველ ეპისკოპოსთა შესახებ. მისი ცნობით, საქართველოდან კრებაზე დამსწრე ახტალელ ეპისკოპოს დანიელსა და თავად ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს ხელი არ მოუწერიათ კრების დადგენილებაზე, „ხოლო იმერეთის ეპისკოპოსმან იაკობ შემოქმედელმან მოაწერა ხელი“ **(იოანე...,1991:350; ჯაფარიძე, 2003:294).** თუ ეს ცნობა რეალურია, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოში მეტად იგრძნობოდა ოსმალთაგან საშიშროება და ამიტომ მოაწერა ხელი იაკობ შემოქმედელმა? ასე იყო თუ ისე, ამ კონფერენციას შედეგი არ მოყოლია და უკან დაბრუნებულმა აღმოსავლეთის იმ ეპისკოპოსებმა და პატრიარქებმაც, რომლებმაც უნიას მოაწერეს ხელი, უარი თქვეს მის შესრულებაზე. ამ კრებამ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ის როლი მაინც ითამაშა, რომ მისი ოქმის სახით ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობა XV საუკუნეში მსოფლიო ეკლესიათა რიგში (დიპტიხში) საქართველოს ეკლესიის მეექვსე ადგილისა და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მეხუთე ადგილის შესახებ, იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ **(ჯაფარიძე, 2003:291-292).**

მართალია, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა, მაგრამ მასში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა იმის მაჩვენებელია, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ იმ დროის მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და გრძნობდნენ მოახლოებულ საშიშროებას. ამის საფუძველს იძლეოდა 1299 წელს მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წარმოშობილი თურქ-ოსმალთა სახელმწიფოს აგრესიული ნაბიჯები, ირანის ტერიტორიაზე შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოების წარმოშობა და მათი პირველი შემოსევები საქართველოზე, მაგრამ გიორგი VIII მმართველობის წლებში (1446-1466) აშკარა გახდა საქართველოს ერთიანობის დაშლის გარდუვალობა. ეს ტენდენცია ვერ შეაჩერა ვერც 1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ და 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის გაუქმებამ. ევროპის ქვეყნები კი, რომის პაპის მოწოდებით, ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობისთვის იწყებდნენ მზადებას და მტრის ძალების დაქსაქსვის მიზნით, მასში აღმოსავლეთის ქვეყნების მონაწილეობაც იყო გათვალისწინებული. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1456 წელს რომის პაპმა კალიკსტო მესამემ აღმოსავლეთში გამოგზავნა მასთან დაახლოებული პირი, გამოცდილი დიპლომატი ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელიც შეხვდა ქართველ მეფემთავრებს და მოახერხა მათი დროებითი შერიგება ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველებს, დიდი ავტორიტეტის გამო, იგი პატრიარქად აურჩევიათ **(თამარაშვილი, 1902:57).** პაპთან სასურველი ინფორმაციის ჩატანის შემდეგ, ლუდოვიკოს აღმოსავლეთში გამომგზავრებამდე, პაპი გარდაიცვალა, რამაც შეაყოვნა მისი პაპის წერილებით უკან გამომგზავრება, მაგრამ 1458 წელს ახალმა პაპმა პიო მეორემ იგივე მისიით ლუდოვიკო გამოგზავნა აღმოსავლეთში. მართალია, ჩვენთვის უცნობია პაპის

წერილების შინაარსი, რადგან ისინი ჯერ კიდევ მიგნებული არ არის, მაგრამ სამცხის მთავრის ყვარყვარეს და მეფე გიორგის საპასუხო წერილებია შემონახული ბურგუნდიის მთავრისადმი და ისინი ცხადს ხდიან პაპის წერილების შინაარსსაც. რამდენადაც ამ წერილებში ერთნაირი ცნობებია დაცული იმდროის საქართველოს შესახებ, ჩვენი აზრით, საინტერესო და დამახასიათებელ ადგილებს მოვიტანთ სამცხის მთავრის ყვარყვარეს წერილიდან. იგი წერს: „შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიანე მთავრებსა, და გადავსწყვიტე, მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორთაც დავპირდი ჩვენს ბატონ პატრიარქს. თვით მევე უნდა წავუძღვე ჩემს 20 000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ...ხოლო კავშირი ვყავით: მე, გიორგი სპარსეთის (კახეთის-ბ. დ.) მეფემ, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორმა, ბენდია სამეგრელოს მეფემან, რაბია ანაკოსიის (აფხაზეთის) მთავარმა და ბერდებეგ მცირე სომხეთის ბატონმა“. წერილში ასევე დაპირებაა მუსლიმანი მეზობლების მხრიდან მხარდაჭერისაც. წერილის დასასრულს ყვარყვარე ბურგუნდიის მთავარს აფრთხილებს: „დასასრულ უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენ ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძრიელდება და ვეღარც შევძლებთ შემდეგში შეერთებას, როგორც ახლა ვართ“ **(თამარაშვილი, 1902:57-59).** მართლაც, მარტო საქრთველოდან განზრახული ყოფილა 100 000-დე მეომრის გამოყვანა. ასევე, ლაშქრობაში მონაწილეობაზე დათანხმდა ტრაპეზუნდის მეფე დავითი 30 000 მეომრით და 30 კატარღით და კილიკიის სომხეთის მეფე 20 000 მებრძოლით. მთელი თავისი ძალებით მონაწილეობას შეპირდა ლუდოვიკოს ასევე თურქმანი მბრძანებელი უზუნ ჰასანიც, რომელსაც გამუდმებული ბრძოლები ჰქონდა ოსმალებთან **(საქართვე-**

**ლოს..., 2012:112).** ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ოსმალთა წინააღმდეგ საკმაოდ დიდი ძალა იყრიდა თავს, მაგრამ როგორც შემდეგ გამოჩნდა, დასავლეთი არ აღმოჩნდა მზად ამ ლაშქ-რობისთვის. მანტუაში 1460 წლის იანვარში ჩატარებულ კონგ-რესზე პაპმა პიუს მეორემ ევროპის ხელისუფალთაგან მხოლოდ დაპირებები მიიღო. პაპს იმედი ჰქონდა, რომ აღმოსავლეთიდან ელჩები კონგრესის დაწყებამდე ჩავიდოდნენ და ეს გავლენას მოახდენდა კონგრესის მონაწილეებზე, მაგრამ ისინი მხოლოდ კონგრესის დასრულების შემდეგ გამოჩნდნენ. 1460 წლის 20 დეკემბერს აღმოსავლელი ელჩები ( გიორგი მე-8-ის – ნიკოლოზ თბილელი, ყვარყვარე ათაბაგის – ქასადანი (ფარსადანი?), დავით ტრაპეზუნდელი კეისრისა – მიხეილი, კილიკიის სომხეთის მთავრისა – მორალო, უზუნ ჰასანისა – მაჰმედი) წარუდგნენ პიუს მეორეს. მან ელჩებს ამცნო კონგრესის შედეგები და ურჩია თვი-თონ სწვეოდნენ საფრანგეთის მეფეს და ბურგუნდიის დიდ მთავარს, რომ დაერწმუნებინათ ისინი ლაშქრობის მოწყობის აუცილებლობაში. 1461 წლის მაისში ელჩები წარუდგნენ შარლ მეშვიდეს, მაგრამ კარგი შეხვედრის გარდა, საიმედო არაფერი ჩანდა. მეფეს უფრო ბურგუნდიასთან დაძაბული ურთიერთობა აწუხებდა. აქედან ელჩები ბურგუნდიაში დიდ მთავარს ფილიპე მესამეს ეწვივნენ. აქაც საზეიმო მიღების გარდა საიმედო არაფერი ჩანდა. საფრანგეთში დაბრუნებულები, შარლ მეშვიდეს გარდაც-ვალების გამო, ახალი მეფის ლუი XI საზეიმო კურთხევას რეიმს-ში დაესწრნენ და რომში დაბრუნდნენ, აქედან კი იმედგაცრუე-ბულები სამშობლოს გამოემგზავრნენ. ამრიგად, ისე როგორც ად-რე – 1438-1439 წლებში, ახლაც ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციუ-რი ლაშქრობის ორგანიზება არ მოხერხდა, რადგან ევროპის ხე-ლისუფალნი კარგად ვერ აფასებდნენ ოსმალთაგან მოსალოდნელ საფრთხეს, უფრო ადგილობრივი პრობლემებით იყვნენ დაკავე-

ბულნი და ნაკლებად ფიქრობდნენ შორეულ პერსპექტივაზე. იმ ქვეყნებმა, რომლებიც უშუალოდ არ განიცდიდნენ ოსმალეთისგან თავდასხმის საშიშროებას ან რომელთა ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთთან ვაჭრობაში არ ილახებოდა (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი) მხარი არ დაუჭირეს ჯვაროსნული ომის დაწყების იდეას. არსებობდა ერთი მეტად საყურადღებო მომენტიც: XV საუკუნის ევროპაში მიმდინარეობდა ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი, ამიტომ ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, საკუთარი ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა **(მამისთვალიშვილი, 1981 :93).**

კოალიციური ლაშქრობის ჩაშლამ საქართველოს მეფე-მთავართა დროებითი შერიგებაც ჩაშალა. 1461 წლიდან ყვარყვარე ათაბაგმა და დასავლეთ საქართველოს ხელისუფალმა ბაგრატმა გიორგი მე-8-ს აშკარად გამოუცხადეს დაუმორჩილებლობა. ყვარყვარემ დამხმარედ თეთრბატკნიან თურქმენთა მეთაური უზუნ ჰასანი მოიწვია და ბრძოლაში მეფე დაამარცხა, მაგრამ სამაგიეროდ, ყვარყვარემ უზუნ ჰასანის მეციხოვნეებს ლორე, ხოლო მომთაბარეებს ლორეს ველი დაუთმო და ჩამოისახლა. მეფის მარცხით ისარგებლა ალექსანდრე პირველის ძმისწულმაც ბაგრატ გიორგის ძემ და დადიანის, ათაბაგის, გურიელის და შარვაშიძის მხარდაჭერით, მეფის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. 1462 წელს გიორგი მე-8 იმერეთში გადავიდა მეფობის მოსურნე ბაგრატის დასასჯელად, მაგრამ მოკავშირეებისა და გიორგი მეფის ორგული ქართლის თავადების მხარდაჭერით, ჩიხორთან ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, აკად. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ეს იყო ფაქტობრივად არა საქართველოს მეფობის მაძიებელი ბაგრატის, არამედ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთავართა გამარჯვება, რადგან ბაგრატი იძულებული იყო „მეფეთა ყმობისგან გაე-

თავისუფლებინა“ მის მხარეზე მდგომი მთავრები **(საქართ-ველოს...,2012:121).**

გიორგი მე-8 არ აპირებდა დათმობას, მან მკაცრად დასაჯა მოღალატე თავადები და 1465 წელს გაილაშქრა სამცხის მთავრის დასასჯელად, თუმცა ფარავნის ტბასთან, სადაც მეფეს ჯარით ყვარყვარე დახვდა, მეფის საწინააღმდეგო შეთქმულება გამომჟღავნდა. მეფე ამ ამბებით დაკავდა, რითაც კარგად ისარგებლა ყვარყვარემ, მოულოდნელად თავს დაესხა მეფის ბანაკს, დაატყვევა მეფე და მისი ამალა და ვაჰანის ქვაბებში გამოკეტა. დატყვევებულთაგან სამშვიდობოზე გასვლა მოახერხა მეფის ძმისშვილმა კონსტანტინე დიმიტრისძემ და მეფობაზე პრეტენზია განაცხადა, თუმცა მომხრეები ბაგრატ მეექვსეს მეტი აღმოაჩნდა და მეფედაც ის აღიარეს.

ყვარყვარე ათაბაგი მიხვდა, რომ მეფის ტყვეობაში ყოფნით ვერაფერს იგებდა. მან მეფეს თავისი ქალიშვილი თამარი შერთო ცოლად, ჯარი გამოატანა და ქართლში გამოამგზავრა, მაგრამ აქ მას შურისძიების შიშით თავადები მტრულად შეხვდნენ, ბრძოლა წააგო და კახეთისკენ აიღო გეზი, სადაც მეტ მომხრეებს ელოდა. აქ დიდი წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ, ხელისუფლება განიმტკიცა და კახეთის მეფეა 1466- 1476 წლებში გიორგი პირველის სახელით. 1470 წლიდან ბაგრატ მეექვსე იძულებული გახდა ქართლის მეფობა კონსტანტინე დიმიტრისძესათვის დაეთმო და თვითონ იმერეთის მეფობას დასჯერებოდა. მართალია, კონსტანტინე მეორემ 1478 წელს, ბაგრატ მეექვსეს გარდაცვალების შემდეგ, მის შვილს ალექსანდრეს იმერეთის მეფობა არ დაანება, მაგრამ 1484 წელს ალექსანდრემ (1484-1510 წწ.) შეძლო კონსტანტინე მეორეზე იმერეთის წართმევა.1490 წელს, როცა ქართლის მეფე კონსტანტინემ თურქმანთაგან გაათავისუფლა ქართლის მიწები, შესაძლოდ ჩათვალა ქვეყნის გაერთიანებისთ-

ვის მოქმედების დაწყება, მაგრამ სამეფო დარბაზმა ურჩია გან-ზრახვაზე ხელი აეღო. როგორც ჩანს, დიდებულებს არ აწყობდათ კიდევ უფრო გაძლიერებული მეფე. ასე რომ ამიერიდან ოფი-ციალურად გაფორმდა ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად და კონსტანტინე მეორე 1491-1492 წლებში დაუზავდა კახეთის, იმერეთის და სამცხის ხელისუფალთ.

ასეთია ქვეყნის საშინაო მდგომარეობა გართულებულ საგარეო პირობებში, როცა სამხრეთ-აღმოსვლეთიდან სულ უფრო აქტიურდებიან თურქმენული ტომები ჯერ უზუნ ჰასანის, შემდეგ კი იაყუბ ყაენის წინამძღოლობით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი-დან საქართველოს საზღვრებს უახლოვდებიან ოსმალები. ქართ-ველი მეფე-მთავრები მიუხედავად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა, გრძნობენ საშიშროების მოახლოებას და ცდილობენ საიმედო მოკავშირის ნახვას. ამ მხრივ ნაბიჯი გადაიდგა ადრეც – 1471 წელს, როცა ვენეცია, ოსმალთაგან შევიწროებული, ეძებდა მოკავშირეს. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაინტერესე-ბული უზუნ ჰასანიც და მან მოუწოდა ქართველებს მონაწილეობა მიეღოთ ამ კოალიციაში, მაგრამ ქართველებს არ სურდათ რა უზუნ ჰასანის კიდევ უფრო გაძლიერება, მხოლოდ კონსტანტინე მეორე, იმ დროს ტახტისთვის მებრძოლი, მცირე მხლებლებით მონაწილეობდა ბრძოლებში.

1490 წელს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, გართულდა ერთიანი საგა-რეო პოლიტიკის გატარებაც. კახეთის სამეფო თავის გადარჩენის გზას მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ხედავდა, ხოლო ქართლი დასავლეთ ევროპაში. ივანე მესამეს მმართვე-ლობისას მოსკოვის სამთავრომ დიდ წარმატებებს მიაღწია. გაფართოვდა მისი საზღვრები, გაიზარდა და ამაღლდა მისი საერ-თაშორისო ავტორიტეტი, ამიტომ კახეთის მეფე ალექსანდრემ,

როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოსთან, გაგზავნა ელჩობა ნარიმანის, დამიანეს და შაქელი ვაჭრის ხოზემარუმის შემადგენლობით, ივანე მესამესთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად **(საქართველოს..., 2012:137).** კახეთის მეფის წერილში საქებარი სიტყვებითაა შემკული რუსეთის სახელმწიფო, იგი ქრისტიანული ქვეყნების მფარველად და სარწმუნოების სიმტკიცის იმედად არის მიჩნეული. ქართველ მეფეს ამით სურდა რუსეთის ხელისუფალთა ყურადღება დაემსახურებინა. 1491 წელს შედგა კახეთის მეფის მეორე ელჩობაც, მაგრამ ამ ელჩობებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

უფრო სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ქართლის მეფე კონსტანტინე მეორის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციის შესაქმნელად. კონსტანტინე მეორემ 1493-1494 წლებში თავისი კარის მოძღვარი კირ ნილოსი მიავლინა ოსმალებთან ბრძოლით დაინტერესებულ ეგვიპტელი მამლუქების მბრძანებელთან კავშირის შესაკვრელად. კაიროდან სამშობლოში მომავალი ელჩი იერუსალიმში შეხვედრია ესპანელ ელჩებს და მათთვის გაუნდვიათ მომავალი კოალიციური ლაშქრობის პერსპექტივა და საქართველოში მეფესთან შეხვედრა შეუთავაზებიათ. გეგმით მოხიბლულები დათანხმებიან საქართველოში გამოყოლაზე. ესპანელი ელჩების მეშვეობით ესპანეთში შექმნილი ახალი რეალობების გათვალისწინებით (ესპანეთის გაერთიანება, არაბების განდევნა), 1495 წელს, კონსტანტინე ქართლის მეფემ გადაწყვიტა ელჩი გაეგზავნა ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან. იგი ფიქრობდა ადრე, 50-იან წლებში დაგეგმილი კოალიციური ლაშქრობის ხორცშესხმას, ამიტომ ელჩს დაავალა, გზად, ევროპელ ხელისუფალთათვის გაეცნო ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის გეგმა. როგორც ჩანს, კირ-ნილოსი შეხვდა ლიტვა-პოლონეთის პოლიტიკოსებს და გააცნო მეფის წერილი დედო-

ფალ იზაბელასადმი და მისი მოგზაურობის მიზანი, რასაც ადასტურებს ვარშავის არქივში აღმოჩენილი კონსტანტინე მეფის იმ წერილის თარგმანი (ცინცაძე, 1965:39). პოლონეთი ხომ არანაკლებ უნდა ყოფილიყო დაინტერსებული ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით, რადგან მათთან არაერთი ბრძოლა ჰქონდათ წაგებული.

ესპანეთში ჩასულმა კირ-ნილოსმა დედოფალ იზაბელას გადასცა მეფის წერილი, რომელიც 1495 წლის 10 მარტით არის დათარიღებული. წერილში მეფე ჯერ ულოცავდა დედოფალს ქვეყნის გათავისუფლებას არაბთა ბატონობისაგან და შემდეგ ამცნობდა მის სამეფოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას: „უღვთო სპარსთაგან მარად ჟამს წამებულნი ვართ და მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩუენ. სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ან ჩვენთან ერთად იბრძოლეთ, ანდა ჩვენს სარწმუნოებაზე მოექეცითო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინეპოლის, ტრაპეზუნდისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან ჩვენ მარტო დავრჩით და ძალიან მცირენი ვართ“-ო. თავის მხრივ მეფე ჰპირდებოდა დედოფალს, თუ იგი კონსტანტინეპოლის გასათავისუფლებლად წამოვიდოდა, მეფე თავისი ვაჟიშვილით და ჯარით მზად იყო სალაშქროდ **(მამისთვალიშვილი, 1981:97).**

კონსტანტინე ქართლის მეფემ ვერ გაითვალისწინა ის, რომ ესპანეთი ჯერ არ იყო ისეთი ძლიერი, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა. ამასთან, ევროპის არც სხვა ქვეყნები იჩენდნენ ინტერესს ამ ლაშქრობისადმი, ისინი შეურიგდნენ შექმნილ სიტუაციას, ასე რომ, ესპანეთს სხვა გზა უნდა ეძებნა აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭროდ და ამ მხრივ უკვე ნაბიჯი გადადგმული იყო. ქრისტეფორე კოლუმბმა 1498 წელს ესპანეთიდან დასავლეთით, აფრიკის გარშემოვლით ახალი კონტინენტი – ამერიკა აღმოაჩინა და

ესპანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ინტერესებმა ამ მიმართულებით გადაინაცვლა. მუსლიმანურ გარემოცვაში დარჩენილი საქართველო ევროპისგან კარგა ხანს მივიწყებული დარჩა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანეთიდან კირ-ნილოსი იმედგაცრუებული გამობრუნდა და 1498 წელს, მეფის დავალების შესაბამისად, რომის პაპს ალექსანდრე მეექვსეს ეწვია, გადასცა მეფის წერილი და ზეპირი დანაბარებიც. მართალია, ამ წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ პაპის საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ მეფე პაპს თხოვდა ევროპის ქვეყნების შეკავშირებას დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. სამაგიეროდ, მეფე პაპს ჰპირდებოდა ფერარა-ფლორენციის უნიის ცნობას და თხოვდა კრების გადაწყვეტილების გამოგზავნას. არაა საეჭვო, რომ მეფის ეს დაპირება იძულებითი, ოსმალთა რეალური საფრთხით იყო გამოწვეული, ქართველებმა ხომ კრებაზევე არ მოაწერეს ხელი კრების გადაწყვეტილებას. ელჩმა პაპისგან საიმედო პასუხი ვერ მიიღო. პაპის წერილიდან ჩანს, რომ იგი იწონებს მეფის გადაწყვეტილებას კოალიციური ლაშქრობის შესახებ. „დიდი აღფრთოვანებით შევხვდით შენს შესანიშნავ განზრახვას და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების მიმართ ამბოხებულთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ, – წერს პაპი და ურჩევს მეფეს გასცეს განკარგულება, რათა „საეკლესიო კრების ეს დადგენილება გაავრცელონ და დანერგონ შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში“-ო **(ტაბაღუა, 1984:108-109),** მაგრამ იმასაც ატყობინებს, რომ „ევროპის სახელმწიფოებისგან დახმარების იმედი ამჟამად არ არსებობს, რადგან მათ შორის განხეთქილებაა. ხოლო როცა ისინი ერთმანეთთან შერიგდებიან, მაშინ კი მათი ძალები დაირაზმებიან საერთო მტრის წინააღმდეგ და გავიმარჯვებთ კიდეცო **(ცინცაძე, 1965:83).** ასე რომ, კონსტანტინე მეფემ დასავლეთიდან მხოლოდ ფლორენციის კრების გადაწყვეტილება მიიღო პაპის „ტყვიით

დაბეჭდილ წერილთან ერთად“ **(მამისთვალიშვილი, 1981:99).** არადა, საგარეო საფრთხე სულ უფრო იზრდებოდა როგორც აღმოსავლეთი საქართველოს, ისე დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსათვის.

**ლიტერატურა:**


**ბერძენიშვილი, 1965:** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი.

**გაბაშვილი, 1954:** – გაბაშვილი ვ. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები (XVI-XVII სს.), საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბილისი.

**გაბაშვილი, 1958:** – გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბილისი.

**თამარაშვილი, 1902:** – თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი.

**იოანე... , 1991:** – იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, ტ II, თბილისი.

**მამისთვალიშვილი, 1981:** – მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში.

**მთავარეპისკოპოსი..., 1998:** – მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.,II, თბილისი.

**ჟუჟუნაძე, 1970:** – ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათის. კრებული-ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, წიგნი პირველი, თბილისი.

**რეხვიაშვილი, 1989:** – რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), თბილისი.

**საქართველოს..., 2012:** – საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. მესამე, თბილისი.

**სვანიძე, 1971:** – სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი.

**სინ, 1973:** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი.

**ტაბაღუა, 1984:** – ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი.

**ცინცაძე, 1956:** – ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისი.

**ცინცაძე, 1965:** – ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი.

**წოწკოლაური, 2015:** – წოწკოლაური ა., საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვით XIX საუკუნემდე), თბილისი.

**ჯავახიშვილი, 1948:** – ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი.

**ჯაფარიძე, 2003:** – საქართველოს საეკლესიო კრებები, II, თბილისი.

**Bichiko Diasamidze**

## The Events of the Georgian Authorities from the Invaders to Save the Country in the Second Half of the XVth Century

Summary

Based on reviewing and analyizing written sources and scientific literatures, there is shown a real danger, as the Mongols and Tamerlane's hordes in the fight against weak countries would expect the Ottoman and Iranian invaders and the times, the authorities of the measures the country's unity, since without the support of the purchase order In Europe, the campaign coalition to participate in the steps taken

**ირინე ვარშალომიძე**

# ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ ᲪᲘᲮᲘᲡᲫᲘᲠᲘᲓᲐᲜ

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მდიდარია ნუმიზმატიკური ძეგლებით. ადრეული მონეტა ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება. აქედან მოყოლებული ყველა პერიოდის საფასეა მოპოვებული ჩვენი კუთხის ტერიტორიაზე. გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, რომ არ გვქონდა ცნობები საკვლევ ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ქართული მონეტების აღმოჩენის შესახებ. 2017 წლიდან რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (FR17-504) მოგვეცა მუშაობის საშუალება ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმის ფონდებში. აღმოჩნდა, რომ მუზეუმში მრავლადაა დაცული ქართული მონეტები. მათგან უმრავლესობის აღმოჩენის ზუსტი გარემოებები უცნობია, მაგრამ ისინი მუზეუმმა შეიძინა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ყველა შემთხვევაში ისინი ჩვენი კუთხის ნუმიზმატიკური ისტორიაა. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია ციხისძირში აღმოჩენილი თამარ მეფის 2 მონეტა. შეძენილია 1948 წელს მოქალაქე ვარძიელისაგან, შესყიდვის აქტით (№19) ირკვევა, რომ საფასეები ამავე წელს ციხისძირშია შემთხვევით ნაპოვნი. ისინი ზემოხსენებულ მუზეუმში ინახება. საინვ.2143, 2144. მონეტები ერთტიპიურია, მათი აღწერილობა ასეთია:

**შუბლი**: მონეტის ცენტრში მოთავსებულია რთული აგებულების ნახაზი – ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი. მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულით დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები – ႧႰ და ႣႧ. ზემოთ და ქვემოთ ასომთავრულითვე ႵႩႳႩ ქორონიკონსა 420 (=1200 წ.).

**ზურგი:** ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكات ملكة

والدين الدنيا جلال

كيوري ابنة تامار

المسيح ظهير

დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის მიმდევარი. *[დუნდუა, დუნდუა, 2006:207]* თამარ მეფის სახელით რამდენიმე ტიპის მონეტები იჭრებოდა. როგორც ცნობილია, 1188 წელს თამარმა ხელმეორედ იქორწინა დავით სოსლანზე. მათი სახელითაა მოჭრილი ზემოთ აღწერილი „წესიერი" ფორმის სპილენძის მონეტები (თამარის და დავითის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით"), რომლებმაც ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია *[დუნდუა, დუნდუა, 2006:207]*

რაც შეეხება თამარისა და დავითის მონეტის შუბლზე მოთავსებულ რთულ ფიგურულ ნიშანს, რომელსაც დ. კაპანაძე ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მიიჩნევს, მისი მნიშვნელობა გახსნა ქართული პალეოგრაფიის შესანიშნავმა მცოდნემ, თ. ბარნაველმა. მისი აზრით, მონეტაზე მოთავსებულ ფიგურულ ნიშანში მოცემულია მონოგრამულად შერწყმული ქართული ასოები, რომლებიც გადმოცემს თამარისა და დავითის სახელებს *[დუნდუა, დუნდუა, 2006:207]*

როგორც ჩანს, XIII საუკუნის დასაწყისში ციხისძირი მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. აქ არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლენილია X- XIV საუკუნის არტეფაქტები. ამ პერიოდისაა დარბაზული ეკლესია და მის ჩრდილოეთით გამოვლენილი სამეურნეო სათავსოს ნაშთები, ქვევრები, დერგები, მოჭიქული კერამიკის, მინის სამაჯურის ნატეხი, ვერცხლის თასის ნაწილები, ქვის ემბაზი, ტყვიის შეკიდული

ბეჭედი*[ინაიშვილი 1974:130-138, ჩხაიძე 1978:62-63, იაშვილი 1985:117].* ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ჩანს, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში ციხისძირში სავაჭრო ოპერაციებში გამოიყენება როგორც ქართული *[ვარშალომიძე, ძნელაძე, 2018:134]*, ასევე ბიზანტიური, ტრაპიზონის ასპრები, კირმანეული თეთრები[1] და სელჯუკური მონეტები *[ვარშალომიძე, 2001 :21-23, ვარშალომიძე, 2016: 66-69].* ამდენად, ციხისძირი საკვლევ პერიოდში დაწინაურებული პუნქტია, სადაც კარგადაა განვითარებული ფულადი მეურნეობა. იგი, ასევე ერთადერთი ძეგლია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სადაც გამოვლენილია განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს მონარქების სახელით მოჭრილი მონეტები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


**დუნდუა, დუნდუა, 2006:** – დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, გამომც. „არტანუჯი".

**ვარშალომიძე, 2001**: – ვარშალომიძე ირინე, სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ.I საუკუნიდან 1453 წლამდე, ავტორეფერატი, თბილისი.

**ვარშალომიძე, 2016**: – ვარშალომიძე ირინე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძური, ბათუმი, გამომც. „კოლორი".

**ვარშალომიძე, ძნელაძე, 2018**: – ვარშალომიძე ირინე, ძნელაძე ნინო, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული რუსუდან დედოფლის მონეტები, ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, IX, გამომც.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი.


[1] ციხისძირში გამოვლენილი ტრაპიზონის ასპრები და კირმანეული თეთრები დაცულია ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში.

**ინაიშვილი, 1974**: – ინაიშვილი ასლან, პეტრა-ციხისძირში 1962-65 წწ.ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. სდსძ, IV, თბილისი.

**იაშვილი, 1985**: – იაშვილი ირაკლი, ტყვიის ბულა პეტრა-ციხისძირიდან, სდსძ, XIII.

**ჩხაიძე, 1978:** – ჩხაიძე ლილი, მინის ნაწარმი ციხისძირიდან, სდსძ, VII, თბილისი.

**Irine Varshalomidze**

## Coins of the King Tamar from Tsikhisdzri

Summary

Several coins of King Tamar are preserved at Khariton Akhvlediani Adjara State Museum. Two of them have been disocovered in Tsikhisdziri. Tsikhisdziri is a quite interesting numismatic monument. The earliest coins date back to antiquity, here we come across the Parthian, Roman, Byzanthic, Sasanian, Seljukian coins or individual units. Until recently, we knew nothing about discovery of Georgian coins in our region. Tsikhisdziri discovery has gained much innovation to the survey of monetary circulation of South-West Georgia.

## თამარ მეფის მონეტები









**გიორგი თავამაიშვილი**

# ისევ „ქარონის ობოლის“ წესის შესახებ

XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი თეიმურაზ ბატონიშვილი ნაშრომში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა“ გვამცნობს ერთი შეხედვით უცნაურ ფაქტს, რომ: „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა იპოვნნეს მკვდარნი ეს სახედ დაფლულნი სხვათა და სხვათა ადგილთა შინა ივერიისათა, რომლითაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთანი უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნნეს რაოდენნიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპთ მსახურებისა ჟამთა შინა **დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი**“. ცნობას უფრო მეტი სიცხადე რომ შესძინოს, ავტორი იქვე აღწერს წარმართთა დაკრძალვის რიტუალს: **„შთაუწყობდნენ პირსა შინა დრაჰკანთა[2] ოქროსა, ვერცხლისასა და ესრეთ მისცემდნენ პატიოსანსა დაფლვასა მიწასა შინა“** (ბატონიშვილი, 1848:52,53).

ამ ცნობის გამოქვეყნებიდან თითქმის ორი საუკუნე გავიდა. დღეს, ჩვენ ხელთ არსებული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის კვალობაზე, უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა ფრიად ორდინარულ მოვლენას ასახავს, რადგან ძველ ხალხთა დაკრძალვის რიტუალში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ წესს მიცვალებულისთვის ფულის/მონეტის ჩაყოლება/გატანება წარმოადგენდა.

---

[2] „დრაჰკანი“ — *ოქროს ფულის* აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი XI—XVI საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში (კაპანაძე, 1969).

დიდი ხნის მანძილზე, სამარხებში მონეტების მიკვლევის ყველა ფაქტი, ქრონოლოგიური, გეოგრაფიული თუ ეთნიკური მახასიათებლის მიუხედავად, ე.წ. „ქარონის ობოლის" წესს მიეწერებოდა და მის მატერიალურ გამოხატულებად იყო მიჩნეული, ხოლო უშუალოდ სამარხში ნანახი მონეტები „ქარონის ობოლის" სახელით დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ, ბოლო ათწლეულების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა პრობლემის ახლებური გააზრება მოითხოვა, ხოლო ზოგი პრინციპული ხასიათის დასკვნები, უკვე ახალი არგუმენტების მოშველიებით, საფუძვლიანი კრიტიკის საგანი გახდა. როგორც ჩანს, „ქარონის ობოლის" თემას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს, მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების არეალის გაფართოვების კვალობაზე, ახალი მასალა დაგროვდა დაკრძალვის უძველესი რიტუალის შესწავლისთვის. ამიტომ, წარმოდგენილ ნაშრომში, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მკითხველისთვის უფრო ვრცლად მოგვეთხრო „ქარონის ობოლის" წესის მსოფლმხედველობით საფუძვლებზე, გვესაუბრა თემის გარშემო არსებული წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთმიმართების შესახებ, აღნიშნული წესის ლოკალურ თავისებურებებზე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკურ სამაროვნებზე მიკვლეულ შესატყვის მასალაზე.[3]

თავიდანვე მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენი ინტერესი „ქარონის ობოლის" თემის მიმართ ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვ-

[3] ისტორიულ კოლხეთის ტერიტორიაზე სამარხებში მიცვალებულისთვის მონეტების ჩაყოლების პრაქტიკა დასტურდება ფიჭვნარის, ციხისძირის, დაფნარის, დაბლაგომის, ვანის, ნოქალაქევის, საირხეს, მოდინახეს, ზემოფარცხმის, გონის და დეხვირის სამაროვნებზე. იშვიათია სამარხეული მონეტების მიკვლევის შემთხვევები აღმოსავლეთ საქართველოში (პატარიძე, 2017:136, 137)

ნების გათხრებმა განაპირობა.[4] ამ უნიკალური ძეგლის შესახებ ვრცელი საუბრით თავს არ შეგაწყენთ (ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის სიძველეებით დაინტერესებული საზოგადოება ძეგლის თაობაზე საკმაოდ ინფორმირებულია), მხოლოდ შეგახსენებთ, რომ, ნიადაგი, სადაც ფიჭვნარის სამაროვნებია მიკვლეული, ქვიშნარი შემადგენლობისაა. ამ ფაქტორმა, სამწუხაროდ, უარყოფითად იმოქმედა არქეოლოგიური მასალის დაცულობაზე. ქვიშნარი გრუნტი ატმოსფერული ნალექების კარგი გამტარი აღმოჩნდა, ამიტომ სამაროვნების ორგანულმა (დენდროლოგიურმა, ოსტეოლოგიურმა) მასალამ ვერ გაუძლო დროთა ჟამს და ფაქტობრივად გაქრა. სანაპირო ზოლის მარილით გაჯერებულმა ატმოსფერომ, ჰაერის მაღალმა ტენიანობამ, შექმნა აგრესიული კოროზიული გარემო, რის გამოც სამარხში ჩაყოლებულმა ლითონის ნივთებმაც პრაქტიკულად დაკარგეს პირვანდელი სახე. ამ არასახარბიელო გეომორფოლოგიური სურათის ფონზე, ორგანული მასალის ერთადერთი ნაშთი, რომელიც სამარხებში ფიქსირდება, დაკრძალულთა წინა კბილების ფრაგმენტებია. ეს უკანასკნელი კი ჩვენამდე შემორჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ზემოდან ლითონის მსუბუქი ნადებით (პატინით) იყო დაფარული. ეს პატინიანი ლითონის ნივთები, მეტწილად, ვერცხლის ან ბრინჯაოს მონეტები გახლდათ, რომლებიც სამარხებში ერთი ან რამდენიმე ნიმუშის სახით იყო წარმოდგენილი. ალბათ, დროული იქნება აქვე განვმარტოთ, რომ ანტიკური ხანის სამარხებში მონეტები, როგორც წესი, ფიქსირდება დაკრძალულის პირისა და

---

[4] ჩვენი თაობის არქეოლოგთა „საწვრთნელი პოლიგონი“ ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვნები გახლდათ, სადაც პროფესორ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით პირველად განვიცადეთ მიწისქვეშ მოქცეული მატერიალური კულტურის ნიმუშების დღის სინათლეზე გამოტანის სიხარული.

ხელის[5] არეში, თუმცა გვხვდება ტანის სხვადასხვა მონაკვეთშიც. იშვიათად ჩნდება მონეტები ხის კუბოს გარეთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ისინი ყოველთვის სამარხი ორმოს საზღვრებშია დადასტურებული.

სად და როდის ჩაისახა მიცვალებულთათვის სამარხში მონეტების/ფულის ჩაყოლების პრაქტიკა და რა მსოფლმხედველობრივი რწმენა-წარმოდგენებით იყო ნასაზრდოები ეს წესი?

თუ ლიტერატურულ წყაროებს და არქეოლოგიურ მონაცემებს დავეყრდნობით, მიცვალებულისთვის მონეტის (ფულის) ჩაყოლების/გატანების პიონერებად ძველი ბერძნები გვევლინებიან.[6] ამ წესის მსოფლმხედველობითი ფესვები ბერძნულ მითოსშია, რომელიც ყველაზე კარგად კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაშია ასახული. მითის მკვლევრები თვლიან, რომ ეს კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან მითით განსაზღვრული რიტუა-

---

[5] მონეტები გვხვდება როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელის არეში (სურათი შეიძლება განსხვავებულად წარმოჩნდეს იმის მიხედვით, თუ მიცვალებული როგორ იყო დაკრძალული - პირაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში თუ გვერდზე, მოხრილ პოზაში). ანგარიშგასაწევია სხვა მოცემულობებიც: მიცვალებულს ხელები ზოგჯერ ტანის პარალელურად აქვს გამართული, ზოგჯერაც გულზე აქვს დაწყობილი. სამარხში ნივთების პირველადი განთავსების ადგილის ზუსტი განსაზღვრა ზოგჯერ გართულებულია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხის კუბოს ზედა ფიცრების ან მარტივი ფიცრული გადახურვის ლპობის გამო, სახურავის ჩამოშლამ, შესაძლოა, ნაწილობრივ შეცვალოს სამარხეული ინვენტარის, მათ შორის მონეტის, პირვანდელი განთავსების ადგილი. სამარხებში მონეტების ადგილმდებარეობის ზუსტი ფიქსაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონეტების და სხვა არტეფაქტების სიტუაციურ პარამეტრებზე დაყრდნობით, საშუალება გვეძლევა უფრო საფუძვლიანად ვისაუბროთ დაკრძალვის რიტუალის თავისებურებების შესახებ.

[6] ერთ-ერთი ვერსიით, ძვ.წ. V საუკუნისთვის მატერიკულ საბერძნეთში მიცვალებულებისთვის მონეტის ჩაყოლების წესი ლიდიიდან და კვიპროსიდან შემოვიდა (Fischer-Bossert, 2009:117), ხოლო სხვა ვერსიით - ბეოტიიდან გავრცელდა (Benta, 1999: 32)

ლი ადამიანთა ცხოვრების განუყრელ ნაწილს შეადგენდა და ამიტომ მის ასახვას ლიტერატურა ვერ აცდებოდა (რატიანი, 2001:6).[7]

ამჯერად, ჩვენ არ ჩავუღრმავდებით საკითხს მითის თუ რიტუალის პირველადობის შესახებ, მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ რიტუალური პრაქტიკა, როგორც კულტურული მოვლენა, თანაბრად მოიცავს ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროს: რელიგიურს, სოციალურს, ყოფითს და მითოლოგიურს. თავის მხრივ „ბუნების თუ ადამიანური სინამდვილის მოვლენებში ისეთი არაფერია, რაც არ აიხსნება მითოსით და რაც არ მოითხოვს მითოსურ ინტერპრეტაციას (კასირერი,1983:123), რადგან „მითი საზოგადოებაში მოქმედი მძლავრი ძალაა, რომლის უმთავრესი ფუნქციაა დაიცვას რწმენა, შექმნას ზნეობის და რიტუალის აქტები, განამტკიცოს რიტუალის ეფექტურობა და უზრუნველყოს მისი აუცილებლობა“ (მ. ხიდაშელი, 2001: 7). მკვლევრების აზრით „არქაულ საზოგადოებებში ყველა, ასე თუ ისე არსებითი, რეალიები უნდა იყოს ფესვგამდგარი მითებში, იქ უნდა იძებნებოდეს მათი საწყისები, განმარტებები და სანქციები, გარკვეული აზრით ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს თავისი მითი“ (Мелетинский, 1976:170). ფაქტია, რომ დროთა განმავლობაში, „თითოეული ინფორმაცია, გამაგრებული მითით, ღებულობდა იმპერატიულ ფორმას და ყალიბდებოდა ნორმად“ (Мышкин, 1999:273).

ამ ნორმების დაცვა საზოგადოების ცალკეული სოციალური ჯგუფის თითოეული წევრისთვის აუცილებელი იყო, რადგან დამრღვევის მიმართ ხორციელდებოდა სხვადასხვა არაფორმალური სანქცია – გაკიცხვა, შერცხვენა, დაწყევლა, იზოლაცია და ა.შ.

---

[7] ნარატივში სინონიმებია ფული-სიმდიდრე, რიტუალში კი - ფული-მონეტა.

(ანთელავა, 2017).[8] ნიშანდობლივია, რომ საზოგადოებისთვის, რომელიც ორიენტირებული იყო რეგულაციის ისეთ ტრადიციულ ფორმებზე, როგორიცაა რიტუალი და ჩვეულება, არსებული ნორმები და წესები წინაპართა მიერ დატოვებულ მემკვიდრეობად ითვლებოდა და ამიტომ ჰქონდათ მათ იმპერატიული ხასიათი ჯგუფის ყველა წევრისთვის. სხვა სიტყვებით, რიტუალები ხშირად მითების ინსცენირებას წარმოადგენდნენ, ხოლო მითები, თავის მხრივ, ხსნიდნენ და ასაბუთებდნენ ამ ცერემონიალის არსს. ორიენტალისტი რ. სმიტი თვლის, რომ მართალია ძველ რელიგიებში რიტუალი დაკავშირებული მითთან, მაგრამ თუ მითი ხსნის რიტუალს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის ქმნის რიტუალს. პირიქით, რიტუალური პრაქტიკა განსაზღვრავს მითს. მითები იცვლება ეპოქიდან ეპოქაში, იდეოლოგიის მიხედვით, ხოლო რიტუალი უცვლელი რჩება (აბაკელია, 2013:22-23). მითოსური ცნობიერების რღვევის კვალობაზე, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში რიტუალები კანონიკურ სახეს იძენდნენ და დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კონკრეტული თემის ცხოვრებაში (ხიდაშელი, 2001:41).[9] შედეგად მივიღეთ ის რეალობა, რომ

---

[8] მკვლევართა აზრით, ნორმა შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქცევის წესად, ქცევის სტანდარტის სინონიმად. ამავე დროს, არსებობს ქცევის სტერეოტიპები არა მხოლოდ ამ ნორმების დასაცავად, არამედ მის დასარღვევადაც. სხვა სიტყვებით, „არასწორ“ მოქმედებებსაც აქვს თავისის სტანდარტი და ამის შესახებ ნათლად მიუნიშნებს მოვლენათა ის ფართო სპექტრი, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული ეთნიკური კულტურისთვის (Байбурин, 1993:9).

[9] პროცესუალური არქეოლოგიის ფუძემდებლის ლუის ბინფორდის მინიშნებით: „რიტუალი ერთიან ეთნოკულტურულ ტრადიციაში ერთგვაროვანია, შესაბამისად, ფორმალურად ადვილად გამოსაყოფი. მაგრამ, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა კროს-კულტურული კონტაქტების კვალობაზე, რიტუალის ვარიანტების ზრდა გარდაუვალია, რაც საეჭვოს ხდის ისტორიული რეკონსტრუქციის ჭეშმარიტებას - იხატება სურათი ე.წ. „სავარაუდო ისტორიებისა“ (Binford, 1971:286-290). საინტერესოა ნ. რატიანის მინიშნება, რომ

მიუხედავად განსხვავებული საზოგადოებრივი და კულტურული პირობებისა, ერთი და იგივე ძირითადი მითოსური წარმოდგენები, ფაქტობრივად, მსოფლიოს მასშტაბით იყო გავრცელებული (კასირერი, 1983:123).

მითის და რიტუალის ურთიერთმიმართების კონტექსტში, უდავოდ მრავლისმთქმელია დაკრძალვის რიტუალი, სადაც მკაფიოდ იკითხება კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები, მათ შორის ძველ ხალხთა შეხედულებები სიკვდილსა და სიცოცხლეზე, იმქვეყნიურ სამყაროზე და იქ მოხვედრის გზებზე.

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ხალხი, რომელთაც სწამთ სიკვდილის მარადიულობის. ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქებში დიალექტიკური ტრიადა: სიცოცხლე-სიკვდილი-სიცოცხლე- წარმოადგენდა ადამიანების მიერ სამყაროს შემეცნების საფუძველს (Велецкая, 1978). ძველ ხალხთა წარმოდგენებში არსებობდა იმქვეყნიური სამყარო, რომელიც ზოგისთვის ზეცაში იყო, ზოგისთვის მიწისქვეშ, ზოგისთვის კიდევ სხვაგან. სიკვდილს ისინი განიხილავდნენ, როგორც ერთი სამყაროდან მეორეში (სააქაოდან საიქიოში) გადასვლას, სადაც აგრძელებდნენ სიცოცხლეს, რის მანიშნებელიცაა მდიდარი სამარხი ინვენტარი და პერიოდული მსხვერპლშეწირვები (აბაკელია, 2000:9). ალბათ, ამიტომაც, ადამიანებს იმქვეყნიური სამყაროს „ამბები“ ყველაზე მეტად აინტერესებდათ, თუნდაც ქვეცნობიერად, განურჩევლად იმისა, სწამდათ იმქვეყნიური სამყაროს არსებობის თუ არა. იმის მიუხედავად, რომ გარდაცვალება ყველა ფიზიკური არსების გარდაუვალი ფი-

„ლიტერატურაში რიტუალის ამა თუ იმ ასპექტის დაფიქსირების შედეგად ხდება ამ რიტუალის გაყინვა. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე ყოფაში. აქ რიტუალი მეტ-ნაკლებად იცვლის ფორმას, იგი ცვალებადია. ამდენად მას, რაც ჩვენამდე აღწევს, ხშირ შემთხვევაში შეცვლილი სახე აქვს (რატიანი, 2001:6)

ნალია, როგორც ჩანს, მხოლოდ ადამიანს შეეძლო ეფიქრა მასზე, მაშინაც კი, როცა ეს პროცესი ბიოლოგიურად შორეულ პერსპექტივად ესახებოდა.

ძველ ბერძენ ავტორთა თხზულებებში, შესაძლოა არაერთგვაროვნად, მაგრამ, იმავდროულად, მეტ-ნაკლები სისრულით, გადმოცემულია ელინთა შეხედულებები იმქვეყნიურ სამყაროზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, როგორც კულტურული წარმოდგენებისა და ფასეულობათა მორალურ-ეთიკურ კომპლექსზე.[10]

ძველი ბერძენების რწმენით მათი საცხოვრისის (ოიკუმენეს) დასავლეთით, მიწისქვეშეთში[11] არის ჰადესის სამეფო, რომელსაც კრონოსისა და რეას ძე, ზევსის და პოსეიდონის ძმა ჰადესი მართავს. მას გვერდს მეუღლე პერსეფონე უმშვენებს. სამეფოს შესასვლელ კარებს სამთავიანი ძაღლი ცერბერი იცავს. ჰადესში მდინარეები აქერონტი, სტიქსი, კოკიტი, პირიფლეგეთონტი და ლეთე მიედინებიან. მიცვალებულთა სულებმა აჩრდილთა სამეფოს რომ მიაღწიონ მდინარე (სხვადასხვა ვერსიით: სტიქსი, აქერონტი) უნდა გადალახონ და ამისთვის მენავე ქარონს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადონ.[12] თუმცა, მდინარის გადალახვა არ ათა-

---

[10] არაერთგვაროვნებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ყოველ ლიტერატურულ წყაროს თავისი „კანონი“ გააჩნია, რომელიც მნიშვნელოვნად განპირობებულია ავტორის პიროვნებით, ლიტერატურული ჟანრით, გარემომცველი სამყაროთი და მკითხველის აღქმის უნარით (Alföldy-Găzdac, Găzdac, 2013: 285).

[11] ჰომეროსის „ოდისეაში“ ჯოჯოხეთი ეს არის სიბნელითა და საშინელებებით მოცული სამეფო, ოღონდ არა იმდენად მიწისქვეშეთში, არამედ უფრო ოკეანის მხარეს, სადაც მზის სხივი ფაქტობრივად ვერ აღწევს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ანტიკურ ხანაში ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენები სამოთხესა და ჯოჯოხეთზე.

[12] შუმერულ მითოლოგიაში შუმერთა ქალღმერთი ინანა ეძებს დედოფალ ერეშკიგალს იმ ქვეყანაში, საიდანაც უკან წამოსასვლელი გზა არ არის. აქ, მიწისქვეშეთის საზღვართანაც მდინარეა, რომელიც გადამყვანის დახმარებით უნდა გადალახონ (Хааз,1999). უნდა შეგახსენოთ, რომ დასავლურ-

ვისუფლებს მიცვალებულთა სულებს ყველა განსაცდელისგან, რადგან გაღმა ნაპირიდან ერთი გზა მიდის ელისეის, მეორე კი ასფოდელოსის მინდვრებისკენ, ხოლო მესამე - ტარტაროსისკენ. საბოლოოდ, გარდაცვლილის ბედი წყდება სამი მსაჯულის: მინოსის, ეაკოსის და რადამანტის სამსჯავროზე, რომლის შემდეგ სულები ნაწილდებიან სხვადასხვა მიმართულებით (Wheatcroft, 2014:3-4). ასფოდელოსის მინდვრებში გზავნიან მათ, ვინც არც კარგი იყო და არც ცუდი; ელისეის მინდვრები გმირებისთვის არის შერჩეული, ხოლო ტარტაროსი ბოროტი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. აქვე, ერთ არსებით დეტალს უნდა გავუსვათ ხაზი: ჰადესის სამეფოში მხოლოდ გარდაცვლილებს შეეძლოთ მოხვედრა.[13] ასევე, არანაკლებ პრობლემური (თუ არა შეუძლებელი) იყო მიწისქვეშეთიდან უკან, ცოცხალთა ქვეყანაში, დაბრუნება.[14]

---

ქართული წარმოდგენების მიხედვითაც, საიქიო სააქაოსგან გამიჯნული იყო წყლით. ადგილობრივთა რწმენით, საიქიოში მოსახვედრად გარდაცვლილის სულს უნდა გადაელახა დაბრკოლებები ადუღებული კუპრის მდინარის სახით, რომელზეც ბეწვის ხიდი იყო გადებული და უნდა მოესყიდა ზღურბლის მცველი, რომელიც „ბაჟს“ იღებდა (აბაკელია, 2000:10). ქრისტიანულ რელიგიაშიც არის სიკვდილის ანგელოზები (აზრაელი ან მიქაელი), რომლებიც ეხმარებიან გარდაცვლილს სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარის გადალახვაში.

[13] ვერგილიუსიც „ენეიდაში“ ხაზს უსვამს, რომ ქარონი მდინარეზე ვერ გადაიყვანდა იმ გარდაცვლილის სულს, რომლის სხეულიც მიწაში დასაფლავებული არ იქნებოდა (Зелинский, 1997:337).

[14] ჰომეროსმა ოდისევს მისცა საშუალება მიწისქვეშეთში ჩასულიყო. თუმცა, მან იქ გარდაცვლილთა უგონო გვამების მეტი ვერაფერი ნახა. ოდისევსი შიშმა შეიპყრო და იქაურობას გაეცალა (გორდეზიანი, 2009:110). ცოცხლებიდან ჰადესის სამეფოდან უკან დაბრუნება მოახერხეს მხოლოდ ჰერაკლემ, დიონისემ, ორფეოსმა, ენეასმა და ფსიქეამ. ჰერაკლეს ქარონმა ფული ვერ გამოართვა, რადგან მისი მკაცრი მზერის შეეშინდა (ამის გამო ჰადესმა ქარონს ერთი წლით ხუნდები დაადო), ორფეოსმა კითარაზე დაკვრით მოხიბლა ქარონი, ენეასმა ჰადესში მოხვედრა პერსეფონეს ბაღის ოქროს რტოს საშუალებით მოახერხა, რომელსაც ჰადესის კარის გაღების ჯადოსნური

ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით („ილიადა“, „ოდისეა“) თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ, ძვ.წ. VIII საუკუნიდან, ძველ ბერძნებს ჩამოუყალიბდათ რწმენა, რომ მიცვალებულები დაუმარხავი არ უნდა დაეტოვებინათ (Richardson, 1985:127-128),[15] რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გარდაცვლილები ყველა

ძალა გააჩნდა (Зелинский, 1999:337). ლუკიანე სამოსატელის დილოგებში ქარონი უარზეა მენიპი დააბრუნოს ის ცოცხლებთან, რადგან ამით ღმერთების მიერ ჰადესის მსაჯულად დანიშნული ზევსის ძის - ეაკოსის რისხვას დაიმსახურებს. ჰომეროსთან პატროკლოსმა იცის, რომ მას შემდეგ, რაც მას დაკრძალავენ ანუ მის სხეულს კრემაცია ჩაუტარდება, ის ჰადესს ვეღარ დატოვებს (ჰომეროსი, 2015:386).

[15] მიცვალებულის დაუმარხავად დატოვება დაკრძალვის ერთ-ერთი ძველი ფორმა იყო, რომელიც ტოტემიზმის ეპოქაში სხვადასხვა ხალხებში იყო გავრცელებული. მითო-რიტუალური წარმოდგენების განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ეს რიტუალი ტრანსფორმირდა დასჯის ფორმად (ცანავა, 2001:289), რომელსაც, მაგალითად, „ილიადაში“ ტროას ომის მონაწილეები მიმართავდნენ დამარცხებულ მტერზე შურისძიების დროს. ჰექტორი თხოვს აქილევს: „...შენს სულსა და შენს მშობლებს გაფიცებ, ხომალდებთან ნუ დააგლეჯინებ ჩემს გვამს ძაღლებს...უამრავ სპილენძსა და ოქროს მიიღებ საჩუქრად მამაჩემისგან და დედოფალი დედისგან, თუ ჩემს სხეულს სახლში დააბრუნებ, რათა ტროელმა კაცებმა და მათმა ცოლებმა კოცონზე დაწვან და დაკრძალონ (ჰომეროსი, 2015:379). პატროკლოსის სული კი ასეთი სიტყვებით მიმართავს აქილევს: „...ახლა ხომ მკვდარი ვარ! დამმარხე, რათა სწრაფად გავიარო ჰადესის კარიბჭე. სულები, მკვდართა აჩრდილები, ახლოს არ მიკარებენ, რომ შევერიო მათ მდინარის გადაღმა (ჰომეროსი, 2015:385). ესქილე ტრაგედიაში „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ გვამცნობს, რომ უხუცესებმა ხალხს თებეს მოღალატის (ოიდიპოსის ერთ-ერთი ვაჟის) დაკრძალვა აუკრძალეს და დაუმარხავად ძაღლებს მიუგდნენ საჯიჯგნად. სოფოკლეს ანტიგონემ დიდი რისკის ფასად, კრეონტის ბრძანების (არ დაესაფლავებინათ პოლინიკე) მიუხედავად, მოახერხა ღირსეულად შეესრულებინა დედმამიშვილის ვალი და მიწა მიეყარა ძმის ნეშტისთვის (ნადარეიშვილი, 1982). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთში, დაუმარხავი გვამის ნახვის შემთხვევაშიც კი, მნახველი ვალდებული იყო მიწისთვის მიებარებინა გვამი და თუ ამის საშუალება არ ჰქონდა, სიმბოლურად სამი მუჭა მიწა მაინც უნდა მიეყარა გარდაცვლილისთვის. ძველი ბერძნები მხოლოდ მოღალატეებს და დამნაშავეებს ტოვებდნენ დაუმარხავად, თვითმკვლელებს კი ასაფლა-

წესის დაცვით უნდა დაეკრძალათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მიცვალებულთა სულები ვერ მოხვდებოდნენ ჰადესის სამეფოში (Richardson, 1985: 127).[16] ყველა წესის დაცვით, ანუ ღირსეულად დაკრძალვა, გულისხმობდა დაკრძალვამდე და დაკრძალვის დღისთვის გაწერილი ცერემონიალების ყველა წესის დაცვით ჩატარებას.[17] მხოლოდ ამ ვალდებულებების აღსრულების შემდეგ

---

ვებდნენ ჩუმად, ცერემონიალების გარეშე (Бердина, 2015:75).

[16] რომაელი კომედიანტი ტიტუს მაკციუს პლავტუსი ყვება ისტორიას ადამიანზე, რომლის სული აქეთ-იქეთ აწყდებოდა, რადგან მისი დასაფლავების დროს არ იყო დაცული რიტუალები. სვეტონიუსი წერს, რომ კალიგულა მიწას მიაბარეს დაკრძალვის რიტუალის გარეშე, ამიტომაც მისი სულიც დამრწოდა უგზო-უკვლოდ და ეს გაგრძელდა მანამ, სანამ თავიდან არ ამოთხარეს და არ დაასაფლავეს ტრადიციული წესის დაცვით (Папанова, 2006:168). სხვათა შორის, კორინთოს მეფის სიზიფოსის ერთ-ერთი დანაშაული, რისთვისაც დაისაჯა სამუდამო ტანჯვით (ტარტარში მთის მწვერვალზე ლოდის დაუსრულებლად ატანით) იყო ის, რომ მან დაარღვია ღმერთების მიერ დადგენილი წესი: მეუღლე დაიყოლია, რომ არ დაეკრძალათ და მოტყუებით მოახერხა ჰადესის სამეფოდან დაბრუნება. ამიტომ, ჰერმესი იძულებული გახდა თავიდან, კიდევ ერთხელ წაეყვანა ის მიწისქვეშეთში (Кун, 2006:143).

[17] რომაელთა მოტივაცია, მიცვალებულთათვის პატივის მიგებისა, განსხვავდებოდა ბერძნებისგან. რომაელებს, ბერძნებისგან განსხვავებით, ფაქტობრივად არ სწამდათ მითების იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ზოგი მკვლევრის აზრით, ვერგილიუსის თანამედროვეები სერიოზულადაც კი არ აღიქვამდნენ ბერძნულ მითებს სტიქსზე და ჰადესის სამეფოზე. თუმცა, იმქვეყნიური სამყაროს ბერძნული მოდელის უარყოფით, მათ არ გაქრობიათ გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრების „გაგრძელების“ იმედი. ი. ობიდინას აზრით, გარკვეული მემკვიდრეობითობა ბერძნულ-რომაულ წარმოდგენებში რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ ეს უფრო ნათლად ჩანს პოლიტიკაში, ვიდრე კულტურაში (Обидина, 2016:33). რაც შეეხება გარდაცვლილების მიმართ დამოკიდებულებას, რომაელები თვლიდნენ, რომ გარდაცვლილებს შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ ცოცხლებზე, ამიტომ, მათი სულების პატივისცემით, ისინი, ფაქტობრივად, ნეგატიური გავლენისგან იცავდნენ თავს (Toynbee, 1971:33). სხვა სიტყვებით, რომაელთათვის დაკრძალვის წესების შესრულება წარმოადგენდა უფრო გარანტიას იმისთვის, რომ მათი მიცვალებულები უკან ოჯახებში არ მობრუნდებოდნენ, „ზედმეტი ყურადღებით“ ცოცხლებს არ შეაწუხებდნენ და გულში შუღლს და მტრობას არ ჩაიდებდნენ.

შეეძლოთ ოჯახის წევრებს დაბრუნებოდნენ ცხოვრების ჩვეულ რიტმს.[18] ძველ საბერძნეთში, კერძოდ, ატიკაში, დაკრძალვა მხოლოდ ოჯახს ეკისრებოდა და, ჩვეულებრივ პირობებში, არასწორად ითვლებოდა, თუ მიცვალებულს ის დამარხავდა, ვინც მას ნათესავად არ ერგებოდა. სხვა სიტყვებით, დაკრძალვა საოჯახო კულტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (Шевченко, 2005:221). თუ გარდაცვლილს ოჯახი არ ჰყავდა ან თუ ოჯახს დაკრძალვის ხარჯის გაღება არ შეეძლო, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ახლო მეგობარს ან ხელისუფლების სახელით - დემარქს (Kurtz, Boardman, 1971: 144).[19]

როგორც მოგახსენეთ, აჩრდილთა სამეფოში მიცვალებულთა სულების გადამყვანი მენავე ქარონია, რომელიც მომსახურებაში გასამრჯელოს (ერთ ობოლს)[20] ითხოვს (Stevens, 1991: 215). ითხოვს და იღებს კიდეც, რადგან გარდაცვლილის სულმა „კარგად იცის“, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ას წელს სტიქსის ნაპირთან ხეტიალში გაატარებს, სანამ ქარონის ნავზე ასვლ-

---

[18] ძველთა წარმოდგენით, გარდაცვლილებს ფაქტობრივად იგივე მოთხოვნილებები ჰქონდათ, როგორც ცოცხლებს, მაგრამ, რადგან ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გასაგები მიზეზების გამო მათ არ შეეძლოთ, ისინი დამოკიდებულები იყვნენ ცოცხლებზე. სავარაუდოდ, იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიჩენდა თავს ამ კუთხით ჭირისუფალი, იცვლებოდა გარდაცვლილების განწყობაც. უკმაყოფილების (უყურადღებობის) შემთხვევაში ჭირისუფალს ელოდა მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრება. კონცეპტი იყო მარტივი და გასაგები: „ვინც არ ზრუნავს საკუთარ მიცვალებულზე, უნდა ელოდოს მისგან შურისძიებას“ (Хааз, 1999).

[19] დაკრძალვის სრული რიტუალი (πρόθεσις, ἐκφορά, περίδειπνον) გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. არისტოფანე კომედიაში „პლუტოსი“, რომელიც ძვ. წ. 388 წელს დაიდგა, წერდა, რომ „უპოვრებს იმის თავიც კი არ აქვთ, რომ საკუთარი დაკრძალვის ხარჯები გაიღონ“.

[20] „ობოლი“ თარგმანში და ეტიმოლოგიურადაც აღნიშნავს „შუბს“ ან „შამფურს“, რაც, მკვლევართა აზრით, გამოძახილი უნდა იყოს ადრეული ეპოქის რეალობისა, როდესაც ფულის ფუნქციას რკინის წნელები ასრულებდნენ (Словарь Античности, 1989:387).

ის ნებართვას ხელმეორედ მიიღებს (Lipset, 2014:4).[21]

ქარონი,[22] როგორც მითოლოგიური პერსონაჟი, რთული და არაერთგვაროვანი ფიგურაა. ანტიკური მითოლოგიის სპეციალისტების საერთო აღიარებით, ქარონის სახის სიღრმისეულად წარმოჩენა, საუკუნეთა მანძილზე ხალხთა წარმოდგენებში მისი ტრანსფორმაციის კვლევა, „ლაბირინთებში ხეტიალს" შეიძლება შევადაროთ.

ქარონი მარტოხელაა, უცოლო. მამა - ერებოსი - წყვდიადის ღმერთია, დედა - ნიკტი კი - ღამის ქალღმერთი. ქარონის ძმებია

---

[21] უსიამოვნება თავიდან რომ აეცილებიათ, ჭირისუფალი თადარიგს დროულად იჭერდა და ქარონის გასამრჯელოს მიცვალებულს სამარხში აყოლებდა. რომაელი სატირიკოსი და პოეტი დეციმუს იუნიუს იუვენალისი თავის ერთ-ერთ სატირაში საუბრობს კაცზე, რომელიც ჭირისუფალმა მონეტით ვერ უზრუნველყო, რადგან ეს უკანასკნელი უეცრად გარდაიცვალა. ამიტომ, გარდაცვლილის სული უშედეგოდ ელოდებოდა ნაპირზე მენავეს (Waser, 1898:32).

[22] სახელი ქარონი (Χάρων) ბერძნულად „სიკაშკაშეს" ნიშნავს. მისი ლათინური შესატყვისია ქარუნი (Charōn). ერთ-ერთი ვერსიით სახელი ქარონი პოეტური ფორმაა ზედსართავი სახელის „ხარაპოს" (χαροπός), რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მკვეთრი (გამჭოლი) მზერის მქონე". დიოდორე სიცილიელს თუ დავუჯერებთ, ქარონის სახელი ეგვიპტური ენიდან შემოვიდა. თავის ორმოცწიგნიან ნაშრომში, რომელსაც ის „ისტორიულ ბიბლიოთეკას" უწოდებს, აღნიშნავს, რომ ქარონის მითს ეგვიპტური ფესვები აქვს (Waser, 1998:12). ავტორი აღნიშნავს, რომ ორფეოსმა, ეგვიპტური დაკრძალვის ცერემონიალების გავლენით, თვითონ შექმნა მითი ჰადესის შესახებ. იქვე, საუბრობს მემფისთან ახლოს მდებარე აქერუსიის ტბაზე (შეად. მდ. აქერონტი), რომელსაც „მიცვალებულთა სახლად" მოიხსენიებს (Alföldy-Găzdac, Găzdac, 2013:293). მართლაც, ძველეგვიპტურ მითოლოგიაში ღმერთი აკენი გვევლინება მეთვალყურედ „მესეკეტად" წოდებული ნავისა, რომელსაც მენავე მახაფის დახმარებით სულები გადაჰყავს მეორე ნაპირზე. მახაფი, აკენისგან განსხვავებით, თაყვანისცემის ობიექტი ვერ გახდა და ვერც კულტად ჩამოყალიბდა, თუმცა „მკვდართა წიგნში" მრავალჯერ არის მოხსენიებული. თუმცა, არსებობს განსხვავებული არაერთი ვერსია, რომლებიც უარყოფენ ეგვიპტური აკენის კავშირს ბერძნულ ქარონთან (Radwan Abdel-Rady Sayed Ahmed, 2016:157).

თანატოსი და ჰიპნოსი. ატიკურ ლეკითოსებზე ქარონი გამოსახულია უბადრუკ და უხეშ მოხუცად,[23] ჩავარდნილი ლოყებით, მოცისფრო-მორუხო კანით, კეხიანი ცხვირით, ბინძური წვერით, გაქონილ სამოსში ჩაკრული თმებით. ქარონის ნავი ძველია, მხოლოდ ერთი ნიჩაბი აქვს, ღრიჭოიანია და - ქარონისა და მისი მგზავრების სიმძიმის გამო - მოჭრიჭინე.[24]

ადრეული ქარონი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ეტრუსკულ ხარუსთან (კობახიძე, 2004: 175)[25] და ჰერმესის ფსიქოპომპოსთან[26]

---

[23] ქარონის ასაკი ანტიკურ ლიტერატურულ ყველა წყაროში ცალსახად აქცენტირებულია. მკვლევართა აზრით, ქარონის ასაკი (მოხუცებული) ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს და უფრო ლოგიკურს (ან დამაჯერებელს) ხდის მის ფუნქციას ადამიანთა სულების ცოცხალთა ქვეყნიდან მიწისქვეშეთში გადამყვანისა (Стелькин, 2016:111).

[24] თუ შევადარებთ კლასიკური პერიოდის მითებს მოგვიანო ინტერპრეტაციებს, დავრწმუნდებით, რომ მიწისქვეშეთში ჩასულთა მოტივაცია შესაძლოა სხვადასხვა ყოფილიყო, მაგრამ ყველა გარკვეული ტიპის წინააღმდეგობას აწყდებოდა (რაც ყოველთვის მდინარეს არ უკავშირდება). ჩნდება მენავე, მიდის მოლაპარაკება გადაყვანის საფასურზე და ნავს გადაჰყავს მგზავრები მეორე ნაპირზე. ნავი წარმოადგენს ერთგვარ მეტაფორას ადამიანის ერთი მდგომარეობიდან (სიცოცხლე) მეორეში (სიკვდილი) გადასვლის (Lipset, 2014:5). მკვლევართა აზრით, გარკვეულად ქარონის ძველმა, ცალნიჩბიანმა, უსახურმა, ნაჯაფარმა და მოჭრიჭინე ნავმა, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში (რაც ნაწილობრივ აისახა კიდეც ანტიკურ ლიტერატურაში) გააჩინა ქარონის მიმართ ერთგვარი ნიჰილისტურ დამოკიდებულება. იუვენალისი თავის სატირაში წერს, რომ „მხოლოდ ბავშვებმა, რომლებიც „აბანოშიც არ არიან ნამყოფი“ შეიძლება დაიჯერონ, რომ ერთი პატარა ნავით შეიძლება ამდენი ათასი კაცის მდინარეზე გადაყვანა“ (Стелькин, 2016:106-114). ქარონის თემა ზოგ წყაროში ირონიის საგანიცაა. მაგალითად: ლუკიანე სამოსატელი ცინიკურად სვამს კითხვას, რომ ქარონისთვის მიწისქვეშა სამყაროში რომელი მონეტა იქნება უფრო მისაღები: ატიკური, ეგინური თუ მაკედონური (Waser, 1898:32; Fio, 2011/ 2012:5).

[25] ეტრუსკულ მითოლოგიაში ქარონი/ხარუსი ჩნდება ძვ.წ. VI საუკუნიდან და პერსონიფიცირებულია სიკვდილის დემონთან (Benta, 1999:116).

(Alföldy-Găzdac/Găzdac, 2013:287; Vlachou, 2012:376), რომლებიც ჰადესის სამეფოში სულთა უსაფრთხოდ გადაყვანით იყვნენ „დაკავებულნი“. არსებობს ვერსია ქარონის და აღმოსავლეთ სლავების ღმერთის ველესის/ვოლოსის იდენტიფიკაციის შესახებ.[27] დე ველასკო ძვ.წ. V საუკუნეში ქარონის სახის ორ ვარიანტს გამოყოფს: ქარონი-აკმონიდი - სოფლის თემის მცხოვრებთა ღმერთი და ქარონი-მენავე-საზღვაო-სავაჭრო ცენტრის ათენის მოქალაქეების, მეზღვაურების და ვაჭრების ღმერთი. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ქარონი შორდება თავის „ძირითად პროფესიას“ მენავისა და უფრო ხშირად ასოცირდება სიკვდილთან, რასაც მოწმობს „Antologia Palatina“ -ს ეპიგრამები.[28] სიკვდილთან ასოცირდება მისი სახელი ბიზანტიურ ხალხურ წარმოდგენებშიც.[29] დანტეს ჯოჯოხეთში ქარონი უკვე ეშმაკის სტატუსით გვევლინება.[30] მოგვიანებით, XV საუკუნეში, ქარონი სახე კვლავ

---

[26] ჰომეროსის „ოდისეაში“ ჰადესში მიცვალებულთა გამცილებელი ჰერმესია, რომელსაც ფსიქოპომპოსი (ψυχοπομπός ბერძნ. „სულთა გამცილებელი“) შეარქვეს (Alföldy-Găzdac, GĂzdac, 2013:287).

[27] სლავური „ველესი“ ის ღმერთია, რომელთანაც სიკვდილის შემდეგ უნდა გამოცხადდნენ მიცვალებულთა სულები. ველესის სამფლობელო შორს - დასავლეთითაა, ცოცხალთა სამეფო გარდაცვლილთა სამეფოსგან წყლით არის გამოყოფილი (Kajkowski, 2015:20).

[28] მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ რომაულ ხანაში ორი ქარონი არსებობდა: ერთი ლიტერატურული - მიწისქვეშა სამყაროში მიცვალებულთა სულთა გადამყვანი, მეორე კი - არქაული - ზოომორფული მტაცებელი და მკვლელი (Стелькин, 2016:64).

[29] მიჩნეულია, რომ ბიზანტიური საზოგადოება წარმოადგენდა განსხვავებული რელიგიური წარმოდგენებით გაჯერებული და ერთმანეთთან საკმაოდ სუსტად დაკავშირებული სოციალური ჯგუფების ერთობლიობას, რის გამოც აქ საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდა უნივერსალური სახე ქარონი/ქაროსისა (Стелькин, 2016:52).

[30] XIV საუკუნეში ქარონი „ღვთაებრივ კომედიაში“ აღწერა დანტე ალიგიერმა. ქარონი პირველი პერსონაჟია, რომელსაც დანტეს გმირი ხვდება მიწისქვეშეთში (დანტე ალიგიერი, 2012:17-18). მიჩნეულია, რომ ქარონის დანტე-

ჩნდება ეპიკურ და არისტოკრატიულ პოეზიაში, როგორც შუბით და მშვილდ-ისრებით შეიარაღებული სიკვდილის დემონი, რომელიც თავის თავზე ასევე იღებს მონადირის ფუნქციასაც (Mihálykó, 2015:10).[31]

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების კვალობაზე, მითს ქარონის „მოღვაწეობის" შესახებ მატერიალური საფუძველი მოეძებნა. ანტიკური ეპოქის სამაროვანებზე დადასტურდა მიცვალებულთათვის სამარხში მონეტების ჩაყოლების პრაქტიკა,[32] ხოლო ძველი ბერძნული და ლათინური წერილობითი წყაროების გავლენით, მონეტები, რომლებიც სამარხებში დაფიქსირდა, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა „ქარონის ობოლის" სახელით.[33]

---

სეულ აღწერილობას დაეყრდნო მიქელანჯელო „სიქსტეს კაპელაზე" მუშაობის დროს.

[31] მკვლევართა აზრით, ძველი მითებისთვის დამახასიათებელია უნარი გამუდმებული განახლებისა, რომლის დროსაც ტრანსფორმაციას ექვემდებარება როგორც სიუჟეტი, ისე გმირის სახე (Waser, 1898: 36).

[32] აღნიშნული პრაქტიკის გავრცელების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური არეალი საკმაოდ ფართო აღმოჩნდა: ანტიკური პერიოდიდან თითქმის გვიან შუა საუკუნეებამდე და დასავლეთ ევროპიდან ცენტრალური აზიის ჩათვლით და სკანდინავიიდან სამხრეთ აფრიკამდე. თუ გამონაკლისებზე ვისაუბრებთ, წინა ელინისტურ ხანაში „ქარონის ობოლის" წესი არ დასტურდება ირანში, ბაქტრიაში და მეზობელ რეგიონებში. ელინისტურ პერიოდში ეს წესი ვრცელდება ცენტრალურ აზიაში, ირანში, მესოპოტამიასა და სამხრეთ კავკასიაში. მკვლევართა აზრით, ზოგ რეგიონში (მაგ. კავკასიის ალბანეთში) მისი გამოჩენა ამ ჩვეულების მიმდევარ მიგრანტთა დამსახურება უნდა ყოფილიყო (Гошгарлы, 2012:66). რაც შეეხება ისტორიულ კოლხეთში „ქარონის ობოლის" წესის გავრცელებას, ბ. კუფტინს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ბერძნული ელემენტის გავლენით მოხდა: „აშკარად ძველბერძნული ჩვევების გავლენით უდებდნენ მიცვალებულს ვერცხლის მონეტას (კოლხურს). ეს მეტყველებს ბერძნული წარმოდგენების ღრმად შეღწევაზე კოლხეთის მოსახლეობის რწმენებსა და დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში" (Куфтин, 1950:76).

[33] მკვლევართა აზრით, ქარონის მითში მონეტის გამოჩენა ადასტურებს, რომ მონეტა, შედარებით მცირე დროში, გადახდის საშუალებასთან ერთად

ძველ ლიტერატურულ წყაროებში „ქარონის ობოლი“ ხან სპილენძის მონეტაა (ყოველ შემთხვევაში ლუკიანე სამოსატელთან ქარონი მხოლოდ ამ ლითონს „იცნობს“),[34] ხან ბრინჯაოს,[35] ხან კი ვერცხლის. კლასიკურ ათენში ობოლი ვერცხლის მონეტა იყო. ძველბერძნულ სამონეტო სიტემაში 1 ტალანტი უდრიდა 60 მინას, მინა 100 დრაქმას, დრაქმა 6 ობოლს, ობოლი 8 ჰალკს. გამოიყენებოდა მონეტები ორი ("diobol") და სამი ("triobol") ობოლის ღირებულების. ობოლი ასევე იყო წონის ერთეულიც, რომელიც შეესაბამებოდა 0,65 გრამს (თუმცა, მასა სტანდარტების მიხედვით იცვლებოდა: ატიკური ობოლი იყო 0,65 გრამი, კუნძულ ეგინასი კი 1.05 გრამი) (Nicolet-Pierre, 2002:138-140). ობოლის მსყიდველობით უნართან დაკავშირებით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ძვ.წ. V საუკუნის ათენში ერთ ობოლად შეიძლებოდა ერთი დამარილე-

---

საკრალურ ნივთად იქცა და სხვადასხვა რიტუალის შემადგენელ ატრიბუტად ჩამოყალიბდა: „არა მხოლოდ ეს ქვეყანა „დაიპყრო“ ფულმა, არამედ ზეციურ და ხტონიურ სამეფოს ღმერთებიც მაშინვე მიხვდნენ მის „ღირებულებას“ (Găzdac, 2014:2). არსებობს მოსაზრება, რომ ძველ ბერძენთა ყოფაში სწორედ ფულის გამოჩენამ გააჩინა მითი ქარონის შესახებ, რომელიც, გარკვეული ტრანსფორმაციის შემდეგ, დამკვიდრდა ბერძნულ დაკრძალვის რიტუალში (Сударев, Болдырев, 2009:435).

[34] ლუკიანეს დიალოგებში ქარონი და ჰერმესი პარნასიდან აკვირდებიან კაცს, რომელსაც ზურგით ოქროს ფირფიტები მოაქვს. როგორც ჩანს, ქარონს სმენია ოქროს შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ის არასდროს არ უნახავს: „მე მხოლოდ სპილენძი ვიცი, რომელსაც ვაგროვებ მიწისქვეშეთში ჩამოსულებისგან“ (Doyen, 2012:12). თუმცა, ს. სტივენსი ლუკიანესთან ნახსენებ სპილენძს რატომღაც ბრინჯაოდ მოიხსენიებს (Stevens, 1991:217). შეიძლება ხაზი გავუსვათ კიდეც, რომ ანტიკური ეპოქის ლიტერატურულ სატირაში, სადაც მდიდარი ადამიანების იმ ქვეყანაში გადასვლის თემაც დასტურდება, ძირითადად ბრინჯაოს მონეტებია მითითებული.

[35] სამაროვნებზე ძირითადად ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტებია დადასტურებული. აპოლონია პონტიკას მილეზიის (თანამედროვე სოზოპოლი, ბულგარეთი) ნეკროპოლის ელინისტური ხანის სამარხებში მიკვლეული მონეტების 99%-ს ბრინჯაოს მონეტები შეადგენს (Yordanova, 2017:6).

ბული თევზის, ერთი ბოთლი ღვინის და ერთი ბოთლი ზეთის შეძენა. პელოპონესის ომის დროს ათენელ მეზღვაურთა დღიური ხელფასი იყო 3 ობოლი (Rutter, 1983:34-35). პლუტარქეს ცნობით, ძვ.წ. V საუკუნის ბოლოს ათენელ მსაჯულებს დღეში უხდიდნენ 3 ობოლს. ქსენოფონტეც მიუთითებს, რომ ნიკს, რომელსაც ლავრიონის ვერცხლის მაღაროს სამუშაოებზე მიჰყავდა ათასობით დაქირავებული მუშა, თითოეულ მათგანში უხდიდნენ მხოლოდ ერთ ობოლს (Блаватский, 1953:17). ძვ.წ. IV საუკუნეში კვალიფიცირებული მუშის, მაგალითად, ქვითხუროს, დღიური ანაზღაურება იყო 2 დრაჰმა (დაახლოებით 6 ობოლი), დაქირავებული მებრძოლის დღიური ხელფასი კი გაცილებით ნაკლები - 4 ობოლი.

მითოლოგიური ქარონის გასამრჯელოდ განკუთვნილ მონეტას (ობოლის ექვივალენტს) სხვადასხვა დროს მოიხსენიებდნენ ნავლონის (ბერძნული - ναῦλον, ლათინური-naulum) და პორტორიუმის (πορθμήϊον ან πορθμεῖον) სახელით (Doyen, 2012, IV), რაც ფაქტობრივად, ნავის საფასურს ნიშნავს.[36] ლათინურ წყაროებში მას ვიატიკუმიც (viaticum) ჰქვია, რაც სალაპარაკო ენაზე „სამგზავრო უზრუნველყოფას" ე.ი. ფულთან ერთად საგზალს და სხვა საგნებსაც გულისხმობს, მეტაფორულად კი სიცოცხლის ბოლოს სიკვდილისთვის მზადებასაც აღნიშნავს.[37] ქარონის მონეტას მოიხსენიებდნენ დანაკეს (ბერძნ. δανάκη, ლათ. danake) სახელითაც, რომელიც სპარსეთის იმპერიის პატარა მონეტა (dânake) იყო და მოგვიანებით უფრო საბერძნეთის აღმოსავლურ პროვინციებ-

---

[36] ნაულუმი ქრისტიანული ეპოქის ლექსიკოგრაფის ისიქიოს ალექსანდრიელის მიერ იწოდება მონეტად, რომელიც თავსდება მიცვალებულის პირის არეში (Nemeth, 2013:60).

[37] ლათინური ეკლესია ვიატიკუმს მოიხსენიებდა ევქარისტიის ფორმად, როდესაც პირში მოთავსებული მონეტა სიკვდილის პირას მყოფ ადამიანის სულს უზრუნველყოფს უკვდავებას.

ში იყო გავრცელებული.[38]

როგორც მოგახსენეთ, ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მიცვალებულთათვის სამარხში მონეტების ჩაყოლების წესის დამკვიდრება ძველ ბერძნებს მიეწერება. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დიდი ხნის მანძილზე სამეცნიერო ლიტერატურაში ანტიკური თუ მოგვიანო პერიოდის სამარხებში დადასტურებული მონეტები „ქარონის ობოლის“ წესის მატერიალურ გამოხატულებად იყო მიჩნეული.[39] მაგრამ, არქეოლოგიური კვლევა-ძიების მასშტაბის ზრდისა და ახალი სამარხეული კომპლექსების შესწავლის კვალობაზე,[40] ასევე, ანტიკური ლიტერატურული წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად, საკითხისადმი ტრადიციული მიდგომა შეიცვალა და გაჩნდა კონკრეტული კითხვები სამარხებში აღმოჩენილი მონეტების „ფუნქციონალური დანიშნულების“ არსებული ინტერპრეტაციის მართებულობის თაობაზე. კერძოდ, მკვლევართა ერთმა (არცთუ მცირე) ნაწილმა, ძველი ბერძნული და ლათინური წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის შეჯერების საფუძველზე, მიუღებლად მიიჩნია სხვადასხვა ეპოქისა და გეოგრაფიული მდებარეობის სამაროვნებზე აღმოჩენილი მონეტების უპირობო კავშირი „ქარონის ობოლთან“ (Alföldy-Găzdac, Găzdac, 2013:285–314; Stevens, 1991: 215–229; Doyen, 2012:XVIII; Brown, 2007:122; Fio,

[38] X საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიური ენციკლოპედიური ლექსიკონი „სვიდა“ („სუდა“) „დანაკეს“ განმარტავს, როგორც მიცვალებულისათვის სამარხში ჩატანებული მონეტას, რომელიც საჭიროა მდინარე აქერონის გადასალახავად.

[39] ევროპელი მკვლევრები გამოთქვამდნენ გაკვირვებას დაკრძალვის რიტუალის კონტექსტში სამარხებში აღმოჩენილი მონეტების კვლევის მეთოდოლოგიის არ არსებობის თაობაზე (Doyen, 2012: VII).

[40] შუა საუკუნეების მდიდარი დოკუმენტური წყაროების არსებობის გამო, არქეოლოგიური მონაცემები ყოველთვის არ იმსახურებდა ჯეროვან ყურადღებას, რაც საერთო აღიარებით, დიდი შეცდომა იყო (Traviani, 2004:196).

2011/2012:4,5; Miškec, 2012:133 და ა.შ).[41] მათი აზრით, თუ სამარხში აღმოჩენილი მონეტა არ შეესაბამება „ქარონის ობოლის“ წესის გაწერილ წინაპირობებს (რაოდენობა, ლითონი, ნომინალური ღირებულება, განთავსების ადგილი და ა.შ.), არ არის მართებული მათი გაიგივება „ქარონის ობოლთან.“ განსხვავებული მოცემულობის შემთხვევაში, სამარხებში აღმოჩენილი მონეტები შესაძლოა განვიხილოთ კონკრეტული ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის ლოკალური რწმენა-წარმოდგენების გამოხატულებად.[42]

სკეპტიკოსთა ძირითადი არგუმენტები ერთი შეხედვით მარტივია, თუმცა არც გარკვეულ საფუძველსაა მოკლებული. ისი-

---

[41] ამ თვალსაზრისით, ყველაზე კატეგორიული გახლავთ კ. გრინდერ-ჰანსენი, რომელიც თვლის, რომ არსებითი განსხვავება ძველ ლიტერატურულ წყაროებსა და არქეოლოგიურ გათხრების მონაცემებს შორის ნათლად მეტყველებს იმის თაობაზე, რომ სამარხეული მონეტების ინტერპრეტაცია „ქარონის ობოლთან“ პრაქტიკულად შეუძლებელია როგორც ბერძნული, ასევე რომაული პერიოდისთვის (Grinder-Hansen, 1991:214).

[42] ს. სტივენსის აზრით „ქარონის ობოლის“ წესის არსის სწორად გაგებისთვის, სასურველია, რომ რიტუალი გავაცალკევოთ მითისგან - დავშორდეთ ქარონს და სამარხების შესწავლით გავარკვიოთ მონეტების ჩაყოლების წესის ადგილი დაკრძალვის რიტუალში, რადგან არქეოლოგიური მასალის დაგროვების კვალობაზე, „ქარონის ობოლი“ წარმოჩნდება მხოლოდ ერთ-ერთ გამოვლინებად დაკრძალვის რიტუალში გამოყენებული მონეტების ფუნქციონალური დატვირთვის კონტექსტში (Stevens, 1991:215). კ. გრინდერ-ჰანსენის თვლის, რომ ”ქარონის ობოლთან“ დაკავშირებული საკითხების გასააზრებლად უპრიანია ქრონოლოგიურადაც გაიმიჯნოს: ქარონი - მითოლოგიური პერსონაჟი, ქარონი - მენავე - მდინარეზე მიცვალებულთა სულების გადამყვანი (ანაზღაურების გარეშე); ქარონი - მენავე - მდინარეზე მიცვალებულთა სულთა გადამყვანი (ანაზღაურებით) (Grinder-Hansen, 1991). ლ.ბრაუნი აზრით, კონკრეტული პრობლემის კვლევის პროცესში მიზანშეწონილია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სამარხებში მონეტების განთავსების ადგილმონაცვლეობის დინამიკაზე, ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო, ვერცხლი) სახეობაზე, პირველადი ან მეორადი გამოყენების ფაქტებზე, რომ დადგინდეს სხვადასხვა რეგიონში ქარონის ობოლის წესის განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძვლები (Brown, 2007:122).

ნი თვლიან, რომ თუ ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებში ეჭვს არ შევიტანთ და პრობლემის ანალიზის დროს ძირითადად მათ დავეყრდნობით, მაშინ „ქარონის ობოლი“, როგორც მონეტა, ოთხი მთავარი (არსებითი) მახასიათებლით მაინც უნდა განვსაზღვროთ, კერძოდ: 1. „ქარონის ობოლი“ არის უშუალოდ ქარონის მომსახურების გადასახადი; 2. ის მხოლოდ ერთი მონეტაა, თან შედარებით დაბალი ნომინალის; 3. მას მიცვალებულს პირში უდებენ; 4. მას მიცვალებულს აყოლებენ სამარხეულ ორმოში ჩასვენებამდე[43] (Stevens, 1993: 216; Grinder-Hansen, 1991).[44] ჩვენი სურვილია, ცალ-ცალკე განვიხილოთ „ქარონის ობოლის“ წესის ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები და შევეცადოთ გამოვკვეთოთ ის წინააღმდეგობები თუ შეუსაბამობები, რომლებიც ჩნდება ძველი წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების საფუძველზე.

1. „ქარონის ობოლი“ არის უშუალოდ ქარონის მომსახურების გადასახადი.

---

[43] მონეტის ჩაყოლების დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს „ქარონის ობოლის“ წესის გააზრებისთვის და ამის თაობაზე კიდევ გვექნება საუბარი. ამ დეტალს ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ზოგ რეგიონში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, დაკრძალვის პროცესის მონაწილეები მიცვალებულს სამარხეულ ორმოში ჩასვენების შემდეგაც აყოლებდნენ (აყრიდნენ ხის კუბოზე) მონეტებს (Toynbee, 1971).

[44] არაერთ ნაშრომში, რომელიც მატერიკული საბერძნეთიდან საკმაოდ თუ მეტ-ნაკლებად დაშორებულ ტერიტორიაზე (ციმბირი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.) სამარხებში მიკვლეულ მონეტებს ეძღვნება, „ქარონის ობოლის“ იდენტიფიცირება სკრუპულოზურად, ზოგჯერ ზედმეტად კატეგორიულად, ხდება მხოლოდ და მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინებით. მაგალითად, კარმირ-ბლურის ძვ.წ. IV საუკუნის სამაროვანზე №1 სამარხში მიცვალებულის პირში მონეტა ვერცხლის დრაქმა დაფიქსირდა. ძეგლის მკვლევრებმა სამარხი არაბერძნულად მიიჩნიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ობოლის ნაცვლად აქ დრაქმა იყო ჩაყოლებული (Полеводов, Корусенко, 2009:194; Вайман, Тирацян, 1974:65-66)

თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბერძნეთის არგოსსა და კვიპროსში გეომეტრიული პერიოდის (ძვ.წ. XI-VII სს.) სამარხებში მიკვლეულ ე.წ. რკინის წნელების (Nemeth, 2013:60)[45] თუ შუბების შეკვრას[46] და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ოლბიისა და ბერეზანის ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილ დელფინის თუ ისრის მსგავს ფიგურებს, რომლებიც ზოგი მკვლევრის მიერ წინა მონეტებადაა მიჩნეული (Рубан, 1982:15-20; Карышковский, 1988:34-40),[47] ყველაზე ადრეული ვერცხლის ობოლი კორინთოს ჩრდილოეთის სამაროვნის ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით დათარიღებულ სამარხშია დაფიქსირებული (Grinder-Hansen, 1991:221). ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვნების ადრეული მასალების მიხედვით,

[45] როგორც ჩანს, რკინის წნელების შენახვას გარკვეული სივრცე სჭირდებოდა, ამიტომ, მათ დასაწყობად ბერძნები საკუჭნაოებსაც კი აგებდნენ, ხოლო, როდესაც ბაზარში მიდიოდნენ, „ფული“ ურმით მიჰქონდათ (Плутарх, 1987:22).

[46] ძველი თქმულების მიხედვით, როდესაც არგოს ტირანმა მეფე ფიდონმა, ბაბილონურ და ფინიკიურ სტანდარტებზე დაყრდნობით, შემოიღო წონის და სიგრძის ერთიანი სისტემა, ამ საქმეს მსხვერპლად შესწირა რკინის შუბების შეკვრა, რომლებიც იწოდებოდა „obeloi“/„obeliskoi“. ძველი ბერძნული ნამოსახლარების არქეოლოგიური გათხრების შედეგად მართლაც ჩნდებოდა ექვს ცალად შეკრული 1,5 მეტრამდე სიგრძის შუბები. როგორც ჩანს, ექვსი ცალი იყო სწორედ ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის ხელით მოჭიდება ადამიანს ფიზიკურად შეეძლო. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ „მოჭიდებიდან“ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ფულის სახელი “drachma“ («drassomai» – მოჭიდება)( Кулишер, 1925:205). პლუტარქე „რჩეულ ბიოგრაფიებში“ მიუთითებს, რომ ექვსი ობოლი (აქ უფრო კლასიკური ფორმის მონეტებზე უნდა იყოს ლაპარაკი) იყო მონეტების ის რაოდენობა, რომელიც ადამიანის მუჭში თავისუფლად თავსდებოდა (Плутарх, 1987:22).

[47] რუსი მკვლევრების აზრით, ისრის ფორმის „მონეტები“ ქრონოლოგიურად წინ უძღოდა თევზის (დელფინის) ფორმის „მონეტებს“ (Рубан, 1982;17). თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისრისა და დელფინის ფორმის მონეტების კავშირი „ქარონის ობოლთან“ ევროპელი მკვლევრების მიერ არ არის სრულად გაზიარებული (Robinson 1942, 204; Stevens 1991, 227).

პროფ. ა.კახიძეც მიიჩნევს, რომ აქ ბერძენი მოახალშენები „ქარონ-ის ობოლის“ წესს ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედ-იდან ასრულებდნენ (კახიძე, ვიკერსი, 2004:47). ისტრიის სამა-როვანზეც ძვ.წ. V საუკუნის შუა წლებით დათარიღებულ ინვენტ-ართან (ქიოსური და ლესბოსური ამფორები), ერთად, ნანახია ორი მონეტა, რომლებსაც ძეგლის მკვლევრები, თუმცა ირიბად, მაგრამ მაინც, „ქარონის ობოლის“ წესს უკავშირებენ (Benta, 1999:259).[48] თუ ანტიკური ეპოქის სხვა სამაროვნებზე მიკვლეული მონეტების სტატისტიკას მოვიხმობთ, დავრწმუნდებით, რომ შედარებით ადრეულ პერიოდში (ძვ.წ.V საუკუნის მეორე ნახევა-რშიც კი) სამარხებში მონეტების მიკვლევის ფაქტი იშვიათობას წარმოადგენს (Garland, 2001:23).[49]

თეორიულად მაინც თუ დავუშვებთ, რომ ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით დათარიღებულ სამარხებში მონეტები „ქარო-ნის ობოლის“ წესის შესრულების კვალობაზე მოხვდნენ, მაშინ,

---

[48] მონეტებთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ნავის ფიგურა, რის კვალობაზეც კიდევ უფრო გამყარდა ვერსია სამარხში ჩაყოლებული მონეტების კავშირისა „ქარონის ობოლის“ წესთან (Benta, 1999: 259).

[49] ადრეული ეპოქის სამაროვნებზე სამარხებში მონეტების სიმცირე ამის ნათელი დადასტურებაა. მაგალითად, ოლბიის ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრის და IV საუკუნის დასაწყისის სამარხებში მონეტები დადასტურდა სამარხების მხოლოდ 1%-ში, მაშინ როდესაც ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს მო-ნეტები ფიქსირდება სამარხeბის 50%-ში (Папанова, 2006:220). ძვ.წ. V საუკუნ-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ ოლინთოს სამარხებში მონეტები აღ-მოჩნდა სამარხთა მხოლოდ 10,2%, ხოლო პოსეიდონიაში სამარხთა-4,5% (Nemeth, 2013:61). ძვ.წ. IV საუკუნეში სამარხებში მონეტების ჩაყოლების პრაქტიკა უფრო ინტენსიური ხდება, მაგრამ ის საყოველთა ხასიათს მაინც ვერ ღებულობს. ასე, მაგალითად: კორინთოს ჩრდილო ნაწილში გათხრილ სამაროვანზე, ძვ. წ. VI-III საუკუნეების 500 სამარხიდან მონეტები აღმოჩნდა მხოლოდ 16 სამარხში (3%). შედარებით მაღალი მაჩვენებელი დადასტურდა კალციდის სამაროვანის ძვ. წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებულ 644 სამ-არხში მონეტები აღმოჩნდა 64 სამარხში (10%) (Fio, 2011/ 2012:6).

ალბათ, ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ეს წესი გათავისებული უნდა ჰქონოდა და მისაღები უნდა ყოფილიყო ბერძნული საზოგადოებისთვის ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში მაინც. შესაძლოა, წლების სიზუსტით ვერ დადგინდეს, თუ როდის ჩამოყალიბდა დაკრძალვის რიტუალში ნორმად „ქარონის ობოლის“ ჩაყოლების წესი, მაგრამ ფაქტია, რომ ძვ.წ. V საუკუნის პირველ ნახევარში ამ წესს (ხაზს ვუსვამთ: საუბარი გვაქვს არა ქარონზე, როგორც მითოლოგიურ პერსონაჟზე, არამედ „ქარონის ობოლის“ წესზე) ელინთა წერილობით წყაროებში იმპერატიული ნორმის ადექვატური ასახვა არ ჰქონია.

საკითხში უფრო მეტი სიცხადის შეტანისთვის, ალბათ, სასურველია, თვით მითოლოგიური ქარონის ევოლუციის საკითხსაც შევეხოთ. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ქარონი არსად ჩანს ადრეული ეპოქის ბერძენ პოეტთა შემოქმედებაში. ჰომეროსის „ოდისეაში“ ოდისევსი მკვდართა სამეფოში ყოფნის დროს სხვადასხვა პერსონაჟს ხვდება, მაგრამ ქარონის თაობაზე იქ საუბარი არ არის (თუმცა, მოხსენიებულია მდინარე აქერონტი).[50] ჰესიოდეს „თეოგონიაში“, სადაც საუბარია ღმერთების დაბადების შესახებ, არ არის მოხსენიებული ქარონი (Garland, 1985:55-56; Латышевъ, 1899:246). მკვლევართა აზრით, ქარონის ფიგურა, როგორც აჩრდილთა სამეფოში მიცვალებულთა სულების გადამყვანის, მოგვიანებით შემოვიდა ბერძნულ მითოლოგიაში (Retief, Cilliers, 2005:46).[51]

---

[50] ჰომეროსის „ოდისეაში“ ჰადესში მიცვალებულთა გამცილებელი ჰერმესია, რომელსაც ფსიქოპომპოსი (ψυχοπομπός ბერძნ. „სულთა გამცილებელი“) შეარქვეს (Alföldy-Găzdac, GĂzdac, 2013:287).

[51] ჟან დოუენი თვლის, ქარონი მხოლოდ მოგვიანოდ გამოჩნდა მითოლოგიურ სცენაზე და მას არასოდეს არ ეკავა ოფიციალური ადგილი ბერძნულ მითოლოგიაში (Doyen, 2012). ფ. დიეზ დე ველასკოს აზრით, ქარონი დამკვიდრდა ბერძნულ მითოლოგიაში მას შემდეგ, რაც ათენელებმა გაიმყარეს

ყველაზე ადრეული ლიტერატურული წყარო, სადაც ქარონის სახელი გვხვდება, არის ფოკეას წარწერა (სხვადასხვა კვლევებით: ძვ.წ. VI საუკუნე - ძვ. წ.V საუკუნე). ამ წარწერაში ქარონი გარდაცვლილთა სულების გადამყვანზე მეტად სიკვდილის სინონიმია და გარდაცვლილებს „ხვედრს უმსუბუქებს“ (Garland, 2001:54).[52] ქარონი-მენავე, მდინარეზე სულთა გადამყვანი (ოღონდ ანაზღაურების გარეშე), მოხსენიებულია ანონიმურ ეპიკურ პოემაში „მინიადაში“ (სხვადასხვა კვლევით: ძვ.წ. VI საუკუნის დასასრული - ძვ.წ.V საუკუნის დასაწყისი - ძვ.წ.IV საუკუნის შუა წლები) (Fio, 2011/2012:3); ძვ.წ.V საუკუნის დასაწყისი - ძვ.წ. IV საუკუნის შუა წლები), რომელიც პავსანიამ შემოგვინახა (Alföldy-Găzdac, Găzdac, 2013:287).[53] ევრიპიდეს „ალკესტაში“ (ძვ.წ. 483წ.) ქარონი

---

პოზიციები პოლიტიკური ხელისუფლების დონეზე (Benta, 1999:89). ჯ. ლოუსონის აზრითაც ქარონი მოგვიანო პერიოდის ლიტერატურული გმირია, რომელიც ბეოტიაში დაწერილ ანონიმური პოემა „მინიადადან“ ჩნდება ძვ.წ.V საუკუნის დასაწყისსა და ძვ.წ. IV საუკუნის შუა პერიოდში. ე. სტელკინი აღნიშნავს, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ქარონის შემოსვლის შემდეგ ცვლილებები თვალსაჩინოა: იცვლება თვით ჰადესი, რომელიც უკვე წარმოდგება არა ველურ და შეუზღუდავი სიკვდილის ადგილად, არამედ როგორც ზევსის კანონიერ სამეფოდ. მიწისქვეშეთის აღწერა ხდება უფრო ლოგიკური და სიუჟეტურად საფუძვლიანი (Стелькин, 2016:106). კ. გრინდერ-ჰანსენი ხაზს უსვამს, რომ „ქარონის ობოლის“ წესი, თავის მხრივ, ქარონის მითის მოგვიანო დამატებაა და ვერ გამოდგება კლასიკურ პერიოდში სამარხეული მონეტების ქარონისთვის მიწერის მთავარ არგუმენტად (Grindel-Hansen, 1991:209).

[52] „ეი, ქარონ, არავინ გძრახავს შენ, მაშინაც კი როდესაც გარდაიცვლება, შენ, რომელმაც გაანთავისუფლა ბევრი ადამიანი მძიმე საქმიანობისგან“ (Garland, 2001:55)

[53] ანტიკური კულტურის მკვლევართა აზრით, „მინიადამ“ შექმნა ქარონის ერთგვარი სტანდარტი ანტიკური ლიტერატურისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტანდარტი დაცული იყო კერამიკის მოხატულობაში. მკვლევრები თვლიან, რომ თეთრფონიან ლეკითოსებზე აღბეჭდილი ქარონი წარმოადგენს ვარიაციას პოლიგნოტის ნახატისა, რომელმაც ქარონის თემა შემოიტანა სწორედ „მინიადის“ მიხედვით. ერთ-ერთი პირველი გამოსახულება ქარო-

ასევე წარმოდგება როგორც სულთა გადამყვანი, ოღონდ უკვე ნიჩბით ხელში. ესქილეს ტრაგედიაში „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, რომელიც დაიდგა ძვ.წ. 467 წელს, საუბარია ქარონის ნავზე და არა სულების გადამყვან ქარონზე (Grinder-Hansen, 1991:208). ქარონი მოხსენიებულია ესქილესთან, სოფოკლესთან და ევრიპიდესთან როგორც მეორეხარისხოვანი, დამხმარე პერსონაჟი. პოეზიას, დრამასა და სატირის გარდა ქარონზე საუბარია ანტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში. სტრაბონი აღწერს ქარონის გამოქვაბულებს, პლატონის დიალოგებში საუბარია ქარონზე და მის ნავზე.[54]

თუ წერილობით წყაროებს დავეყრდნობით, ამ მცირე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში, ძვ.წ. V საუკუნის პირველ ნახევარისთვის ჯერ არ არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ ქარონის მომსახურება ფასიანი იყო. მიცვალებულთა სულების მდინარეზე გადაყვანაში ქარონი თანხას პირველად ითხოვს არისტოფანეს კომედიაში „ბაყაყები“ (ძვ.წ.405 წ.). თუმცა, როგორც დ. რობინსონი განმარტავს, არისტოფანესთან (შეგვიძლია წავიკითხოთ-არისტოფანეს დროს) არ არის საუბარი იმის შესახებ, რომ ქარონისთვის განკუთვნილ მონეტას მიცვალებულებს საფლავში ატანდნენ (Robinson, 1942:204).

ამიტომ, ჩვენც ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ ძვ.წ. V საუკ-

---

ნი-მენავისა დასტურდება კემბრიჯის, ოქსფორდის, ბერლინის, მეტროპოლიტენ-მუზეუმში დაცულ ატიკურ ლეკითოსებზე (Garland, 2001:56) და ფრანკფურტის ატიკურ ესხარაზე (Benta, 1999: 92), რომლებიც თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით.

[54] ელინისტურ პერიოდში ქარონი მოხსენიებული ყავს მხოლოდ კალიმაქე ალექსანდრიელს (ძვ.წ. III ს.) ქარონზე, როგორც მდინარეზე მიცვალებულთა სულების ფულით გადამყვანზე, უფრო ხშირად საუბარია რომაული ხანის წყაროებში (დიოდორე სიცილიელი, ვირგილიუსი, ოვიდიუსი და ა.შ). ქარონის ასევე ხშირად მოიხსენიება ბიზანტიურ ლიტერატურაში (პროკოპი კესარიელი, იოანე ფილოპონი, მიქაელ პსელოსი და ა.შ.).

უნის პირველი ნახევრისთვის სამარხებში მონეტების ჩაყოლებას, სავარაუდოდ, სხვა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა. ერთ-ერთი ნაკლებად გავრცელებული ვერსიის თანახმად, მიცვალებულისთვის ჩაყოლებული მონეტა თავდაპირველად ქარონის მომსახურეობისთვის არ იყო გამიზნული. ის ითვლებოდა ერთგვარ სიმბოლურ თანხად, რომელსაც გარდაცვლილს იმქვეყნად ატანდნენ სხვადასხვა მიზნით, რაც კონკრეტული თემის თუ ჯგუფის რწმენა-წარმოდგენებით უნდა ყოფილიყო განპირობებული (Винничук, 1988).[55]

2. „ქარონის ობოლი" ერთი მონეტაა, თან დაბალი ნომინალის.

ძველი ლიტერატურული წყაროები ცალსახად მიუთითებენ, რომ ქარონის მომსახურების გადასახადი ერთ ობოლს შეადგენს. ერთადერთი გამონაკლისი, სადაც საუბარია ქარონის განსხვავებულ გასამრჯელოზე (ორი ობოლი) არის არისტოფანეს „ბაყაყები".[56] მკვლევართა აზრით, გადასახადის ორ ობოლამდე „გაზრდა" ეს იყო არისტოფანეს ერთგვარი ირონია იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც მოჰყვა პელოპონესის ომის შემდეგ ათენში დაწყებულ ინფლაციური პროცესებს (Fio, 2011/2012:4).[57]

---

[55] სლოვენიის ემონას რომაული ეპოქის სამაროვნის მასალებზე დაყრდნობით, ა. მიშკეციც არ გამორიცხავს, რომ მოგვიანო პერიოდშიც კი, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ან ეთნიკურ ჯგუფში, განსხვავებული შეხედულებები არსებობდა იმ ქვეყანაში მოხვედრის გზების შესახებ, სადაც ქარონი არ მოიაზრებოდა (Miškec, 2012:139).

[56] ქარონის გასამრჯელოს თემა გაჟღერდა ჰერაკლეს და დიონისეს დიალოგში. *ჰერაკლე:* ტბაზე გადაგიყვანს მოხუცი მენიჩბე პატარა კანჯოთი. ორ ობოლს მოითხოვს. *დიონისე:* რა ძალა ჰქონია ორ ობოლს ჰადესშიც! (არისტოფანე, 2009).

[57] ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ქარონის გასამრჯელოს ორ ობოლამდე გაზრდა იყო ათენის პოლიტიკური მოღვაწის კლეოფონის ინიციატივის ერთგვარი გამოძახილი. შეგახსენებთ, რომ კლეოფონის ჩვენ მიერ მოხსე-

რატომ მხოლოდ ერთი ობოლი? რამდენად არსებითია ეს დეტალი „ქარონის ობოლის“ წესის სწორად გაგებისთვის?

ფაქტობრივად, ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ქარონთან დაკავშირებულ მითოლოგიურ ისტორიებში „ერთ ობოლს“ სიმბოლური დატვირთვა აქვს. ფაქტია, რომ ის ფულის ერთეულია, მაგრამ დაბალი ნომინალის, თუმცა საკმარისი იმისთვის, რომ გარდაცვლილის სულმა მიწისქვეშეთში მიმავალ გზაზე ყველა წინააღმდეგობა გადალახოს და სასურველ ადგილს მიაღწიოს. ის, რომ იმქვეყნად გასამგზავრებლად საჭირო თანხა მინიმალურია (მხოლოდ ერთი ობოლი), თავის მხრივ, აზრს უკარგავს ადამიანთა ამქვეყნიურ დაუოკებელ სწრაფვას ყველა საშუალებებით სიმდიდრის დაგროვებისა. Antologia Palatina-ში დაცულ ეპიგრამაში სულს ასე მიმართავენ: „როდესაც გარდაიცვლები შენი ქონ-

---

ნიებული ინიციატივა გულისხმობდა ღარიბ მოსახლეობაზე ყოველდღიურად ორი ობოლის ფულადი დახმარების გაცემას (Roselli, 2009:24). დ. რობინსონი თვლის, რომ კითხვაზე პასუხი უფრო მარტივი უნდა იყოს. მკვლევრის აზრით, მეორე ობოლი განკუთვნილი იყო დიონისეს მსახურის ქსანფიას გადასაყვანად (Robinson, 1942:203). ორი ობოლი ასევე ფიგურირებს აპულეიუსის „მეტამორფოზებში“, როდესაც ფსიქეს სთავაზობენ პირში ორი ობოლის ჩადებას (მეორე მონეტა აქ საჭიროა უკანა გზის „დასაფინანსებლად“). აპულეიუსის აღნიშნული პასაჟის ინტერპრეტაციის საფუძველზე, რუსმა მკვლევრებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ, შესაძლოა, მიცვალებულისთვის მეორე ობოლის ჩაყოლება/გატანება იმ სურვილით იყო მოტივირებული, რომ გარდაცვლილებს, იგივე თანხის (დამატებით ერთი ობოლი) გადახდის შემდეგ, შესაძლებლობა ჰქონოდათ კვლავ ცოცხალთა ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ (Терещенко, 2018:70). გარკვეული მოტივაციას ეფუძნებოდა ვარაუდი, რომ თუ ქარონს ფულს არ გადაუხდიდნენ, ის უარს იტყოდა მომსახურეობაზე და გარდაცვლილები ისევ ამ ქვეყანას დაუბრუნდებოდნენ. ვფიქრობთ, რომ ქარონისთვის თანხის გადახდა/არ გადახდის კონტექსტში, უდავოდ საინტერესოა ი. მორისის მოსაზრება: „მიცვალებულებისთვის ფულის არ გატანა არ უნდა მიუნიშნებდეს მავანთა ილუზიაზე, რომ გასამრჯელოს მიუღებლად ქარონი მათ არ წაიყვანდა ჰადესის ქვეყანაში და ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდნენ“ (Morris, 1992:106).

ებიდან გაიყოლე მხოლოდ ერთი ობოლი“(Бердина, 2015:75). სხვა სიტყვებით, განურჩევლად იმისა თუ რა ქონებას დააგროვებ, იმ ქვეყნად შეგიძლია წაიღო მხოლოდ ერთი ობოლი. ლუკიანე სამოსატელის დიალოგებში დიოგენე პოლიდევკს მდიდრებთან გადასაცემად აბარებს, რომ ნუ მოცდებიან სიმდიდრის დაგროვებით, რადგან მალე მიწისქვეშა სამყაროში მოხვდებიან და იქ მათ ქარონისთვის მხოლოდ ერთი ობოლი დასჭირდებათ. ღარიბებს კი უთვლის, რომ არ მიეცენ წუხილს, რადგან მიცვალებულთა სამყაროში ყველანი თანასწორია. ელინისტურ ხანაში, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გაურკვევლობით განპირობებული დეკადენსით და პესიმიზმით დამძიმებული პოეტებიც სვამენ რიტორიკულ კითხვას: ღირს კი საერთოდ სიმდიდრის დაგროვება, თუ ყველაფერი სიკვდილით მთავრდება? თეოკრიტეც „იდილიებში“ ხატოვნად აღნიშნავს, რომ: „დედამიწაზე მოპოვებული ვერავითარი სიმდიდრე ვერ გადალახავს მდინარე სტიქსს“ (Găzdac, Găzdac, 2013:291).

ჩვენი აზრით, მეორე მინიშნება, რომელიც „ერთი ობოლის“ მოცემულობაში შეიძლება წავიკითხოთ, ქარონის „შეზღუდული უფლებამოსილების“ მკაფიო აქცენტირებაა, რაც აისახება კიდეც მის უპირობო ვალდებულებაში (შეუსრულებლობა - ისჯება) მიცვალებულთა სულები მდინარეზე მხოლოდ ერთი მიმართულებით გადაიყვანოს და არავითარ შემთხვევაში უკან არ დააბრუნოს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ პარადიგმა - „ერთი ობოლი - ერთი გზა“ აზრობრივადაც არსებული მოცემულობის ადექვატური უნდა ყოფილიყო.

არ გამოვრიცხავთ, რომ ქარონის გასამრჯელოდ მხოლოდ ერთი მონეტის განსაზღვრას პრაქტიკული დატვირთვაც ჰქონოდა. ვაღიარებთ, რომ ჩვენი მოსაზრება უფრო ინტუიციურია და ჰიპოთეტური, ვიდრე ფაქტობრივი მასალით გამყარებული, მაგ-

რამ, თუ ისევ ლიტერატურულ წყაროებს მოვიხმობთ, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქარონის მონეტა მიცვალებულის პირში (თუ ენის ქვეშ) უნდა ყოფილიყო განთავსებული (ამ საკითხზე დეტალურად ქვევით შევჩერდებით), ვფიქრობთ, რომ უფრო მოსახერხებელი და ესთეტიკურადაც მისაღები იქნებოდა, თუ ამ რიტუალისთვის მხოლოდ ერთი მონეტა ყოფილიყო განსაზღვრული.

ეს წინათქმა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ხაზი გაგვესვა: „ქარონის ობოლის“ წესში მონეტების რაოდენობას ერთმნიშვნელოვნად სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მოცემულობის ფონზე, არქეოლოგიური მასალა ყოველთვის არ იძლევა საფუძველს, რომ სამარხებში დადასტურებული მონეტები უპირობოდ „ქარონის ობოლად“ მივიჩნიოთ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონეტები დასტურდება როგორც ინჰუმაციურ, ასევე კრემაციულ სამარხებში.[58] როგორც მოგახსენეთ, ძვ.წ.V საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებში თითო-ოროლა მონეტაა დაფიქსირებული და, როგორც აღვნიშნეთ, მათი „ქარონის ობოლის“ წესთან დაკავშირება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. როგორც არქეოლოგიური მონაცემებით ვრწმუნდებით, ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრის სამარხებიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა ჩაყოლებული მონეტების დიდი რაოდენობით. ფა-

[58] რასაკვირველია, ქარონის ობოლის წესზე უფრო ხელშესახებ მასალას ინჰუმაციურ სამარხები იძლევა, ვიდრე კრემაციულები. თუმცა, სტატისტიკა მაინც საინტერესოა: ოლინთოს სამაროვანზე ინჰუმაციურ სამარხებში მონეტები აღმოჩნდა სამარხთა 10.2%, პოსეიდონიაში - 4.5%. ამის საპირისპიროდ, ტიპასის (ალჟირი) კრემაციულ სამარხებში ურნების 50% შეიცავდა მონეტებს (Nemeth, 2013:61). სერბიის ვიმინაკიუმის რომაული ხანის სამაროვანზე 2211 ინჰუმაცური სამარხიდან მონეტები აღმოჩნდა 621 სამარხში (28,08%), მაშინ, როდესაც 1776 კრემაციული სამარხიდან - 725 სამარხში (42,82%) (Vojvoda, 2015: 53).

ქტია, რომ მონეტების ჩაყოლება/გატანების პრაქტიკა უფრო ინტენსიური ხდება ელინისტურ ეპოქაში, რაც ერთგვარ საფუძველს იძლევა სტატისტიკური ანალიზისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სამარხში, წესისამებრ, მხოლოდ ერთი მონეტაა ჩაყოლებული, რაც შეესაბამება „ქარონის ობოლის“ წესს, სამარხთა გარკვეულ ნაწილში მიკვლეული მონეტების რიცხვი შეადგენს - ორს, სამს, ოთხს და ა.შ.[59] გაითხარა სამარხები, სადაც მონეტები არ ყოფილა დაფიქსირებული.[60] არსებული რეალობიდან გამომ-

---

[59] მატერიკული ათენის სამარხებში მონეტები ნაკლებად ჩნდება ელინისტურ ხანამდე (Garland, 2001:23). ელინისტური ხანის პოსეიდონიის სამაროვანზე 155 სამარხიდან 68 სამარხში თითო მონეტა იყო დაფიქსირებული, 15-ში - ორი, 4-ში -სამი, 2-ში ოთხი, 1-ში - ექვსი და 1-ში -ათი. ახ.წ. III-IV საუკუნის ტერნაკუმის სამაროვანზე სამარხთა 60% შეიცავდა ერთ მონეტას. რომაული პროვინციის პანონიის კარნუნტუმის სამაროვანზე 129 სამარხიდან 122 სამარში იყო 1 მონეტა, 6 სამარხში-2 და 1 სამარხში-4. ასეთი სურათი დამახასიათებელი იყო რომაული ეპოქის სამაროვნებისთვის (Găzdac, 2014:97). ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 62 სამარხში დაფიქსირდა სხვადასხვა რაოდენობის კოლხური თეთრი: 8 მონეტა - 1 სამარხში, 4 მონეტა-1-ში, 6 მონეტა- 1-ში, 5 მონეტა -3-ში, 4 მონეტა -5-ში, 3 მონეტა -13-ში, 2 მონეტა -7-ში, თითო მონეტა 30 სამარხში; 7 სამარხში ჩააყოლენ სინოპური მონეტები, ერთ-ერთ მათგანში 2 ცალი, დანარჩენში თითო ცალი (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:25).

[60] ანტიკური წყაროების მიხედვით „ქარონის ობოლის“ წესის შესრულება არ ითვლებოდა სავალდებულოდ ყველა ბერძნულ ქალაქშიც კი (Morris, 1992:105-106). სტრაბონი საუბრობს ქალაქ გერმიონზე, რომლის მცხოვრებლები არ უხდიდნენ ქარონს საზღაურს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი მომსახურება ზედმეტად მიაჩნდათ. მათი მტკიცებით გერმიონიდან „საკმაოდ მოკლე გზა იყო ჰადესში ჩასასვლელად“ (Waser, 1898:32). თუ სოციალურ ფაქტორს გამოვრიცხავთ, უფრო ძნელი ასახსნელია მონეტების არ არსებობა სამარხების დიდ ნაწილში ერთი სამაროვნის შემთხვევაში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბულგარეთი ტერიტორიაზე გათხრილი ახ.წ. IV საუკუნის მეტლატას სამაროვანი, სადაც 167 სამარხიდან მონეტები მხოლოდ 52 სამარხში აღმოჩნდა, რაც საერთო რაოდენობის 50%-ზე ნაკლებს შეადგენს (Andonova, 2015:255). ანალოგიური სურათია სლოვენიის ემონას რომაული ეპოქის სამაროვანზე, სადაც მონეტები სამარხთა მხოლოდ 15%-ში

დინარე, მკვლევართა ნაწილს საკმაოდ კატეგორიული პოზიცია ჩამოუყალიბდათ იმის თაობაზე, რომ, უფრო გამართლებული იქნება, რომ სამარხეული მონეტები მხოლოდ იმ შემთხვევაში განვიხილოთ (მივიჩნიოთ) „ქარონის ობოლად“, როდესაც მიცვალებულს მხოლოდ ერთი მონეტა ექნება ჩაყოლებული.

ა. მიშკეცი სლოვენიის ემონას სამაროვნის მასალებით ასკვნის, რომ სამარხებში მონეტების რიცხვი და ისიც, რომ მონეტები ძირითადად ძვირფასი ლითონისგან არის დამზადებული, არ იძლევა მყარ საფუძველს მათი „ქარონის ობოლის“ წესთან დაკავშირებისთვის (Miškec, 2012 :133). მ. დირფელდ-იონსენის აზრითაც, სამარხებში მონეტების „სავალდებულოზე“ „ზედმეტი“ რაოდენობა აღნიშნული მონეტების „ფუნქციონირების“ განსხვავებულ შინაარსზე უნდა მიუთითებდეს (Dyhrfjeld-Johnsen, 2011:151).[61] ლიტერატურულ წყაროებთან არქეოლოგიური მასალის შეუსაბამობის გამო, კ. გრინდენ-ჰანსენს მიაჩნია, რომ, უფრო მართებულია სამარხებში მიკვლეული მონეტები „ქარონის ობოლის“ ნაცვლად მოვიხსენიოთ „მიცვალებულთა მონეტის“ სახელით (Grinder-Hansen, 199:212). უკრაინელი არქეოლოგების აზრითაც, უფრო სწორი იქნება სამარხებში მიკვლეულ მონეტები

არის დადასტურებული (Miškec, 2012:133). ფანაგორიის ახ.წ. IV საუკუნის სამაროვანზე 68 სამარხიდან მხოლოდ 8 სამარხში იყო ნანახი მონეტები (Ворошилова, 2011: 138). ასეთი სურათის ასახსნელად, ალბათ, უნდა გავიხსენოთ, რომ ახ.წ. IV-V საუკუნეებში ეკლესია კრძალავდა წარმართულ რიტუალებს (მათ შორის მონეტის ჩატანებასაც) დაკრძალვის ცერემონიალში (Benta, 1999:100).

[61] ვანის №22 სამარხის მაგალითზე ძეგლის მკვლევრები თვლიან, რომ ერთ სამარხში ჩაყოლებული მონეტები შესაძლოა სიმდიდრის მანიშნებელიც იყოს და ქარონის ობოლის წესსაც მიესადაგებოდეს. სამარხ ორმოში დაკრძალულ ოთხი მიცვალებულიდან მონეტები მხოლოდ ერთს ჰქონდა ჩაყოლებული, თუმცა იქვე დერგში, რომელშიც 300-მდე ოქროს სამკაული იდო, 5 ასეთივე მონეტა იყო აღმოჩენილი.

მოვიხსენიოთ არა „ქარონის ობოლად“, არამედ „ქარონის საზღაურად“ (Реида, Гейко, Сапегин, 2014:103). ტერმინი „ქარონის გასამრჯელო“ მისაღებია ბულგარელი არქეოლოგებისთვისაც (Yordanova, 2017:29). სხვა მოსაზრებით, სამარხში აღმოჩენილი მონეტებს ვუწოდოთ „სამარხეული მონეტები“ (Chryssanthaki-Nagle, 2006:89-103) ან „მიცვალებულთა მონეტები“ (Stevens, 1995).

„ქარონის ობოლის“ მახასიათებლებზე საუბრის დროს აღვნიშნეთ, რომ ლიტერატურული წყაროების მიხედვით ის ერთი მონეტაა, თან შედარებით დაბალი ნომინალის. მაგრამ, ფაქტია, რომ როგორც ანტიკური, ისე მოგვიანო პერიოდის ბევრ სამარხში გვხვდება ერთზე მეტი, თან ძვირფასი ლითონისგან დამზადებული მონეტებიც, რაც წინააღმდეგობაში მოდის „ქარონის ობოლის“ მოცემულობასთან. რასაკვირველია, ეს საკითხის მხოლოდ ერთი, კონსტატაციური მხარეა, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გავერკვეთ, თუ რა სურვილით (ან რწმენით) იყო განსაზღვრული მიცვალებულთათვის „საკმარისზე“ მეტი ოდენობის მონეტების ჩაყოლება ან კიდევ დაბალი ნომინალის მონეტების „ძვირფასი“ მონეტებით ჩანაცვლება.

ლ. ტრავაინი მიიჩნევს, რომ სამარხებში მიკვლეული მონეტების ფუნქციონალური დატვირთვა უფრო ფართო ასპექტით უნდა განვიხილოთ (ღმერთებისთვის შეწირულობა, მიცვალებულის სტატუსის წარმოჩენის სურვილი, ჭირისუფალთა საჩუქარი გარდაცვლილს იმქვეყნად მოსახმარად, გარანტიის მიღება მიცვალებულის უკან არ მობრუნებისთვის და ა.შ.), ვიდრე აღვიქვათ „ქარონის ობოლის“ წესის გამოვლინებად (Travaini, 2004). რუსი მკვლევრების აზრით, „ქარონის ობოლის“ წესის ასეთ ტრანსფორმაციაში საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენების „დემოკრატიზაციის“ ნიშნები უნდა დავინახოთ (Лаптев, Аксёнов,

2017:87).[62] ვ. ფიშერ-ბოსერტის აზრით, სამარხებში მონეტების „ზედმეტი“ რაოდენობა, შესაძლოა, ერთი მხრივ, ყოფილიყო ჭირისუფალთა მცდელობა ხაზი გაესვათ მათი მიცვალებულის გამორჩეულობისთვის,[63] ან ეს იყო მატერიალიზება სურვილისა, რომ მათ მიცვალებულებს „იმ ქვეყნადაც“ შეენარჩუნებინათ თავიანთი სტატუსი (Fischer-Bossert, 2009:117).[64] ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, მიცვალებულისთვის ჩაყოლებული მონეტების სიმრავლე, შესაძლოა, დამატებითი გარანტია ყოფილიყო იმისა, რომ გარდაცვლილები უკან, ოჯახში არ მობრუნდებოდნენ (Stevens, 1991:224; Терещенко, 2018:70).[65] ვ. ბერდინას აზრით, სლავებში

---

[62] სამარხებში მონეტების სიმრავლე იმის მანიშნებელი მაინც იყო, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში რეალურად არსებობდა რწმენა იმქვეყნად ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ.

[63] ევრიპიდეს „ტროელი ქალებში“ ჰეკაბე ამბობს: „მიცვალებულთათვის მნიშვნელობა არ აქვს მდიდრულ დაკრძალვას. ის ცოცხალთა ამპარტავნებაა მხოლოდ“ (Alföldy-Găzdac, Găzdac, 2013:291).

[64] ოქსფორდის სამეცნიერო წრეებში გაბატონებული სოციალური თეორიის მიხედვით, რიტუალის ფორმა განსაზღვრული იყო პიროვნების (ვინ აღასრულებდა და ვისთვისაც აღასრულებდნენ) გამოსარჩევად. რაც უფრო მდიდარი იყო, რაც უფრო მაღალ რანგს განეკუთვნებოდა ეს პიროვნება, მით უფრო ნაირგვარ წესებს აღასრულებდა. რიტუალის შინაარსი არაფერ შუაშია, მთავარია რიტუალის აღსრულების ფორმა (რატიანი, 2001: 235). მ. პირსონი ნაშრომში „სიკვდილის და სამარხების არქეოლოგია“, მიუთითებს, რომ: „რელიგიის კანონებს, ესქატოლოგიას და კოსმოლოგიას, მატერიალური და სოციალური ფაქტორების გვერდის ავლით, შეუძლიათ გააფორმონ და წინასწარ განსაზღვრონ ძველი საზოგადოებების დაკრძალვის რიტუალები (Pearson, 2000).

[65] ტრადიციულად, ასეთი „სურვილის“ შემთხვევაში მიცვალებულებს მონეტებს თვალებზე აფარებდნენ. ზოგადად, ტრადიცია მიცვალებულთათვის - თვალების ახვევისა ან თვალებზე დაფარებისა ფართოდ იყო გავრცელებული იყო ძველ ხალხებში და მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გარდაცვლილს გზა არ დაემახსოვრებინა და ოჯახში არ მობრუნებულიყო (ნიორაძე, 1940:80). ამავე დროს, თვალებზე დაფარება ზოგადად ნიშნავდა ცოცხალთა ქვეყანასთან კონტაქტის საბოლოოდ გაწყვეტას ე.ი. გარდაცვლ-

ქარონის გადასახადი წარმოადგენდა „გასამცლელო ფულს“ («от-ступные»), რომელსაც ცოცხლები უხდიდნენ გარდაცვლილს, რომ მას საკუთარ ქონებაზე პრეტენზია არ ჰქონოდა და უკან არ მობრუნებულიყო (Бердина, 2015: 75)[66]. ლუკიანე სამოსატელის ნაშრომებზე დაყრდნობით, გამოითქვა მოსაზრება, რომ სამარხებში მონეტების სიმრავლე, შესაძლოა, იმითაც იყო განპირობებული, რომ საზოგადოებაში გავრცელებული წარმოდგენების მიხედვით, გარდაცვლილებს იმქვეყნად ქარონის გასამრჯელოს გარდა, სხვა ხარჯებიც ჰქონდათ გასაღები (თუნდაც, ჰადესის გასაღების მცველის ეაკოსის და ჰერმესის გასამრჯელო).[67] ა. ტერეშჩენკო, არისტოფანეს „ბაყაყებში“ დიონისეს და მიცვალებულის დიალოგზე დაყრდნობით, არ გამორიცხავს, რომ მიცვალებულებს იმიტომ აყოლებდნენ ერთზე მეტ მონეტას, რომ ხალხში გავრცელებული წარმოდგენების თანახმად, მათ შეეძლოთ იმქვეყნად გარდ-

ილი იმ შემთხვევაში მოშორებოდა ცოცხლად დარჩენილთ, თუ მას აღარ ექნებოდა მხედველობის, სმენის, ლაპარაკის და მოძრაობის უნარი (Байбурин, 1993:105). კუნძულ ბორნეოზე მიცვალებულებს თვალებზე ოქროს მონეტებს აფარებდნენ, რომ მათ „მზერას“ ახლობლებისთვის ზიანი არ მოეტანა (Cipoletti, 1989:82). მონეტების თვალებზე დაფარება, შემორჩა მაკედონიელთა დაკრძალვის რიტუალში (Kovacheva, 2013:2). ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩნდა მიცვალებულისთვის თვალზე დასაფარებელი ვერცხლის ფირფიტა. მსგავსი ფირფიტები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ასტანის სამაროვნების მასალებიდან (Супрун, 2014:214; Шмоневский, 2015:84), ასევე ალგეთის და ყანჩაეთის სამარხეული კომპლექსებიდან (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 86). მიცვალებულის თვალებზე დაფარების ტრადიცია ფართოდ დამკვიდრდა ქრისტიანულ სამყაროში, იუდეველების კი მკაცრად იცავდნენ წესს, რომ მიცვალებულებს თვალები ღია ჰქონოდათ (Берлизов, Каколири, 2016).

[66] პოლონელები მიცვალებულს ხელში მონეტას უდებდნენ და ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ: „შენ მიიღე შენი საფასური, ამიტომ არ არის საჭირო უკან მობრუნდე (Андрюнина, 2015:206).

[67] აპულეუსი „მეტამორფოზებში“ წერს, რომ ჰადესში უფასო არაფერი არ იყო (Alföldy-Găzdac,Găzdac, 2013: 305).

აცვლილის ოჯახის თხოვნა შეესრულებინათ (Терещенко, 2018:71).[68] ნ. კიღურაძე ჩაყოლებული მონეტების სიმრავლესთან დაკავშირებით, გამოთქვამს ვარაუდს, რომ, შესაძლოა, კონკ-რეტულ ეთნიკურ ჯგუფში გავრცელებული იყო წარმოდგენა, რომ თუ გარდაცვლილს „ამ ქვეყანაში“ ვინმეს ვალი დარჩებოდა, „იმ ქვეყნაში“ შეეძლო მისი გასტუმრება (კიღურაძე, 1970:15-16). ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ ალბანელები და სლავები მიცვალებულებს ფულს იმისთვის ატანდნენ, რომ მათ იმ ქვეყანა-ში „საფლავის თანხა“ გადაეხადათ (Starve, Stoica, Papa, 2010:126; Лаптев, Аксёнов, 2014:86).[69] ჩუვაშთა წინაპრებიც მიცვალებულს ფულს იმ ქვეყნად ადგილის საყიდლად „სასაფლაოს პატრონის-თვის“ ატანდნენ (Исхаков, 2013:41)[70]. ძველი სლავების წარმოდ-გენით, საფლავში ჩაყოლებული ფული იყო ოჯახის წევრების ან ნათესავების მიერ გარდაცვლილის მიერ დატოვებული ქონების ერთგვარი „გამოსასყიდი“ (Шегельский, 2013:459). ა. ბოლოკი არ გამორიცხავს, რომ „ზედმეტი“ მონეტები, შესაძლოა, სამგზავ-

[68] არისტოფანეს „ბაყაყებში“ დიონისე მიცვალებულს ტვირთის ჰადესამდე წაღებას თხოვს, რაშიც მიცვალებული ორ დრაქმას ითხოვს. საბოლოოდ ცხრა ობოლზე თანხმდებიან (არისტოფანე, 2009)

[69] სლავური ფოლკლორიდან: „ძველი მიცვალებულები მიწას უფულოდ არ იძლევიან“. ფულს კი ჭირისუფლები უხდიდნენ ე.წ. „მიწების პატრონს“ ( Цейтлин, 1912:162). ზოგ თურქული წარმოშობის ტომებში (ჩუვაშები) მონე-ტებს სამარხში დაკრძალვამდე ყრიდნენ, რაც მკვლევართა აზრით სასაფ-ლაოს ადგილის ყიდვის კანონიერების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო (Шмо-невский, 2016:264). სამარხის ყიდვა (ბრინჯაოს ფულით) დასტურდება რუ-სულ ე.წ. „გლეხურ“ ფოლკლორშიც (Петров, Мороз, 2013:127). ნიშანდობლი-ვია, რომ უკრაინულ ფოლკლორში „მიწების პატრონს“ და „სულების მდი-ნარეზე გადამყვანს“ ერთი სახელით («дидько») მოიხსენიებდნენ (Успенский, 1982:148).

[70] მათი რწმენით, თუ გარდაცვლილი დაუქორწინებელი იყო, შესაძლოა, ეს თანხა იმქვეყნად ქორწილის ხარჯებისთვის გამოეყენებია (Исхаков, 2013:43).

როდ[71] ან „იმქვეყნიურ ცხოვრებაში „საჭიროებისამებრ მოსახმარად“ იყო გააზრებული (Bollok, 2013:238). ს. სტივენსი უფრო აკონკრეტებს ამ „საჭიროებებს“ და მიუთითებს, რომ სამარხეული მონეტები (განსაკუთრებით რომაული პერიოდის “viaticum”, რომელიც შინაარსით „საგზალსაც“ გულისხმობს), დარეზერვებული (provisioning) ფული უნდა ყოფილიყო „საჭირო საჭმელ-სასმელისთვის“ (Stevens, 1991).[72]

ერთ-ერთი ვერსიით, სამარხეში გარდაცვლილთათვის ერთზე მეტი ან ძვირფასი ლითონის მონეტის ჩაყოლება/გატანება მიცვალებულის სოციალური სტატუსის ხაზგასმის სურვილით უნდა ყოფილიყო განპირობებული. პ. ცელეკასი აღნიშნავს, რომ მონეტების რაოდენობა შეიძლება მიანიშნებდეს როგორც ლოკალურ თავისებურებებზე, ასევე ხაზს უსვამდეს მიცვალებულის სოციალურ სტატუსს და მის მიმართ გამოხატულ პატივისცემას (Tselekas, 1996: 250). ლ. ბრაუნიც ფაქტობრივად იზიარებს მოსაზრებას, რომ მიცვალებულისთვის ვერცხლის და ოქროს მონეტების ჩაყოლების ძირითად მოტივაციურ მხარეს ამ უკანასკნელის სოციალური სტატუსის ხაზგასმა წარმოადგენდა (Brown, 2007:128).[73]

---

[71] მოგვიანო პერიოდშიც (XIX საუკუნე) კი, მცირე აზიის ბერძნები სამარხში ჩაყოლებულ მონეტას “negcerixiov” (სატრანზიტო) ფულს უწოდებდნენ (Waser, 1898:36). ძველ ხალხთა წარმოდგენით „იმქვეყნად მგზავრობას“ განსხვავებული დრო სჭირდებოდა. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ ციმბირის თურქულენოვან კარაგასებს მიაჩნდათ, რომ მიწისქვეშა სამყაროში მოსახვედრად სამი დღე იყო საჭირო, ამიტომ გარდაცვლილს სამი დღის საგზალს ატანდნენ (Косарев, 2010:41).

[72] არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეს ვერსია საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან მონეტების ინტენსიურად გამოჩენა სამარხებში დროში თანხვედრაშია „იმქვეყნად მოსახმარ“ სხვა სამარხეული ინვენტარის შემცირებასთან (Yordanova, 2017:6).

[73] ლ. ბრაუნი არ გამორიცხავს, რომ სამარხებში მიკვლეული ძვირფასი ლითონის მონეტები, ირიბად მაინც უნდა მიუნიშნებდეს კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებთა განსხვავებულ რწმენა-წარმოდგენებზე (Brown, 2007:128-129 ).

იგივე აზრისაა ა. პერუცი, რომელიც თვლის, რომ სამარხებში ერთზე მეტი მონეტის ჩაყოლება ემსახურებოდა გარდაცვლილის სიმდიდრის და სტატუსის წარმოჩენას (Perucci, 2014:97).

თუ მონეტების რაოდენობის შესახებ სამარხებში ჩაყოლებულ სხვა არტეფაქტებთან ერთად ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ არქეოლოგიური სამარხებში მიკვლეული მონეტების რაოდენობა ყოველთვის არ არის შესატყვისი სამარხეული ინვენტარის სიმწირესთან და სიმდიდრესთან ან კიდევ სამარხი ნაგებობის ხარისხთან. მაგალითად, კეპის ელინისტური ხანის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში 11 მონეტა 3 სვეტად იყო ჩალაგებული, თუმცა სამარხეული ინვენტარი შედგებოდა მხოლოდ საყურეებისგან. ფანაგორიის ნეკროპოლზე უბრალო სამარხეულ ორმოში აღმოჩნდა 10 მონეტა, მაშინ როდესაც სამარხეულ ინვენტარში იყო მხოლოდ პატერა და წყლის საღებავით მოხატული ვაზა. იმავე სამაროვანზე, სხვა სამარხში, დაფიქსირდა 19 მონეტა, ინვენტარში კი მხოლოდ დანა, დოქი და უნგვენტარიუმი იყო დადასტურებული. ზოგიერთ მდიდარი ინვენტარის შემცველ სამარხში საერთოდ არ იყო მონეტები ნანახი (Сударев, Болдырев, 2009:435). იტალიის მარჩეს რომაული ხანის სამაროვნის მკვლევრების აზრითაც, სამარხეულ მონეტების დაკავშირება მიცვალებულის სოციალურ სტატუსთან ძალიან რთულია. ისინი თვლიან, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მონეტებს უფრო რიტუალური ფუნქცია ჰქონდათ და ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი მათი ნომინალურ ღირებულებაზე: სამარხები, სადაც მონეტები არ აღმოჩნდა, საკმაოდ მდიდარი ინვენტარით იყო წარმოდგენილი, იმავდროულად, გაითხარა პრაქტიკულად უინვენტარო სამარხები, სადაც რამდენიმე მონეტა მაინც იყო მიკვლეული (Pierucci, 2014:96). ლ. ბრაუნის ანალიზითაც, ბრიტანეთის რომაული ხანის სამარხებში დადასტურებული მონეტებიც არ იძლევა მკვეთრი კორელაციის

საშუალებას მიცვალებულის სტატუსთან დაკავშირებით (Brown, 2007:126).[74] დაფნარისა და ზემო ფარცხმის ქვევრსამარხების მასალების მიხედვით, ვ. თოლორდავა ასკვნის, რომ სამარხებში მონეტების რაოდენობა არ ასახავს დაკრძალულთა ქონებრივ მდგომარეობას. თუ ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამარხებში თითო-ოროლა მონეტას ხვდებით, გვიანდელ სამარხებში ხშირად 7, 8 და ზოგჯერ 10 მონეტაა ჩაყოლებული და რაც მთავარია, ისინი ფიქსირდება ჩვეულებრივ ღარიბულ სამარხებში (თოლორდავა, 1980:66). [75]

---

[74] ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. მ.დ. დიჰრფელდ-იონსენი აღნიშნავს, რომ დანიისა და ჩრდილოეთ გერმანიის გვიანრომაული ხანის სამარხებში დადასტურებული ქარონის მონეტები ძირითადად მდიდრების სამარხებისთვის არის დამახასიათებელი (Dyhrfjeld-Johnsen, 2012:71). თუ უფრო შორეული რეგიონებისეთნოგრაფიულ მასალას მოვიხმობთ, ვნახავთ, რომ აღმოსავლეთ ხანტებთან დაფიქსირებულია წესი მიცვალებულთათვის მონეტის ჩადებისა ხელში და ხელთან ახლოს, რომელიც სრულდებოდა მხოლოდ მდიდარი ხანტების დაკრძალვის დროს (Полеводов, Корусенко, 2009:198). სამარხებში მონეტების რაოდენობის მიცვალებულის სოციალურ სტატუსთან კავშირის თაობაზე, უდავოდ საინტერესოა ჯოზეფ ტეინტერიც დასკვნა, რომ: „დაკრძალვის რიტუალზე დახარჯული ენერგია პირდაპირ კავშირშია გარდაცვლილის რანგთან და საზოგადოებაში არსებულ რანგობრივ გრადაციასთან. თუმცა, მისივე სიტყვებით, ენერგიის დანახარჯი შესაძლებელია გაიზომოს მხოლოდ „მეტის" და ნაკლების" ფარგლებში (Tainter, 1978).

[75] ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანის მასალის მიხედვით გაჭირდება ჩაყოლებული მონეტებით მიცვალებულთა სტატუსის გარკვევა. ერთ-ერთ მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კოლხურ სამარხებში, სადაც ბერძნული შავლაკიანი კერამიკაა ჩაყოლებული, მეტწილად, მონეტებიცაა ფიქსირდება. უფრო რთულია ამ საკითხის გარკვევა ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე, სადაც მონეტები მხოლოდ რამდენიმე სამარხშია დაფიქსირებული. ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ №1 სამარხში (კრატერიანი სამარხი) მონეტა საერთოდ არ ყოფილა მიკვლეული (ცალკე შესწავლის თემაა, თუ „ქარონის ობოლის" ჩაყოლების ბერძნული წესი რატომ არის უფრო მიღებული აბორიგენ მოსახლეობაში, ვიდრე მოახალშენეებში). რაც შეეხება ელინისტური ეპოქის სამაროვანს, აქ მონეტების სიმრავლე უფრო მდიდარინვენტარიან (№5,15,27,75,93 და ა.შ.)

ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს სამარხში ჩაყოლებული მონეტების რაოდენობრივი მაჩვენებლის და ნომინალური ღირებულების ურთიერთმიმართების საკითხი. როგორც სამაროვნების მასალის ანალიზი ცხადყოფს, ძველი მოსახლეობა საკმაოდ კარგად ერკვეოდა ქარონის მომსახურების საფასურში, კერძოდ მონეტების დენომინაციაში. აპოლონია პონტიკას მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ელინისტური ხანის სამაროვნის მასალაში მკაფიოდ იკვეთება ჩაყოლებელი მონეტების გააზრებული დენომინაცია (Yordanova, 2017:29). როგორც ჩანს, რომაულ ეპოქაშიც ზედმიწევნით კარგად ერკვეოდნენ ქარონის საზღაურში და ცდილობდნენ მკაცრად დაეცვათ გაწერილი წესი, რის შესახებაც მეტყველებს ავსტრიაში და უნგრეთში მიკვლეული ა.წ. II-III საუკუნეების სამარხებში ჩატანებული იდენტიფიცირებული მონეტების დენომინაციის ანალიზი. კარნუნტუმის, აკვინკუმისა და მატრიკის სამაროვნებზე დაფიქსირებული 102 მონეტიდან 80 (78,4%) ასია, 8 სესტერცი(7,8%), 4 ბერძნული პროვინციული მონეტა (3,9%), 4 დინარი (3,9%), 3 ანტონინიანი (2,9%), 3 დუდონდი (2,9%). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 3 ანტონინიანი და 4 სესტერცი იმ დროისთვის, როდესაც ისინი მიცვალებულებს ჩააყოლეს (ა.წ. III საუკუნის მეორე ნახევარი), საკმაოდ გაუფასურებული იყო, შეიძლება ითქვას, რომ ჩაყოლებული მონეტები ფაქტობრივად ერთი ფასის იყვნენ (Găzdac, 2014:97-98).[76]

---

სამარხებში დასტურდება. ციხისძირის ანტიკური ეპოქის სამაროვანზეც ჭირს ჩაყოლებული მონეტების მიხედვით მიცვალებულთა სტატუსის გარკვევა. ერთი კი ფაქტია: ამფორასამარხებში მონეტები არ არის ჩაყოლებული.

[76] იგივე სურათს ვაკვირდებით არგოლისის ელინისტური ხანის (ძვ.წ. III ს.) სამარხების ვერცხლისა და ბრინჯაოს ბერძნული მონეტების შედარების საფუძველზე (Hägg, Fossey, 1982:102). ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე უფრო ხშირად გვხვდება ერთი ნომინალის კოლხური მონეტები ნახევარდ-

ზოგი მკვლევრის აზრით, სამარხებში აღმოჩენილი მონეტების ღირებულება შესაძლოა არ იყო კავშირში მათ ნომინალურ ღირებულებასთან, უფრო შესაძლებელია, რომ აქცენტი კეთდებოდა მეტალის კომპონენტზე. საყოველთაოდ გავრცელებული იყო მითი ლითონების აპოტროპიული თვისებების შესახებ, მონეტები კი, ამ კონტექსტში, სხვებთან შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი იყო (Nemeth, 2013:61: Indgjerd, 2014:59; Bollok, 2013:238; Brown, 1971:128).

შესაძლოა, რომ „ქარონის ობოლის“ წესი ტრანსფორმაცია განპირობებული ყოფილიყო კონკრეტული რეგიონის თავისებურებით (Graells i Fabregat, 2013:21-45; Brown, 2007). ნეკროპოლების შესწავლის შედეგად შესაძლებლობა გვაქვს დავაკვირდეთ ამა თუ იმ რეგიონის/ თუ ქალაქის სოციალური სურათსაც. შესაძლოა დავუშვათ, რომ ქ. ტარანტოს მკვიდრნი, სხვებთან შედარებით, უფრო შეჭირვებულად ცხოვრობდნენ, რადგან ტარანტოს სამაროვანზე მხოლოდ სამარხთა 2% შეიცავს მიცვალებულთათვის ჩაყოლებულ მონეტებს, მაშინ, როდესაც მეზობელ ჰერაკლეაში მონეტების რიცხვი სამარხებში 15% შეადგენს (Fischer-Bossert, 2009:179). ამას ვერც კონკრეტული ჯგუფის მხოლოდ „ბარბარო-

რაქმიანები ე.წ. „ტრიობოლები“ (65 ერთეული), თუმცა აქვე დაფიქსირებულია კოლხური ხურდა ფულის უკნინესი ნომინალები - ჰემიტეტარტემორიონები (5 მონეტა, კიდევ სამი ეგზემპლარი ინახა ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე) (კახიძე, 2016:62). როგორც აღვნიშნეთ, ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანთან შედარებით ნაკლებადაა სამარხში ჩაყოლების ფაქტები. კოლხური მონეტებიდან აქაც ძირითადად ტრიობოლებია ჩაყოლებული. სამარხებში მიკვლეულია სინოპის, პანტიკაპეონის, ნიმფეონის და ქიზიკის ინტერლოკალური მონეტები (კახიძე, 2007:136). ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე სჭარბობს კოლხური ფულები (200 ეგზემპლარი), უცხოური მონეტებიდან წამყვანია სინოპურ ნომინალები (25 ეგზემპლარი) (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 82-83).

სობით“ ავხსნით, რადგან ოლინთოს ძვ.წ. IV საუკუნის სამარხებში მონეტების რაოდენობა არ აღემატება 10% (Morris, 1992:106, Robinson, 1942: 205). ძეგლის მკვლევრები არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ან ეთნიკურ ჯგუფში განსხვავებული შეხედულებები არსებობდა იმ ქვეყანაში მოხვედრის გზების შესახებ, სადაც ქარონი არ მოიაზრებოდა (Miškec, 2012:139).

სამარხებში მონეტების რიცხვის განმსაზღვრელი ფაქტორების, კვლევა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. აპოლონიის ელინისტური ხანის ნეკროპოლის, ასევე, იტალიის ახ.წ. I-III საუკუნეების სამარხეული მონეტების ანალიზის კვალობაზე ვერ მოხერხდა პირდაპირი კავშირის დადგენა მონეტების რაოდენობისა მიცვალებულის ასაკთან ან სქესთან (Fio, 2011 -2012:9; Yordanova, 2017:32). ჟან მარკ დოუენის დაკვირვებით, მამაკაცებს უფრო ხშირად აქვთ ფული ჩაყოლებული ვიდრე ქალებს, თან უფრო დიდი ნომინალის, მაგრამ მკვლევარი ამ ფაქტის განზოგადებისგან მაინც თავს იკავებს (Doyen, 2012:11). მოგვიანო, ადრეული შუასაუკუნეების იტალიის და ბულგარეთის სამარხებში, სხვა სურათს ვაკვირდებით - მონეტები უფრო ხშირად ქალების და ბავშვების სამარხებში დასტურდება (Travaini, 2004:2; Григоров[77], 2009: 122). ახ.წ. IV საუკუნის ავსტრიისა და ბურგერლანდის სამაროვნებზე სამარხებში ჩაყოლებული მონეტების მეტი წილი ბავშვთა სამარხებზე მოდის (Шмоневский, 2016:257). ახ.წ. III-IV საუკუნეების დრუჟნოეს (ყირიმი) სამაროვანზე მონეტები დაფიქსირდა მხოლოდ ბავშვებისა და ქალების სამარხებში (Храпу-

[77] კვლევჩას, ბდინცის, რაზდელნას, ისტრიის და გალიჩეს სამარხების ანალიზით, სადაც მონეტები ძირითადად ქალთა სამარხებში იყო აღმოჩენილი, ბულგარელი მკვლევარი ვ. გრიგოროვი ეჭვს გამოთქვამს, რომ შესაძლოა ეს მონეტები ქალების სამკაული ყოფილიყო.

нов, 2008: 353).[78] ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი რომაული ხანის სამარხებში ქალთა და ბავშვთა სამარხებში მხოლოდ გახვრეტილი მონეტებია მიკვლეული (თუმცა, მკვლევრებს უჭირთ იმის მტკიცება, რომ ეს მონეტები ქარონის ობოლის წესს უკავშირდება თუ უბრალო სამკაულს წარმოადგენს) (Ворошилова, 2011:138). სერბეთის ვიმინაკიუმის რომაული ხანის სამაროვანზეც გახვრეტილი მონეტები მეტწილად ბავშთა სამარხებშია დაფიქსირებული (Vojvoda, 2015:68,69). სელკუპთა გვიანი შუასაუკუნეების სამაროვანზე გახვრეტილი მონეტები ძირითადად ფიქსირდება მიცვალებულთა თავის არეში. მკვლევართა აზრით, ისინი სახეზე დასაფარებელი ნიღბების გასაფორმებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული (Полеводов, Корусенко, 2009:198). ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის №5 სამარხში პანტიკაპეიონის გახვრეტილი მონეტა იყო ჩაყოლებული. ნახვრეტიანი მონეტები აღმოჩნდა ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის სამარხებში (№22, №87). უკანასკნელ შემთხვევაში მონეტა ყელის არეში დაფიქსირდა, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის ვერსიას ნახვრეტიანი მონეტების სამკაულად (გულსაკიდად) გამოყენების თაობაზე (კახიძე, ვიკერსი, 2004:87-103). ზ. შმონევსკის აზრით, ნახვრეტიანი და საკიდიანი მონეტები, რომლებიც, თავიდან, სავარაუდოდ, სამკაულები უნდა ყოფილიყვნენ, მოგვიანებით, შესაძლოა, გამოეყენებიათ მიცვალებულისთვის კუბოში ჩასაყოლებელად, რის შესახებ ნათლად მიუნიშნებდეს უნგრეთის მეზებერენის სამაროვნის მასალები (Шмоневский, 2015:83).

3. „ქარონის ობოლს“ მიცვალებულს პირში უდებენ.

---

[78] ოქროს ურდოს შუასაუკუნეების სამაროვნებზე, ბავშვთა სამარხებში მონეტების მიკვლევის ფაქტი არ დადასტურდა, მაშინ, როდესაც ქალთა და მამაკაცთა სამარხებში მონეტები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი (Пигарев, 2000).

როგორც მოგახსენეთ, სამარხებში მონეტები გვხვდება პირის, გულმკერდის[79], თავქვეშ, მარცხენა[80] და მარჯვენა ხელის არეში, ან კიდევ ტანის სხვადასხვა მონაკვეთში.[81] ადრეულ, ძვ.წ. V საუკუნის სამარხებში, იკეთება ტენდენცია მონეტების განლაგებისა ხელების, ხოლო ნაკლებად პირის არეში. ძვ.წ. IV საუკუნის სამარხებში მონეტები ფიქსირდება უფრო პირის არეში (Grinder-Hansen, 1991:213; Robinson, 1942:205).[82]

„ქარონის ობოლის" წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მონეტა გარდაცვლილის პირში უნდა ყოფილიყო ჩადებული (Travaini, 2004:2; Miškec, 2012:139).[83] კალიმაქე

---

[79] თუ სამარხეული კუბოს ჩამოშლის ვარაუდს დავუშვებთ,სავსებით შესაძლებელია, გულმკერდის არეში აღმოჩენილი მონეტების პირვანდელ მდებარეობად პირის არე მივიჩნიოთ (Brown, 1971:127).

[80] ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე 3 კოლხური მონეტა ჩაწყობილი იყო ფერადი მინის ოინოხოიაში, რომელიც იდო მარცხენა ხელის არეში (კახიძე, 2007:37)

[81] ძველი სლავების ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ზოგჯერ მიცვალებულს მონეტას მარცხენა ხელის იღლიაშიც (?) უდებდნენ (Kajkowski, 2015:20).

[82] აღნიშნული საკითხის განხილვის დროს, შეიძლება გავიხსენოთ პოლემიკა დაკრძალვის რიტუალის და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ურთიერთკავშირის შესახებ, სადაც ხაზგასმულია, რომ დაკრძალვის რიტუალის დროს შესაძლებელი იყო ცალკეული ელემენტის (ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში - მონეტის ჩაყოლების ადგილი) ცვლილება ისე, რომ მათი (ამ ელემენტების) საკრალური ხასიათი მაინც უცვლელი უნდა დარჩენილიყო. არსებული, თუნდაც მცირე, შეუსაბამობების დაძლევის გზაზე იქმნებოდა „კულტურული დიფრაქციის ეფექტი", სხვა სიტყვებით - დისტანცირება ნორმასა და მის რეალურ განხორციელებას შორის, ანუ დაკრძალვის რიტუალის დროს ცალკეული ელემენტის შეცვლის, იმავდროულად ამ ნორმის შეუცვლელად დატოვების (Мышкин, 1999:274). ლიზა ბრაუნის აზრით, სამარხებში მონეტების ადგილმდებარეობის ცვალებადობა უნდა იყოს განპირობებული სხვადასხვა რეგიონში „ქარონის ობოლის" წესის განსხვავებულ ინტერპრეტაციით (Brown, 1971:122).

[83] „ყველა საკრალური ნივთი უნდა იყოს თავის ადგილას" (Леви-Строс,

ალექსანდრიელი (ძვ.წ. III საუკუნე) სხვა ავტორებისგან განსხვავებით იმიტომ არის ჩვენთვის საინტერესო, რომ ის არის პირველი, ვინც ეპილიონში „ჰეკალე“ მიუთითებს, თუ სად უდებდნენ მიცვალებულს მონეტას. კერძოდ, კალიმაქე საუბრობს ქალაქზე, სადაც გარდაცვლილებს (ადგილობრივებს) არ აქვთ ვალდებულება გადასახადის გადახდისა, მაგრამ სხვებს კი (მხოლოდ უცხოელებს) ევალებათ მონეტა ჰქონდეთ მათ „გამომშრალ პირში“ (Alföldy -Găzdac, Găzdac, 2013:292). სტრაბონი, როდესაც საუბრობს ქალაქ გერმიონზე, აღნიშნავს, რომ ადგილობრივები არ უხდიან ქარონს გასამრჯელოს, ისინი „არ უდებენ მიცვალებულებს მონეტას პირში“ (Waser, 1898:32). მონეტის ჩადების ადგილი - პირი აქცენტირებულია რომაელ სატირიკოსთან და პოეტთან დეციმუს იუნიუს იუვენალისთან. ის ერთ-ერთ სატირაში საუბრობს კაცზე, რომელიც უეცრად გარდაიცვალა და ამიტომ არ ჰქონდა ჩადებული მონეტა პირში. შესაბამისად, ის უშედეგოდ ელოდებოდა ნაპირზე მენავეს.

არისტოფანეს კომედიაში „ჩიტები“ (ძვ.წ.414 წ.) ათენის მკვიდრი ეველპიდი იხსენებს, რომ საყიდლებზე წასულმა ძერა დაინახა, შეშინდა და მიწაზე დავარდა. შიშისგან პირი ღია დარჩა და ცაში ყურებაში უნებლიედ მონეტაც „გადაეყლაპა“. არისტოფანეს სხვა კომედიის „ქალები სახალხო კრებაზე“ (ძვ.წ. 392წ.) გმირი საუბრობს, რომ როდესაც ყურძენი კარგად გაყიდა, სპილენძის მონეტებით „პირავსებული“ ფქვილის საყიდლად გაემართა. მკვლევრები არ გამორიცხავენ, რომ სწორედ არისტოფანემ მისცა დასაბამის ისტორიებს მონეტების პირით ტარების თაობაზე. რუსი ანტიკოსი ვ. ბლავატსკი აღნიშნავდა, რომ ქარონის ობოლის წესი უკავშირდება ძველ ბერძენთა ჩვევას მონეტების პირით

---

1994:384).

ტარებისა, რომელიც იმითაც იყო განპირობებული, რომ ბერძენთა ტანსაცმელს არ ჰქონდა ჯიბეები (Блаватский, 1967:61). ცნობილი ბრიტანელი ნუმიზმატი პ. გარდნერიც აღნიშნავს, რომ სიცილიელებიც მონეტებს პირით ატარებდნენ.[84]

მიცვალებულისთვის მონეტის პირში ჩადების არსი ასე მარტივად არ შეიძლება აიხსნას. ეჭვს გარეშეა, რომ ეს წესი უფრო ღრმა შინაარსის მატარებელია. ალბათ, უნდა გავიხსენოთ ჰომეროსი, რომელიც აღნიშნავს, რომ ადამიანის სული პირის ან ჭრილობის გზით ტოვებს სხეულს და შემდეგ ჩადის ჰადესის სამყაროში (Kurtz, Boardman, 1971). აპულეუსის „მეტამორფოზებში" ჰადესში მიმავალ ფსიქეს მონეტა პირში აქვს, რადგან ის ქარონს არ უნდა შეეხოს - მონეტა ქარონმა საკუთარი ხელით უნდა გამოართვას. მაგრამ, აქ ერთი არსებითი მომენტია გასათვალისწინებელი: ფსიქე გარდაცვლილი არ არის - ის ჯერ კიდევ ცოცხალია და ამიტომ უნდა მოერიდოს სიკვდილთან უშუალო კონტაქტს. მინიშნების არსი იმაში მდგომარეობს, რომ რომაული ესქატოლოგიური კონცეფციის თანახმად, სული ადამიანს პირიდან ტოვებს (Retief, Cilliers, 2005:44).[85]

როდესაც მონეტები ფიქსირდება დაკრძალულთა მენჯის არეში, თან, ზოგჯერ, ერთზე მეტი ოდენობით, მკვლევართა ვარაუდით, ისინი ქამარზე ან ბაწარზე მიმაგრებულ ქისაში იყო ჩაყოლებული. ამის შესახებ ირიბი მინიშნება უნდა იყოს ისიც, რომ ზოგ მონეტაზე შემორჩენილია ტყავის ან ქსოვილის კვალი (Doyen, 2012:10). ლ. კოვაჩევაც პირში მონეტას ჩადებას ქისაში

---

[84] შუასაუკუნეების რუსეთში მონეტებს პირით დაატარებდნენ გლეხები და მდაბიო ხალხი (Петров, Мороз, 2013).

[85] დასავლურ-ქართული წარმოდგენების მიხედვითაც სიკვდილის მომენტში ადამიანის პირიდან გამოდის სული, რომელიც ხშირად ფრინველის სახით (მაგალითად, მტრედის) სახით წარმოიდგინება. სულის ბუნებრივ სადგომად თავი ითვლება (აბაკელია, 2000:10).)

ჩადებასთან აიგივებს (Kovacheva, 2013:4). დ. რობინსონი აღნიშნავს, რომ ძველ ჩინელებთან პირი ასოცირდებოდა საფულესთან (Robinson, 1942:205).[86] მონეტების ქისაში შენახვის ჩვევა მაინცდამაინც არ იყო დამახასიათებელი ანტიკური სამყაროსთვის.[87] როგორც ჩანს ნაჭერში შეხვეული მონეტები არა იმდენად ქარონისთვის, არამედ იმ ქვეყნად ხანგრძლივი დროის მანძილზე მოხმარებისთვის უნდა ყოფილიყო გამიზნული. მკვლევრები არც იმას გამორიცხავენ, რომ ნაჭერში (ქისაში) მონეტების ჩაყოლება მიცვალებულის ასევე მაღალი სტატუსის ხაზგასმის დემონსტრირება იყო (Мызгин, 2014; პატარიძე, 2017).

ძველ ბერძენთა რწმენით, გარდაცვლილთა სულებს საკვები ისევე ესაჭიროებოდათ როგორც ცოცხლებს.[88] ს. სტივენსი თვლის,

---

[86] ჩინეთში მიცვალებულებს პირში უდებდნენ ძვირფას ქვებს ან ჩინურ ფულს (არა იმპორტირებულს). ეს ტრადიცია ცნობილია „ფანჰანის“ სახელით, რაც „პირის შევსებას“/„პირის გამოკვებას“ ნიშნავს (Шмоневский, 2015:84).

[87] ვანის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ სამარხში (№16) სამაჯურებს შორის აღმოჩნდა 80 კოლხური ტრიობოლი (კაჭარავა, ხარაბაძე, 2011:23), რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ისინი ქისაში იყო მოთავსებული და მიცვალებულის ხელში ჰქონდა ჩადებული. ამის თაობაზე ისიც უნდა მიანიშნებდეს, რომ ზოგ მონეტაზე ქსოვილის კვალიცაა შემორჩენილი (კაჭარავა, მჟავანაძე, 1986:22). ქისით მონეტების გატანების პრაქტიკა დასტურდება საირხის №8 სამარხში. აქაც მონეტებზე ქსოვილის კვალია შემორჩენილი. ნიშანდობლივია. რომ მოგვიანო ეპოქის სამარხებში უფრო ხშირია მონეტების წელის არეში მიკვლევის ფაქტები. სავარაუდოდ, ისინი ორგანული მასალისგან დამზადებულ ტომრებში (ქისებში) იყვნენ მოთავსებულნი (Шмоневский, 2016:257). სლოვენიის ემონას რომაული ხანის სამაროვნების მიხედვით ა. მიშკესი ადასტურებს მონეტების ქსოვილის ჩანთებით ჩაყოლების პრაქტიკას (Miškec, 2012:139) ამის თაობაზე რ. გილქრისტი მიუნიშნებს, რომ შუასაუკუნეებში პილიგრიმების ტანსაცმელს ჯიბეები არ ჰქონდა და ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ ნივთები ქამარზე ჩამოკიდებული ჩანთით ან ტომრით ეტარებინათ, რაც აისახა კიდეც დაკრძალვის ინვენტარში (Gilchrist, 2008:130).

[88] ამის შესახებ მეტყველებს წლის განმავლობაში სასაფლაოზე მოტანილი

რომ მონეტის პირში ჩადება საკვების მიღებაზეც უნდა მიუ-ნიშნებდეს, რადგან პირი და საჭმელი ასოცირდება ერთმანეთთან. მკვლევრის აზრით, მონეტა (მით უმეტეს, რომაულ ეპოქის "viaticum"-ი) შეიძლება მოვიაზროთ საკვები პროდუქტის (საგზლის) ერთგვარ ჩამნაცვლებლად. შეიძლება, პარალელისთვის, აქვე გავიხსენოთ, რომ ინდოელთა დაკრძალვის რიტუალშიც დას-ტურდება მიცვალებულის პირში ფულის ჩადების ტრადიცია. ამ ფულს (მონეტას) ადგილობრივები „მოგზაურობის დროს საჭირო ნივთად" მოიხსენიებენ. სავარაუდოდ, საჭიროება იმ პროდუქტის „შეძენით" სურვილით იყო განპირობებული, რაც აუცილებელი იყო იმ ქვეყანაში „მოგზაურობის" დროს (Benta, 1999:98).

მოგვიანოდ, პირში ჩადებული მონეტა წარმოჩნდება არა მე-ნავე ქარონის გასამრჯელოდ, არამედ ხიდზე გადასვლის ბაჟის გადასახადად, რადგან გაჩნდა წარმოდგენა, რომ მიცვალებულთა სულები უნდა გადავიდნენ მდინარეზე გადებულ ხიდზე, რომ-ელიც ძალზედ მორყეულია და ამიტომ მისი მოვლისთვის გარ-კვეული თანხის გადახდაა საჭირო (Waser, 1898:36).[89] აქვე აღვნი-შნავთ, რომ სლავურ დაკრძალვის რიტუალში მიღებული იყო მიცვალებულისთვის მონეტის პირში ჩადება, რაც ითვლებოდა იმ ქვეყანაში გადაყვანის (ზოგ ვარიანტში ცეცხლოვან მდინარეზე გადაყვანის) საფასურად. ზოგჯერ გადამყვანის სახელსაც უთით-ებენ - მაგალითად წმ. პეტრეს, რომელსაც ნავით გადაყავს მიცვა-ლებულები (Агапкина, Плотникова, 1999: 57).[90] იაპონელი ბუდის-

---

ღვინო, თაფლი, ხილი, ნამცხვრები, ხოლო ათენელებთან - ცხოველების დაკვლის ტრადიციაც (Винничук,1988:496).

[89] კ. ბენტა, დობრუჯის ეთნოგრაფიული მასალებზე დაყრდნობით, აღნიშ-ნავს, რომ ეკლესიამ დაკრძალვის პროცესში მონეტების ჩაყოლება დაუშვა. ეს ფული, არა ქარონის გასამრჯელოდ, არამედ, ზოგადად, ზეციური სამყაროს საზღვრის გადაკვეთის საფასურად იყო მოაზრებული (Benta, 1999:32).

[90] ძველი სლავების საქორწინო რიტუალში დასტურდებოდა დედოფლისთ-

ტები მიცვალებულს პირში მონეტას უდებდნენ, რომ მდინარე სანძუ გადაელახათ. ბირმელები მიცვალებულის პირში ჩასადებ მონეტას „kado akah"-ს უწოდებდნენ, რაც თარგმანში „გასვლის უფლებას" ნიშნავს (Benta, 1999:92). ზოროასტრიზმში მიცვალებულები სხვა სამყაროში მოსახვედრად ხიდზე უნდა გადავიდნენ. ხიდი ფიგურირებს მუსლიმანურ და სკანდინავიურ ესქატოლოგიაში, ქრისტიანულ ფოლკლორში.

4. ქარონის ობოლს" მიცვალებულს აყოლებენ სამარხეულ ორმოში ჩასვენებამდე.

ანტიკური და მოგვიანო ეპოქების სამაროვნების გათხრების პროცესში სამარხეული მონეტები ზოგ შემთხვევაში ფიქსირდება ან კუბოს საზღვრებს გარეთ ან კიდევ სამარხეული ინვენტარის განთავსების დონის ზევით, რაც მიუნიშნებს, რომ მონეტები სამარხში მოხვდა გარდაცვლილის დაკრძალვის (სამარხ ორმოში ჩასვენების) შემდეგ. „ქარონის ობოლის" წესის მახასიათებლების მიმოხილვის დროს, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული წესის გაგებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მონეტის პირში განთავსების (ჩადების) დროსაც. აქცენტი კეთდება იმ გარემოებაზე, რომ კონკრეტული რიტუალი სრულდებოდა არა დასაფლავების, არამედ უშუალოდ ადამიანის გარდაცვალების დროს (სიკვდილის დაფიქსირების შემდეგ).

„ქარონის ობოლის" წესის მიხედვით, გარდაცვლილისთვის მონეტის ჩაყოლების დრო პირდაპირ კავშირშია მონეტის ჩადების ადგილთან - პირთან. რომაელი სატირიკოსი და პოეტი დეციმუს იუნიუს იუვენალისი ხაზს უსვამს, რომ სული სიკვდილის დადგომის დროს ტოვებს სხეულს, ამიტომ მონეტის ჩადების პროცე-

---

ვის მონეტის პირში ჩადების ტრადიცია. ეს მონეტა წარმოადგენდა ერთგვარ საფასურს სადედოფლოს ერთი სტატუსიდან მეორეში გადაყვანისთვის (Бузин, 2107:28).

დურა უფრო ადამიანის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის გამოხატულება იყო, ვიდრე დაკრძალვის რიტუალის. ყველა შემთხვევაში, მონეტის პირში ჩადება უნდა ყოფილიყო პირველი მოქმედება ადამიანის სიკვდილის დადგომისთანავე, რომ სული უკან არ დაბრუნებულიყო (Stevens, 1991:219). ანუ, მიცვალებულის პირში ჩადებული მონეტა ერთგვარი საკეტი იყო სხეულს დაშორებული სულისთვის. ს. სტივენსი და სხვა მკვლევრებიც თვლიან, რომ ძველ ხალხთა წარმოდგენით, პირში ჩადებული მონეტა იყო ერთგვარი გასაღები, რომელიც უკეტავდა გზას არა სხეულიდან ამომავალ სულს, არამედ წინ ეღობებოდა სულის სხეულში უკან დაბრუნებას (Stevens, 1991:219).[91]

ვფიქრობთ, რომ საინტერესოა პასუხი კითხვაზე: ჩაყოლებული მონეტები მიცვალებულის დაკრძალვის დროსთვის იყო მიმოქცევაში, თუ ისინი (გარკვეული ნაწილი მაინც) ოჯახის ერთგვარ რელიქვიას წარმოადგენდა. ლ. ბრაუნის კვლევით „რელიქვიური“ მონეტები სამაროვნებზე უმცირესობას შეადგენს. რაც შეეხება სამარხეული მონეტების მიმოქცევის ქრონოლოგიურ დიაპაზონს, ეს უფრო თვალშისაცემია არა ადრეულ, არამედ მოგვიანო ახ.წ. II-III საუკუნეების სამარხებში (Brown, 2007:126-127).[92]

[91] მაკედონიელები მიცვალებულს პირში მონეტის ჩადების შემდეგ პირს და კეფას შარფით უხვევდნენ, რადგან სწამდათ, რომ პირიდან მონეტის შემთხვევით გამოვარდნის შემთხვევაში სული კვლავ დაუბრუნდებოდა სხეულს ლ. კოვაჩევა ასევე საუბრობს მაკედონიელთა ერთ უცნაურ ტრადიციაზე, კერძოდ, მაკედონიის სოფლებში არსებობდა პრაქტიკა, როდესაც დაკრძალვიდან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, ჭირისუფალი სამარხს თავიდან თხრიდა, მიცვალებულისთვის პირში ჩადებულ მონეტას იღებდა და შიშისგან „სამკურნალოდ“ იყენებდა (Kovacheva, 2013:4).

[92] ავართა კაგანატის ტერიტორიაზე გათხრილ სამარხებში ნანახია დროში სინქრონული მონეტები და მეორადად გამოყენებული რომაული მონეტებიც (Шмоневский, 2016:256).

იტალიელ მკვლევართა აზრით, კალვატონეს, მილანისა და ანჟერ-ას სამარხებში ჩაყოლებული მონეტების ანალიზი, იძლევა გარკვ-ეულ საფუძველს (არა კატეგორიული მტკიცების), რომ სამარხში ჩასაყოლებლად ძირითადად არჩევდნენ ისეთ მონეტებს, რომე-ლიც იყო ხმარებაში ადგილობრივთა ყოფაში. თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ გავიზიარებთ მ. პატარიძის მოსაზრებას, რომ „სამარხ-ში ხვდებოდა მიმოქცევაში ჩართული ფული, აქედან გამომდი-ნარე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული ქარონის ობოლი უკვე დიდ ინფორმაციას აწვდის მეცნიერებს კონკრეტუ-ლი ისტორიული პერიოდის ეკონომიკური და ფულადი მიმოქცე-ვის სურათის აღსადგენად. ამავდროულად, ის არქეოლოგიური ფენისა თუ სამარხის სანდო დამათარიღებელია" (პატარიძე, 2017:136). ვ. ფიშერ-ბოსერტის ცნობით, ხმელთაშუაზღვის სა-მარხში ჩაყოლებული მონეტები ხშირად უფრო ძველია სამარხის ასაკზე (Fischer-Bossert, 2009:179). იგივეს აღნიშნავს ვ. პაპანოვა ოლბიის ძვ. წ. V-IV საუკუნეების სამაროვნის მასალებზე დაყრდ-ნობით (Папанова, 2006:220), ასევე ა. მიშკეცი სლოვენიის ემონას ძვ.წ. IV საუკუნის სამარხების მასალების საფუძველზე (Miškec, 2012:139). ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარხში, რომლებიც ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, აღმოჩნდა უფრო ადრეული ანტონიუს პიუსის (138-161 წწ.) მონეტა (კახიძე, ვიკერ-სი, 2004: 130). დაკრძალვის თარიღის უფრო ადრეული მონეტე-ბის მოგვიანო სამარხებში აღმოჩენა დასტურდება ციხისძირის სამაროვანზეც (ინაიშვილი, 1993:96). განსხვავებული სურათია მორავიისა და ბოჰემიის სამაროვნებზე. აქაურ სამარხებში დადას-ტურებული მონეტები მეტწილად თანადროულია მიცვალებუ-ლის დაკრძალვის თარიღის (Bartošková, 2103:137).

მ. დირფელდ-ჯონსენი არ გამორიცხავს, რომ ზოგ შემთხვე-ვაში, პირობითად, ქარონის ობოლის ფუნქციას სხვა (შეიძლება

მათ სუროგატი ვუწოდოთ) ნივთები ასრულებდა, მაგალითად, ოქროს ან სხვა ლითონის ფირფიტები, მინის ნაჭრები და სხვა (Dyhrfjeld-Johnsen, 2011: 151).[93] თუმცა, მკვლევართა ნაწილი მათ კავშირს „ქარონის ობოლთან“ კატეგორიულად უარყოფს (Bialobrzcka, 2014:13). ახ.წ. IX-X საუკუნეებში ვოლგის ბულგარეთში მიცვალებულებისთვის სამარხში ჩასაყოლებლად ამზადებდნენ სპეციალურ მონეტებს, რომელთა მხოლოდ ერთ მხარეს იკითხებოდა ვერცხლის ინდიკაცია. რუსი მკვლევრები თვლიან, რომ ასეთი მყიფე ანაბეჭდი პრაქტიკულად გამოუსადეგარი იქნებოდა ფულისთვის და სამკაულისთვისაც და შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ „ქარონის ობოლის“ სახით (Янина,1962:169). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახ.წ. VIII საუკუნიდან გარკვეული ცვლილებები ხდება დაკრძალვის რიტუალში. ეკლესიის მეცადინეობით მიცვალებულებს ძვირფას ნივთებს აღარ აყოლებენ (Gilchrist, 2008: 122) და ისინი, ანდერძის სახით, ცოცხლებს გადაეცემათ. სხვა სიტყვებით: ძვირფასი ნივთები არ იმარხებიან, ისინი სიცოცხლეს განაგრძობენ. მონეტების ჩაყოლების პრაქტიკა „გამოცოცხლდა“ და უფრო ინტენსიური გახდა მხოლოდ XIII საუკუნიდან (Travaini, 2004:15).

მიცვალებულისთვის მონეტის ჩაყოლების წესი გავრცელებული იყო VIII-XV საუკუნეების ირანსა და შუა აზიის ქვეყნების (ძირითადად მუსულმანურ) სამაროვნებზე (Литвинский, Седов,

[93] ეს ნივთები მიკვლეული აღმოსავლეთ დანიის და შვედეთის რომაული ხანის სამაროვნებზე. მ. დიჰრფილდ-ჯონსენი თვლის, რომ ქარონისთვის მონეტების შემცველად სხვა ნივთების ჩაყოლება არ უნდა მიუნიშნებდეს მონეტების არქონაზე, რადგან ბრიონდსაგერის სამაროვანზე, სადაც ქარონის მღვნად ოქროს ფირფიტები ჰქონდათ მიცვალებულებს პირში ჩადებული, იქვე ნანახი იყო გახვრეტილი მონეტაც, რომელიც მეორადი დანიშნულებით - ყელსაბამის გასაფორმებლად იყო გამოყენებული (Dyhrfjeld -Johnsen, 2012:74).

1984:155).[94] აღნიშნულ რეგიონებში (მსგავსად მატერიკული საბერძნეთის ზოგი ზოგი ქალაქისა) ეს წესი არ იყო საყოველთაო, ის წარმოადგენდა ერთ-ერთ ლოკალურ ვარიანტს მიცვალებულებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა. მსოფლიო რელიგიების ზეგავლენის მიუხედავად, მიცვალებულებისთვის სამარხში მონეტის ჩაყოლების ტრადიცია არ ქრება და სხვადასხვა ფორმით განაგრძობს თანაარსებობას კანონიკურ რელიგიურ პრაქტიკასთან ერთად (Полеводов, Корусенко, 2009:194).

მიცვალებულებისთვის მონეტების ჩაყოლების პრაქტიკა დასტურდება სკანდინავიის რკინის ხანისა და მიგრაციების პერიოდის სამაროვნებზე (Dyhrfjeld-Johnsen, 2012:70) ასევე XIII-XIV საუკუნეების შვედეთის, ნორვეგიისა და აღმოსავლეთ დანიის სამარხებში.[95] მორავიაში მიცვალებულებს მონეტებს აყოლებენ IX-X საუკუნეებიდან, მდინარეების ოდრასა და ვისლას ზასეინში X საუკუნიდან (Kajkowski, 2015:20). ჩეხეთის და ბოჰემიისა სამაროვნებზე სამარხებში მონეტის ჩაყოლების წესი გავრცელებულია XI-XII საუკუნეებში, რაც მკვლევართა აზრით, ამ რეგიონებში ფულადი მიმოქცევის ზრდით არის განპირობებული. ნიშანდობლივია, რომ სამარხებში თითო მონეტაა ჩაყოლებული და ისინი განლაგებულია თავის და ხელის (ძირითადად – მარჯვენა) არეში (Bartošková, 2013:129). ინგლისის XI საუკუნის სამარხებში თავის ქალის მიდამოებში აღმოჩნდა დეფორმირებული მონეტები. როგორც ირკვევა, მათ მიცვალებულის დაკრძალვამდე, მაგიური რიტუ-

[94] მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის ავტორები ამ მონეტებს მოიხსენიებენ „ქარონის ობოლად“, ჩვენ ვთვლით, რომ უფრო მართებული იქნება მათი მოხსენიება მიცვალებულისთვის ჩაყოლებულ მონეტად.
[95] სკანდინავიურ ფოლკლორში ის XVIII-XIX საუკუნეებშიც არის დადასტურებული (Fuglesang, 1989).

ალის ჩატარების დროს, შუაში კეცავდნენ.[96] მკვლევართა აზრით ეს მონეტები აპოტროპიული ფუნქციის მატარებელნი იყვნენ (Gilchrist, 2008:135).[97]

XV საუკუნეში, წმიდა პეტრეს სახელზე მოჭრილი ქრისტ-იანული მონეტების შემოსვლის შედეგად, უფრო ინტენსიური გახდა მიცვალებულისთვის ხელში მონეტის ჩადების პრაქტიკა, „რათა წმიდა პეტრეს ისინი თავის ხომალდში ჩაესვა“. XVI საუკუ-ნის ყოფის ამსახველ უკრაინულ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალაში, დაცულია ცნობა, რომ მღვდლები მიცვალებულებს მონეტას ხელში უდებდნენ იმ მიზნით, რომ მათ იმ ქვეყანაში მოსახვედრად მდინარე გადაელახათ. ბულგარეთის ეთნოგრა-ფიული მასალით, მიცვალებულს ხელში სანთლის ხის ჯვარს უდებდნენ, რომლის შუაში მონეტას ამაგრებდნენ, რომ იმქვეყნი-ურ ცხოვრებაში ისინი ეშმაკს არ შეეწუხებია. შოტლანდიაში, XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში, მიცვალებულებს მონეტას შუბლზე ადებდნენ, რაც მკვლევართა აზრით ქარონის ობოლის წესის გამოძახილი უნდა ყოფილიყო (Arabaolaza, 2013:5). აღმოსავლეთ საფრანგეთის სოფლებშიც, XIX საუკუნის ჩათვლით, მიცვალებულის სასთუმალთან ჩადგმულ ხის ჯვარზე მონეტას ამაგრებდნენ (Waser, 1898:38). ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ფშა-

---

[96] VIII-IX საუკუნეებში ხაზართა კაგანატის გამგებლობის ქვეშ მოქცეული ტერიტორიაზე, მიცვალებულებს ჩაყოლებული აქვთ არაბული დირჰემების ნაწილებიც კი (ნახევარი, მეოთხედი) (Лаптев, Аксёнов., 2014:86).

[97] დიდი ბრიტანეთის რომაული ხანის სამარხებში აპოტროპიული ტიპის მონეტები საერთო რაოდენობის 4%- ს შეადგენს. როგორც წესი, ისინი ნანა-ხია სხვა ამულეტებთან ერთად. მაგალითად, ბათ როუდის სამაროვანზე ეს-ექსში, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმული ორი მონეტა. ამავე ჯაჭვზე იყო აცმული მამაკაცის, ძაღლის და ფალოსის ფიგუ-რები. ჯ. მაკდონალდის აზრით, მონეტას იმპერატორის გამოსახულებით და ავერსით ზევით, კუბოს სახურავისკენ მიმართულს, შეიძლება აპოტროპიუ-ლი ძალა ჰქონოდა (Brown, 2007:128).

ვში და ხევსურეთში მიცვალებულებს, სხვა ნივთებთან ერთად, კუბოში თეთრ ფულს აყოლებდნენ, თუმცა მკვლევარი არ განმარტავს მათ დანიშნულებას (მაკალათია, 1985:164; მაკალათია, 1984:199). ქარონის ობოლის ტრადიცია დღესაც შემონახულია ბერძნებთან, ასევე მაკედონიის ალბანელებთან და ვლახებთან. ტრადიციულად, ისინი მიცვალებულებს მონეტას პირში უდებენ ან შუბლზე ადებენ (Холанд, 2012:136).

მიცვალებულისთვის მონეტების ჩაყოლების წესი ფიქსირდება ქრისტიანულ რუსეთში XVII-XVIII საუკუნეებში, ზოგი ელემენტი გადადის XX საუკუნეშიც. რუსი მკვლევრების დასკვნით, გარკვეულ ეტაპზე, სლავურ სივრცეში ადგილი აქვს ქარონის ობოლის (ფოლკლორული მასალით - „გარდაცვლილთა ობოლი“) წესის ტრანსფორმაციას დაკრძალვის ციკლიდან მოსახსენებელ ციკლში, რის დასტურიცაა წყალობის (ფულის) გაცემის ტრადიციის დამკვიდრება დასაფლავების პროცესის დროს (Полеводов, Корусенко, 2009:200).

და ბოლოს, დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა პოზიციას, რომ უფრო მართებული იქნება „ქარონის ობოლად“ მივიჩნიოთ სამარხში დაფიქსირებული ის მონეტები, რომლებიც აკმაყოფილებენ „ქარონის ობოლის“ წესის ძირითად პირობებს (მონეტის რაოდენობა, ნომინალი, განთავსების დრო და ადგილი). სამარხეულ ინვენტარში განსხვავებული პარამეტრებით წარმოდგენილი ნუმიზმატიკური მასალა, შეიძლება მოვიხსენიოთ სამარხეული მონეტების სახელით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. აბაკელია, ნ. ციკლური სიმბოლიზმი და დაკრძალვისა და გლოვის წესები დასავლურ-ქართულ ტრადიციაში. ქართველური მემკვიდრეობა, IV, თბილისი, 2000.
2. აბაკელია, ნ. ვერა ბარდაველიძე - რიტუალის მკვლევარი. ვერა ბარდაველიძე - 110. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2013.
3. ანთელავა, ნ. კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბილისი, 2017.
4. არისტოფანე. „ბაყაყები“. ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა. http:// arilimag.ge/2009.
5. ბატონიშვილი, თ. „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა. ქმნილი საქართველოს მეატცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან. სანკტ-პეტერბურგი, 1948.
6. გორდეზიანი, რ. ბერძნული ლიტერატურა. I, თბილისი, 2009.
7. დანტე ალიგიერი. „ღვთაებრივი კომედი“ა. კ. გამსახურდიას თარგმანი. თბილისი, 2012.
8. თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები). თბილისი, 1980.
9. ინაიშვილი, ნ. ციხისძირი ახ.წ. I-VI საუკუნეებში. სდსძ, XXI, ბათუმი, 1993.
10. კახიძე, ა. ვიკერსი, მ. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002წწ.). „ფიჭვნარი I“ ბათუმი-ოქსფორდი. 2004.
11. კახიძე, ა. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარის ძვ.წ.V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი. „ფიჭვნარი II“, ბათუმი-ოქსფორდი, 2007.
12. კახიძე, ა., ვაშაკიძე, ნ. ელინიზმი და კოლხეთი.„ფიჭვნარი III“, ბათუმი-ოქსფორდი. 2010.
13. კახიძე, ა. ფიჭვნარის კოლხური სამაროვანი. „ფიჭვნარი VII“, ბათუმი, 2016.

14. კაპანაძე, დ. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969;

15. კასირერი, ე. „რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა“. თბილისი, 1983.

16. კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ., ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, თბილისი, 1986, ვანი VIII;

17. კაჭარავა დ., ხარაბაძე, ს. ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან. იბერია-კოლხეთი №14, თბილისი, 2018.

18. კაჭარავა, დ., ხარაბაძე, ს. დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. იბერია-კოლხეთი №7, თბილისი, 2011.

19. კიღურაძე, ნ. მონეტები დაფნარის სამაროვნიდან. „ძეგლის მეგობარი“, 23, თბილისი, 1970.

20. კობახიძე, ე. „იტალიელი“ ჰერაკლე. ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. 2, 2004, V-VI, თბილისი, 1940.

21. მაკალათია, ს. ხევსურეთი. თბილისი, 1984.

22. მაკალათია, ს. თუშეთი. თბილისი, 1985.

23. ნადარეიშვილი, ქ. ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში. თბილისი, 1982.

24. ნიორაძე, გ. მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის მოამბე, XVI, თბილისი, 1940.

25. პატარიძე, მ. სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ - ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები (ძვ. წ.V-ახ.წ. XVIII სს.). სადისერტაციო ნაშრომი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2017.

26. რატიანი, ნ. რიტუალის ასახვა ძველბერძნულ ლიტერატურაში. თბილისი, 2001.

27. სახოკია, თ. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. თბილისი, 1956.

28. ცანავა, რ. მოკლული მტრის დაუმარხავად დატოვების ადათის რიტუალური ასპექტი (ძველბერძნულ-ქართული პარალელები). Μετάνοια. ეძღვნება გრიგოლ წერეთლის დაბადების 130 წლისთავს. თბი-

ლისი, 2001.

29. ხიდაშელი, მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში. თბილისი, 2001.

30. ჰომეროსი. ილიადა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა. თბილისი, 2015.

31. Агапкина Т., Плотникова А. Деньги//Славянские древности: этнолингвистический словарь: в 5-ти т./под общ. ред. Н. И. Толстого. М.: Международные отношения, 1999. Т. 2.

32. Андрюнина, М. Символика пространства в славянской похоронно-поминальной обрядности: этнолингвистический аспект (украинская, белорусская, западнорусская и польская традиции). Москва, 2015.

33. Байбурин, А. Ритуал в традиционной культуре. Структурно-семантический анализ восточнославянских обрядов. СПб.: Наука, 1993.

34. Бердина В. Танатологические представления древних греков о душе. Международний научно-исследовательский журнал. ISSN 2227-6017online. Екатеринбург, 2015.

35. Берлизов, А., Каколири, И. Влияние древнегреческого погребального обряда на ритуальные христианские традиции. 2-ая Международная научно-практическая конференция эллинистов «Эллинистика в гуманитарном пространстве: языковые, культурологические и дидактические аспекты», Краснодар, 2016.

36. Блаватский, В. История античной расписной керамики. Москва, 1953.

37. Блаватский, В. Античная полевая археология. Москва, 1967.

38. Бузин, В. «Обол харона кусской народной свадьбы». Исторические, философские, политические и юридические науки, культурология и искусствоведение. Вопросы теории и практики. Тамбов: Грамота, 2017. № 7(81).

39. Велецкая Н. Языческая символика славянских архаических ритуалов. Москва, 1978.

40. Вайман А., Тирацян Г. Кармир-блурский некрополь эллинистического времени // ВОН АН АрмССР. № 8. 1974.

41. Винничук Л. Люди, нравы и обычаи Древней Греции и Рима / Пер. с польск. М Москва, 1988.

42. Ворошилова, О. Позднеантичное погребение с монетами из некрополя Фанагории. Проблемы истории, филологии, культуры. Москва-

Магнитогорск-Новосибирск. 2011.

43. Гошгарлы, Г. Сырцовые гробницы и обряд с «оболом харона» на территории кавказской Албании. Вестник Дагестанского научного центра. 2012. № 45.

44. Гохман, И., Лукьянченко, Т., Хартанович, В. О погребальном обряде и краниологии Лопарей. Полевые исследования института этнографий, 1976. Москва,1976.

45. Григоров, В. Старобългарски езически погребения с монети.В сб.: Приноси към българската археология. V, 2009.

46. Евзлин, М. Сирены, или странствие по стране смерти. Studia Mythologica Slavikca. IV, 1, 2001.

47. Зелинский, Ф. Возрожденцы. Гомер-Вергилий-Данте СПб.: Алетейя, 1997.

48. Издимирский, М. Харонов оболи «испунатите» монети в ограбени древността тракийски гробници. Societas Classica. Култури и религии на Балканите, Средиземноморието и Изтока. IX, Велико Търново, 2017.

49. Исхаков, Р. Параллели в религиозно-мифологических картинах мира и обрядовости татар и чувашей: опыт историко-этнографической реконструкции. Научные доклады ЧГИГН; вып.11. Чебоксары, 2013.

50. Карышковский, П. Монеты Ольвии. Очерк денежного обращения Северо-Западного Причерноморья в античную эпоху. Киев, 1988.

51. Косарев М. Мировоззренческие аспекты традиционной погребальной обрядности (по сибирским материалам). Краткие сообщения института археологии РАН. Вып. 224. Москва, 2010..

52. Кулишер И. М. Очерк экономической истории Древней Греции. Ленинград, 1925

53. Кун, Н. Легенды и мифы древней Греции. Москва, 2006.

54. Куфтин. Б. Материалы к археологии Колхиды. Т. II. Тбилиси, 1950.

55. Лаптев, А., Аксёнов, В. Погребения с «оболом мертвых» на Бочковском могильнике салтово-маяцкой культуры (по материалам раскопок 2014 г.). В. К. Міхеєв. Учні та послідовники до 80-річчя з дня народження. Харків, 2017.

56. Латышевъ, В. Очеркъ греческихъ древностей. Часть 3-я. С-Перер-

бургъ. 1899.

57. Леви-Строс К. Первобытное мышление. М.: Республика, 1994. 384 с.

58. Литвинский Б.А., Седов А.В. Культы и ритуалы Кушанской Бактрии. М., 1984

59. Мелетинский Е.М. Поэтика мифа. М., 1976.

60. Мызгин, К.В. «Обол Харона» в погребальной традиции населения черняховской культуры: а был ли? III Международный Нумизматический Симпозиум «ПриPONTийский меняла:деньги местного рынка» Националь-ный заповедник «Херсонес Таврический» Тезисы докладов и сообщении. Севастополь, 2014 г.

61. Мышкин, В. К проблеме взяимосвязи социальной структуры и пог-ребального обрядности в древных обществах. Вопросы археологии Повол-жья, вып.1, Самара,1999.

62. Обидина, Ю. Мир смерти в культурных представлениях греков эпохи архаики и классики. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата философских наук. Нижний Новгород, 2001.

63. Обидина, Ю. Взаимоотношения мира мёртвых и мира живых в древнегреческой и древнеримской традициях: Сравнительний анализ. Вестник Марийского Государственного Университета, т.2. 1(5), 2016.

64. Ожередов, Ю. Селькупские погребальные «маски» (к постановке вопроса). Вестник Томского государственного университета. История. 2013. №3 (23).

65. Папанова В. Урочище Сто могил — некрополь Ольвии Понтийской. Киев, 2006.

66. Петров, Н., Мороз, А. Деньги в мифологических представлениях и обрядовых практиках: современная крестьянская традиция. Антрополо-гический форум, № 18, 2103.

67. Пигарев, Е. Монеты в погоребениях Золотой Орды. Степи Европы в эпоху средневековья, т. 1, 2000.

68. Плутарх, Избранные жизнеописания. Москва, 1987.

69. Полеводов А., Корусенко М. «Обол Харона» на юге западной сибири. Сибирский сборник – 1: Погребальный обряд народов Сибири и сопредельных территорий. Книга I. – Спб.: МАЭ РАН, 2009.

70. Реида, Р., Гейко, А.,Сапегин, С. Поховання з «платою Харону» з

Шишацького могильника черняхівської культури. А.рхеология, № 1, Київ, 2014.

71. Рубан, В. О хронологическом соотношении литых стрело- и дельфиновидных бронзовых монет на территории Нижнего Побужья. Нумизматика Античного Причерноморья. Сб. трудов. Киев, 1982.

72. Словарь Античности. Москва, 1989.

73. Содномпилова М. Путь в иной мир в мифоритуальной традиции монгольских народов. Электронная библиотека Музея антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера) РАН http: //www. Kunstkamera.ru/lib/ rubrikator/03/03_03/978-5-88431-145-9/ © МАЭ РАН, 2009.

74. Стелькин, Е. «Путешествие в мир иной». Образ Харона/Хароса в культуре и религиозном сознании Византийского общества. Диссертация на сойскании учённой степени кандидата исторических наук. Волгоград, 2016.

75. Сударев Н., Болдырев С. «Обол Харона» как археологический термин. Боспорские чтения Вып. Х. Боспор Киммерийский и варварский мир в период античности и средневековья. Актуальные проблемы. Керчь, 2009.

76. Супрун, Н. Кладбище Херсонеса-Херсона: к вопросу о реконструкции религиозного мировоззрения //«Византийская мозаика»: Сборник публичных лекций Эллино-византийского лектория при Свято-Пантелеимоновском храме. Вып. 2. Харьков, 2014.

77. Терещенко, А. Монетные комплексы в античных погребениях (к постановке проблемы). Проблемы истории, филологии, культуры. 1, Магнитогорск, 2018.

78. Успенский Б. Филологические разыскания в области славянских древностей. Москва, 1982.

79. Фюстель де Куланж Н. Д. Гражданская община древнего мира. Санкт-Петербург, 1906. Издание «Популярно-Научная Библиотека». Типография Б. М. Вольфа.

80. Цейтлин Г. Знахарства и поверья в Поморье. (Очерк из быта поморов) // Известия Архангельского общества изучения Русского Севера. 1912. № 4.

81. Шмоневский, Б. Обол Харона у древних кочевников: погребальные практики в конце античности и раннем средневековье. Социальная стратификация населения Кавказа в конце античности и начале средневековья:

археологические данные. Материалы международной научной конференции, Москва 2015.

82. Шмоневский, Б. Византийская монета и ее подражания (монета мертвых) на примере находок из погребений Аварского каганата, на Шелковом пути и прилегающих территорий (VI–VIII вв.) КСИА. Вып. 244, 2016.

83. Шевченко, Т. Захоронение умершего как составная часть семейных культов в Херсонесе Таврическом. «Боспорский феномен. Проблема соотношения письменных и археологических источников». Материалы международной научной корференции. Санкт-Петербург, 2005.

84. Шегельский, В. «Похоронна перепустка» або звичай класти (кидати) гроши покійнику на «той світ». Література. Фольклор. Проблеми поетики. Вип. 38. Київ, 2013.

85. Хааз, Э. Ритуалы прощания: антропологические и психоаналитические аспекты работы с чувством утраты. "Московский психотерапевтический журнал", №3-4, 1999.

86. Холанд, Э. Эмоции, идентичность и смерть в традициях Греции и за его пределами. Археология, этнография и антропология Евразии 2 (50) 2012.

87. Храпунов, Н. Монеты из могильника Дружное. ПИФК, Выпуск XXI, Магнитогорск, 2008.

88. Янина, С. Новые данные о монетном чекане Волжской Болгарии X в. МИА, № 111, 1962.

89. Alföldy-Găzdac, A., Găzdac, C. „Who pays the Ferryman?“ The Testimony of Ancient Sources on the Myth of Charon. KLIO, 95, Berlin, 2013.

90. Andonova, M. The coins from the necropolis “Metlata” near the village of Rupite (F. Muletarovo), Municipality of Petrich. papers of the american research center in sofia, vol. 2. 2015.

91. Arabaolaza, I. Paying The Ferryman: An Archaeological Watching Brief At Lennel Church, Coldstream. Archaeology Reports Online, 52 Elderpark Workspace, 100 Elderpark Street, Glasgow, 2013.

92. Bartoškova, A. Obolus mrtvých a jeho význam pro datování archeologických pramenů. Archaeologia historica 38, 2013.

93. Benta, C. „Obolul lui Charon” în Dobrogea. Archeologia Moldovei. Vol.

XXII, 1999.

94. Białobrzecka, D. Obol Charona. www.menhir.archeo.uj.edu.pl/ documents/obol/0charona1. pdf

95. Binford, L. Mortuary practices: Theire study and theire potential. Society for American Archaeology, Memoir 25, 1971.

96. Bollok, A. Apotropaion and Burial in Early Byzantium: Some Preliminary Considerations. Bibliotheca Byzantina, 1.Budapest, 2013.

97. Brown, L. Charon's Obols? A Case Study in the Role of Coins in Roman Burial Ritual. TRAK. Theoretical roman archaeology conference. http:// trac.org.uk/ pubs/ trac2007/ TRAC2007

98. Cipolletti M. Jenseitvorstellungen bei den Indianern Suedamerikas. Berlin (Reimer), 1983.

99. Chryssanthaki-Nagle, K. "La monnaie funéraire dans les nécropoles de Macédoine". En: .-M. Guimier -Sorbets, M.B. Hatzopulos, Y. Morizot (Ed.): Rois, cités, nécropoles. Institutions, rites et monuments en Macédoine. Actes des colloques de Nanterre (décembre 2002) et d'Athènes (janvier 2004), Atenas, 2006.

100. Doyen, J-M. "The "Charon's obol': Some methodolical reflexions" The journal of archaeologican numismatics. vol.2. Cen-Bruxelles. 2012.

101. Dyhrfjeld-Johnsen M.D. The Presence of the Charon Custom in Graves from the Late Roman Iron Age in Southern Scandinavia. International conference INTER AMBO MARIA. Northern Barbarians from Scandinavia towards the Black Sea. Abstracts of presentations. Simferopol, 2012.

102. Fio, V. Il fenomeno della moneta in tomba di epoca medievale nell'Italia nord-occidentale: significati, continuità e rinnovamento di un rito. Corso di Laurea Magistrale in Scienze dell' antichità: letterature, storia e archeologia Tesi di Laurea in Numismatica Medievale. 2011-2012.

103. Fischer-Bossert, W. Goldene Charonsgroscen. ΠΕΡΙΕΧΟΜΕΝΑ. ΚΕΡΜΑΤΙΑ ΦΙΛΙΑΣ. Α ΝΟΜΙΣΜΑΤΙΚΗ - ΣΦΡΑΓΙΣΤΙΚ Ητιμητικός τόμος για τον Ιωάννη Τουράτσογλου. Athens 2009.

104. Fuglesang, S.H. Viking and medieval amulets in Seandinavia. Viking and medieval amulets in Scandinavia Fuglesang, Signe Horn Fornvännen 84, http://kulturarvsdata.se/ raa/ fornvannen/ html/1989_015

105. Graells i Fabregat, R. Sobre el primer culto a Caronte en el noreste de la Península Ibérica: datos para su discusión. GALLÆCIA 32. 2013. ISSN: 0211-

8653

106. Garland, R. The Greek way of death. secon ed. London, 2001.

107. Găzdac, C. Did Charon read his obol? The message of coin offering in Roman graves from Pannonia. Dacia N.S., tome LVIII, Bucarest, 2014.

108. Gedžiūte, A. A semiotic attempt at the reconstuction of the Kelpie myth. MA thesis. Kaunas, 2009

109. Gilchrist, R. Magic for the Dead? The Archaeology of Magic in Later Medieval Burials. Medieval Archaeology, 52, 2008.

110. Grinder-Hansen, K. Charon's fee in ancient Greece? – Some remarks on a well-known death rite. Acta Hiberborea. 3. Recent Danish Research in Classical Archaeology: Tradition and Renewal. 1991.

111. Gorecki, J. Studien zur Sitte der Münzbeigabe in römerzeitlichen Körpergräbern zwischen Rhein, Mosel und Somme, BRGK 56, 1975.

112. Hägg, I, Fossey, J. Kharon's fee and relative coin values. Numismatische zeitschrift, 96, Wien, 1982.

113. Indgjerd, H. The Grave Goods of Roman Hierapolis. An analysis of the finds from four multiple burial tombs. Department of Archaeology, Conservation and History University of Oslo. Thesis is submitted for the degree of Master of Arts. 2014.

114. Kajkowski, K. Slavic Journeys to the Otherworld. Remarks on the Eschatology of Early Medieval Pomeranians. Studia Mythologica Slavikca. XVIII, 1, 2015.

115. Kovacheva, L. The funeral customs in the folk traditions of Greece and the territory of the Republic of Macedonia. Versita. SEEU Review. Vol. 9, No. 1, 2013

116. Kurtz, D.C., Boardman, J. Greek burial customs. Cornell University Press, Ithaca, New York, 1971.

117. Lipset, D. Charon's boat and other vehicles of moral imagination. Vehiles. Cars, Canoes, and Other Metaphors of Moral Imagination. Edited by David Lipset and Richard Handle. New York, 2014.

118. Miškec,A. Analysis of the coins from the graves in the northern cemetery of Emona. EMONA – between Aquileia and Pannonia. Posvečeno dr. Ljudmili Plesničar Gec. Koper, 2012.

119. Mihálykó, A. Christ and Charon: PGM P13 reconsidered. Symbolae Osloenses,Vol. 89, No.1.Oslo, 2015.

120. Morris, I. Death-Ritual and Social Structure in Classical Antiquity, Cambridge 1992

121. Nemeth, G. Coins in water. Acta Classica university. Scientes. Debrecen.XLIX. 2013.

122. Nicolet-Pierre, H. Numismatique grecque, Paris, 2002.

123. Pearson M. The Archaeology of Death and Burial. College Station, Texas, 2000.

124. Pierucci, A. Death in Roman Marche Italy: Acomparative study of burial rituals. A Thesis presented to the Faculty of the Graduate School at the University of Missouri-Columbia. In Partial Fulfillment of the Requirements for the Degree Master of Arts. 2014.

125. Radwan Abdel-Rady Sayed Ahmed. The Celestial Ferryman in Ancient Egyptian Religion "Sailor of the Dead". Journal of the General Union of Arab Archaeologists (1) 126. Cairo, 2016.

126. Retief, FP., Cilliers, L. Burial customs, the afterlife and the pollution of death in ancient Greece. Acta Theologica 2005: Supplementum(7).

127. Richardson, N.J. Early Greek Views about Life after Death. Greek Religion and Society. Cambridge: Cambridge University Press, 1985.

128. Robinson, Excavations at Olynthus, Part XI. Necrolynthia, a Study in Creek Burial Customs and Anthropology. Baltimore: The Johns Hopkins Press, 1942.

129. Roselli, D. Theorika in Fifth-Century Athens. Greek, Roman, and Byzantine Studies, 49 (2009).

130. Rutter, N.K. Greek coinage. Shire Archaeology. UK. 1983.

131. Stevens, S. 1991 Charon’s Obol and Other Coins in Ancient Funerary Practice. Phoenix, 45 (3).

132. Starve, B., Stoica, D., Papa, E. “For whom the bell tolls?” Death and dying-ralated language/vocabulary. Linguistic boundaries in Albanian and Romanian. Diversite et Identite Culturelle en Europe. 2010.

133. Tainter J. Mortuary practices and the study of prehistoric social systems//Advances in Archaeological Method and Theory. Vol. 1. New York, 1978

134. Vlachou, V. Greek funerary rituals in their archaeological context. Thesaurus Cultus Et Rituum Antiquorum (ThesCRA).: Private space and public

space; Polarities in religious life ; Religious interrelations between the Classical World and neighbouring civilizations; Addendum to Vol. VI, Death and burial ; Supplementum: Animals and plants. VII. 2012.

135. Toynbee, J. Death and Burial in the Roman World. London:The John Hopkins University Press. 1971.

136. Travaini L. Saints and Sinners: Coins in Medieval Italian Graves. A stampa in “Numismatic Chronicle”, CLXIV, 2004. Dell’autrice - Distribuito in formato digitale da “Reti Medievali”.

137. Tselekas, P. Grave Hoards of Greek Coins from Greece. The Numismatic Chronicle 156, 1996.

138. Vojvoda, M. Perforated coins from graves at the Viminacium necropolis of Više Grobalja. STARINAR, LXV, 2015.

139. Yordanova, K. The Role of Hellenistic Coins in the Funerary Practices in the Necropolis of Apollonia Pontica. Archaeologia Bulgarica XXI, 3, 2017.

140. Waser, O. "Charon, Charun, Charos: Mythologisch-archäologische Monographie. Berlin: Weidmannsche Buchhandlung. 1898.

141. Wheatcroft, A. On the Topography of the Greek Underworld and the ‘Orphic’ Gold Tablets. Prandium: The Journal of Historical Studies Vol. 3, No. 1, (2014).

**Giorgi Tavamaishvili**

## Once Again on "Caron's Obol"

Summary

For a long time, all the facts of discovery of coins in the burial sites, regardless of chronological, geographical or ethnic characteristics, the "Caron's Obol" custom has been considered as a material expression. Archaeological findings of the last decade has required a new understanding of the problem, while some of the principal conclusions of the new arguments became the subject of thorough criticism. The topic of "Charon's Obol" has not lost its significance even today because of the expansion of archaeological survey area, new materials have been collected for the study of the ancient funeral ritual. Therefore, in the present paper, we are stating more about the outlook principles of the "Caron's Obol" custom; on the coincide relation between written sources around the community and the archaeological data, about the local peculiarities of the mentioned habit; on the discovered materials from the ancient necropolis discovered on Georgian Black Sea littoral.

We are also more appropriate to consider as "Caron's Obol" only those coins recorded in the burials that satisfy the basic conditions of the "Charon's Obol" customs (quantity, nomination, time and place of positioning). As for the numismatic material presented with different situational or quantitative parameters among the burial inventory, they can be attributed with the name of "burial coins."

ოთარ თურმანიძე

# უცხოელების ახალშენები საქართველოში

უცხოელების მიერ საქართველოს კოლონიზაციის ისტორია საუკუნეებს მოითვლის, მაგრამ ახალშენების მშენებლობა XVI საუკუნიდან იწყება და XX საუკუნის 90-იან წლებამდე გრძელდებოდა. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად საქართველო დაიცალა მოსახლეობისაგან. აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის შუა წლებში საქართველოში 2,8 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა (XX საუკუნის 80-იანი წლების საზღვრები). მაგრამ 6 საუკუნის განმავლობაში აგრესიული სახელმწიფოების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლის შედეგად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა. თითქმის მთლიანად დაცარიელდა ჯავახეთი, თრიალეთი და სხვა პროვინციები, დიდად შემცირდა მოსახლეობა კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში. საქართველოში გაჩნდა ნასოფლარები და ნასახლარები.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მოსახლეობა 750-770 ათას შეადგენდა, რაც XIII საუკუნის შუა წლებთან შედარებით 4-ჯერ ნაკლები იყო. აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნეში მსოფლიოში 952 მილიონი ადამიანი ითვლებოდა. საქართველო მჭიდროდ იყო დასახლებული, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 0,08% ცხოვრობდა ***[ჯაოშვილი, 1984:51, 53].*** მაგრამ მომდევნო წლებში სურათი შეიცვალა. საქართველოს დაცარიელებულ სოფლებს უცხოელები იკავებდნენ და ახალშენებს ქმნიდნენ. ამის შედეგად XVIII საუკუნის დასასრულს საქართველოში არაქართველები საერთო მოსახლეობის 20%-ს აღემატებოდა.

საქართველოში უცხოელების ახალშენების მშენებლობის ისტორია, შეიძლება პირობითად სამ პერიოდად დაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს, მეორე – რუსეთის ბატონობის ხანას (1801-1917 წლები), მესამე – 1918-1990 წლებს. საქართველოში უცხოელების დასახლება მიმდინარეობდა მოძალადე სახელმწიფოების ძალმომრეობით, სტიქიურადაც, ქართველი მეფეებისა და ფეოდალების ძალისხმევითაც. ამ ფაქტორების შედეგად საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში შეიქმნა თურქების (აზერბაიჯანელები), სომხების, ოსების, ბერძნების ახალშენები. XIX საუკუნეში – რუსების, უკრაინელების, გერმანელების, ქურთებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფის ახალშენები.

XX საუკუნეში არაქართველი მოსახლეობის მექანიკურ ზრდასთან ერთად ბუნებრივი მატებაც მაღალი იყო. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული ვითარება. საქართველოში უცხოელების ახალშენების ისტორიის ზოგადი სურათი მოცემულია 1-ლ ცხრილში ***[ჯაოშვილი, 1984:79, 112; აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 56, ფურც. 15-18; სმეშ, 1991:4; სმპესაშ, ტ. 1, 2003: 10].***

ცხრილი 1

| ეროვნება | 1800 წ. | | 1897 წ. | | 1926 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % |
| ქართველი | 622,6 | 79,4 | 1331,3 | 69,4 | 1788,2 | 66,8 |
| აფხაზი | 52,2 | 6,6 | 42,6 | 2,2 | 56,9 | 2,1 |
| ოსი | 29,3 | 3,7 | 81,5 | 4,2 | 113,3 | 4,2 |
| სომეხი | 47,0 | 6,0 | 197,0 | 10,3 | 307,0 | 11,5 |
| რუსი | – | – | 101,0 | 5,3 | 96,1 | 3,6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინელი | – | – | – | – | 14,4 | 0,5 |
| ბელორუსი | – | – | – | – | 0,5 | – |
| აზერბაიჯანელი | 30,0 | 3,8 | 81,1 | 4,2 | 144,0 | 5,4 |
| ბერძენი | 0,5 | 0,1 | 38,5 | 2,0 | 54,1 | 2,0 |
| გერმანელი | – | – | 7,4 | 0,4 | 12,9 | 0,5 |
| ებრაელი | 3,3 | 0,4 | 17,2 | 0,9 | 30,2 | 1,1 |
| ქურთი | – | – | – | - | 8,0 | 0,2 |
| დანარჩენი | – | – | 21,8 | 1,1 | 73,3 | 42,3 |
| სულ | 784,7 | 100 | 1919,4 | 100 | 2644,2 | 100 |

| ეროვნება | 1970 წ. | | 1989 წ. | | 2002 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % |
| ქართველი | 3130,7 | 66,8 | 3787,4 | 70,1 | 3661,2 | 83,8 |
| აფხაზი | 79,5 | 1,7 | 95,9 | 1,8 | 3527 | 0,1 |
| ოსი | 150,2 | 3,2 | 164,1 | 3,0 | 38028 | 0,9 |
| სომეხი | 452,3 | 9,7 | 437,2 | 9,7 | 248,9 | 5,7 |
| რუსი | 396,7 | 8,5 | 341,2 | 8,1 | 67,7 | 1,5 |
| უკრაინელი | 49,6 | 1,1 | 52,5 | 1,0 | 7,0 | 0,2 |
| ბელორუსი | 6,1 | 0,1 | 8,6 | 0,2 | 0,5 | 0,0 |
| აზერბაიჯანელი | 217,8 | 4,6 | 307,6 | 5,7 | 284,8 | 6,5 |
| ბერძენი | 89,2 | 0,9 | 100,3 | 1,9 | 15,2 | 0,3 |
| გერმანელი | – | – | – | – | 0,7 | 0,0 |
| ებრაელი | 55,4 | 1,2 | 24,8 | 0,5 | 3,8 | 0,1 |
| ქურთი | 20,7 | 0,4 | 33,3 | 0,6 | 2,5 | 0,1 |
| დანარჩენი | – | – | – | – | – | – |
| სულ | 4686,6 | 100 | 5400,1 | 100 | 4371,5 | 100 |

მართალია, 1801-1989 წლებში ქართველების საერთო რაოდენობა 5,5-ჯერ გაიზარდა, აფხაზების რიცხოვნობა მხოლოდ 1,8-ჯერ. ზრდის ასეთი დაბალი მაჩვენებელი იმითაა განპირობებული, რომ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზი მოსახლეობის საზღვარგარეთის ქვეყნებში გადასახლების შედეგად (მუჰაჯირობა) განახევრდა. შემდეგი მიზეზი ის არის, რომ მათი ბუნებრივი გამრავლების ტემპი საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსთან შედარებით დაბალი იყო. საქართველოში მცხოვრები ოსების რაოდენობრივი ზრდის ტემპი დაახლოებით უტოლდებოდა ქართველებისას.

1801-1989 წლებში საქართველოში მცხოვრები უცხოელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სომხების, აზერბაიჯანელების, რუსების, ბერძნების რაოდენობრივი ზრდის მაღალი ტემპი. მაგალითად, 1801-1989 წლებში სომხების რიცხოვნობა გაიზარდა 9-ჯერ და მეტად, აზერბაიჯანელებისა – 10,3-ჯერ, ბერძნებისა – 200-ჯერ, რუსებისა – 340-ჯერ. სომხების, ბერძნების, რუსების რაოდენობრივი ზრდა ძირითადად მოხდა ამ ეროვნებათა ახალ-ახალი ნაკადის ჩასახლების შედეგად, არაქართველი ქრისტიანი მოსახლეობის ჩამოსახლებით რუსეთის მთავრობაც იყო დაინტერესებული. ამასთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი 1801 წელს ქართლ-კახეთის გენერალ-გუბერნატორს კნორინგს სწერდა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზღვარგარეთიდან ქრისტიანი კოლონიზატორების მოზიდვას“ *[AKAK, 1863:435, 448]*. ამ პოლიტიკას ატარებდნენ რუსეთის ყველა დროის ხელისუფალნი.

საქართველოში უცხოელების პირველი ახალშენები აზერბაიჯანელებმა შექმნეს. აზერბაიჯანელების ტრადიციული საქმიანობა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო. ამიტომ ძირითადად საქართველოს სოფლად დასახლდნენ. გასაბჭოებამდე არსებულ

წყაროებში ისინი თურქების, ზოგჯერ თათრების, ბოლოს აზერბაიჯანელების სახელწოდებით არიან მოხსენიებული. აზერბაიჯანელების ახალშენები მასობრივად იქმნება XVII საუკუნიდან. მათი განსახლების გეოგრაფია მოიცავდა ქვემო ქართლის ისეთ პროვინციებს, როგორიცაა მარნეული, გარდაბანი, დმანისი, ბოლნისი. აზერბაიჯანელების ახალშენები შეიქმნა აგრეთვე კახეთში (ლაგოდეხი, საგარეჯო), შიდა ქართლში (კასპის, მცხეთის, ქარელის რაიონები). როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთის 1603-1912 წლების ომში ქართველთა ლაშქარიც მონაწილეობდა ქართლის მეფის გიორგი X-ის (1600-1605) მეთაურობით. 1603 წელს ერევანის ბრძოლაში ქართველების აქტიური მონაწილეობისათვის შაჰ-აბასმა გიორგი მეფე დაასაჩუქრა ირანის სოფლებით და 300 თუმანი ჯამაგირიც დაუნიშნა. სამაგიეროდ ლორეს პროვინცია და დებედას ხეობა გამოსტყუა. ლორეს პროვინცია სახანოდ აქცია, ხოლო დებედას ხეობაში თურქული ტომი „ბორჩალუ“ ჩამოასახლა. ეს იყო თურქული ტომის პირველი ახალშენები ქვემო ქართლის ტერიტორიაზე *[სიბ, ტ. IV, 1973:247-248].*

თურქული ეთნოსის ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე მომდევნო ხანაში გაგრძელდა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში თათრების ახალი ჯგუფი ჩამოსახლდა ქვემო ქართლში და ქართველობისაგან დაცარიელებული სოფლები დაიკავეს. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის ცნობით ამ წლებში მდინარე ქციის ქვემო წელში, ქცია-ხრამისა და დებედას ხეობებში ათასობით თურქი და სომეხი ჩამოსახლებულან და ახალშენები შეუქმნიათ *[გიულდენშტედტი, 1962:69, 79, 83, 243].*

მართალია, აზერბაიჯანელების ახალშენები შიდა ქართლშიც შეიქმნა, მაგრამ მათი დასახლების გეოგრაფია ძირითადად ქვემო ქართლი და კახეთი იყო. გასაბჭოებამდე ქვემო ქართლი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად ბორჩხალოს მაზრის სახელწო-

დებითაა ცნობილი. 1930 წლიდან, ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, ქვემო ქართლი 6 რაიონად იყოფოდა (ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა), რომლის ტერიტორია 6073,1 კვ კმ-ს შეადგენს. კახეთში აზერბაიჯანელები ძირითადად სახლობდნენ ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში. გასაბჭოებამდე კახეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად თელავისა და სიღნაღის მაზრებად იყოფოდა (1930 წლიდან კახეთი 8 რაიონად დაიყო). ქვემო ქართლსა და კახეთში აზერბაიჯანელთა საერთო რაოდენობის და ფარდობითი მახასიათებლის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-2 ცხრილი ***[КК на 1907 год: 125-126, 130-133; სმეშ, 1991; სდპმ, 1991; სმპეაშ, 2003:114, 116***].

ცხრილი 2

| ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები | 1897 წ. | | 1926 წ. | | 1970 წ. | | 1989 წ. | | 2002 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % |
| ქვემო ქართლი | 38,0 | 30,0 | 51,0 | 58,9 | 172,2 | 46,0 | 232,8 | 52,5 | 224,6 | 45,1 |
| კახეთი | 7,1 | 4,9 | 7,8 | 5,5 | 21,0 | 5,0 | 33,5 | 7,5 | 40,0 | 9,8 |

ქვემო ქართლში ცხოვრობდა: 1897 წელს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების 47,%, 1989 წელს–75,2%. 1989 წელს აზერბაიჯანელები ძირითადად დასახლებული იყვნენ მარნეულის (91,2 ათასი – 76,0 %), ბოლნისის (53,8 ათასი – 66,)%), გარდაბნის (48,8 ათასი – 42,6%), დმანისის (33,1 ათასი – 64,0%) რაიონებში. თეთრიწყაროს რაიონში სახლობდა მხოლოდ 2,5 ათასი (0,9%), ხოლო წალკის რაიონში – 2,3 ათასი (5,1%) აზერბაიჯანელი. ქვემო ქართლში 1926 წლისათვის აზერბაიჯანელების

ახალშენები იყო 185 სოფლიდან 139 სოფელი. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო აღნიშნულ რეგიონში მხოლოდ 7949 ქართველი (9,2%) ითვლებოდა *[აცსა, ფ. რ-178, ან.1, ს. 58, ფურც. 13-18].* მომდევნო წლებში ქართველების რაოდენობა გაიზარდა. მაგალითად, 1970 წელს ქვემო ქართლში ითვლებოდა 99,7 ათასი, ხოლო 1989 წელს –111 ათასი ქართველი. ეს ზრდა ძირითადად მოხდა სომხებისა და ბერძნების შემცირების ხარჯზე.

ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. მაგალითად, 1989 წლისათვის საქართველოში არსებული აზერბაიჯანელთა 161 სოფლიდან ქვემო ქართლში იყო 140 სოფელი. მათგან მარნეულის რაიონში – 47, დმანისის–39, ბოლნისის – 36, გარდაბანის – 10, წალკის – 5, თეთრიწყაროს რაიონში – 3 ახალშენი *[სდპმ, 1991:261].*

საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანელთა მეორე შედარებით მსხვილი დასახლება კახეთის მხარეა. აზერბაიჯანელები კახეთის ყველა რაიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ ძირითადად დასახლებული იყვნენ საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავისა და დედოფლისწყაროს რაიონებში. კახეთში 1989 წელს აზერბაიჯანელთა 13 ახალშენი ითვლებოდა. გარდა ამისა, ისინი, სხვა ერებთან ერთად, ცხოვრობდნენ საზიარო სოფლებშიც. 1989 წელს საგარეჯოს რაიონში მოსახლეობის 26,3% (15821 ადამიანი) აზერბაიჯანელია. რაიონის 43 სოფლიდან 8 აზერბაიჯანელების მსხვილი დასახლება იყო. ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის 17,1%-ს (9797კაცი) ასევე აზერბაიჯანელები შეადგენდნენ. თელავის რაიონში ცხოვრობდა 7094 აზერბაიჯანელი (9,1%), ხოლო დედოფლისწყაროში – 5094 (5,9%).

მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აზერბაიჯანელთა ნაწილი თავის ისტორიულ სამშობლო-

ში გადასახლდა,. მაგრამ კახეთში, ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში როგორც რაოდენობრივად, ისე ფარდობითად გაიზარდა. მაგალითად, 2002 წლისათვის საგარეჯოს რაიონში აზერბაიჯანელთა რაოდენობა 40%-მდე გაიზარდა. ქვემო ქართლის ისეთ რაიონებში, როგორიცაა ბოლნისი აზერბაიჯანელთა ფარდობითი მახასიათებელი 64%-დან 74,4%, ხოლო დმანისის რაიონში – 66%-დან 85%-მდე გაიზარდა *[სმეშ, 1991:41, სმპეაშ, 2003:102,105].*

შიდა ქართლში აზერბაიჯანელები 14 სოფელში ცხოვრობდნენ. რეგიონში აზერბაიჯანელების ახალშენი იყო 10 დასახლება. მათგან მცხეთის რაიონში – 4, კასპის – 3, ქარელის – 2, ხოლო გორის რაიონში – 1 ახალშენი ***[სდპმ, 1991:130,175,176,178,205-206,200].*** შიდა ქართლში აზერბაიჯანელები საზიარო სოფლებშიც ცხოვრობდნენ. მაგრამ საერთო მდგომარეობით შიდა ქართლში აზერბაიჯანელთა მცირე ნაწილი ცხოვრობდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას შორის პირველი ადგილი სომხებს ეკავათ. ისინი ძირითადად ქალაქებსა და დაბებში სახლობდნენ, სხვა არაქართველებისაგან განსხვავებით მეტწილად ვაჭრობა–ხელოსნობას მისდევდნენ. აგრესიული სახელმწიფოების ომების შედეგად სომხები არანაკლებ მსხვერპლად იქცნენ და საქართველოში ლტოლვილთა სახით შემოდიოდნენ, დაცარიელებულ ქართულ სოფლებში ახალშენებს ქმნიდნენ. XIX საუკუნის 30-იან წლებამდე საქართველოში სომხების მცირე ჯგუფები შემოდიოდნენ. XVI-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფეებიც ხელს უწყობდნენ სომხების საქართველოში ჩამოსახლებას. მაგალითად ერეკლე მეორემ 1779 წელს ერევნის სახანოდან გადმოიყვანა სომეხთა ერთი ნაწილი და ჩაასახლა სიღნაღსა და გორში. მიზეზი ის იყო, რომ შრომისუნარიანი და მეომარი ხალხი არ კმაროდა ***[სინ, ტ. IV, 1973:522].*** ერეკლე მეორემ ასევე XVIII საუკუნის ბოლოს ყარა-

ბახელ სომხებს ნება დართო ჩამოსახლებულიყვნენ ქვემო ქართლში. ისინი კომპაქტურად დასახლდნენ ბოლნისის, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონებში. XIX საუკუნის 10-იან წლებში თურქეთის მიერ სომხეთის პროვინციების აოხრების შედეგად სომხების ნაწილი აიყარა და საქართველოს ტერიტორიაზე სტიქიურად ჩამოსახლდა.

საქართველოში რუსების გაბატონების შემდეგ ცარიზმი ქრისტიან სომხებს ეხმარებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებაში. რუსეთის ხელისუფლება ამ პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებდა, რადგან საქართველოში ჩამოსახლებული სომხები დასაყრდენ ძალად მოიაზრებოდა. რუსეთ-თურქეთის 1928-1829 წლების ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ნებით სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ანატოლიიდან გადმოსახლდა 30 ათასი სომეხი. აღსანიშნავია, რომ 1800 წელს სამცხე-ჯავახეთში 37 ათასი ადამიანი ცხოვრობდა და აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ქართველები უმრავლესობას შეადგენდნენ 1828 წელსაც. მაგრამ ადრიანოპოლის ზავის (1829 წელი) შედეგად მაჰმადიანი ქართველების დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა. სამცხე-ჯავახეთი დაცარიელდა. მთავარმართებელმა პასკევიჩმა იმერეთის მოსახლეობას სამცხე-ჯავახეთში ჩასახლების უფლება არ მისცა. სომხების ჩამოსახლების შედეგად უმრავლესობას ისინი შეადგენდნენ ***[სიბ, IV, 1970: 884; ჯაოშვილი, 1984:78-79].***

საქართველოში სომხების ჩამოსახლება მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. საქართველოში სომხების ჩამოსახლებით სომხური ეკლესიაც გააქტიურდა, რომელიც სომეხ მოახალშენეებს ფინანსურადაც ეხმარებოდა. მართალია, სომხები დასახლდნენ საქართველოს უმეტეს პროვინციებში, მაგრამ სოფლად მათი განსახლების ძირითადი რეგიონები იყოო სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართ-

ლი და აფხაზეთი. ამ რეგიონებში სომხების რიცხოვნობა მოცემულია მე-3 ცხრილში ***[КК на 1907 год: 124-125; აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს. 56, გვ. 4; სმეშ, 1991:6-7; სმჰეაშ, 2003:115, 116].***

ცხრილი 3

| ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები | **1897 წ.** | | **1926 წ.** | | **1970 წ.** | | **1989 წ.** | | **2002 წ.** | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % | ათასობით | % |
| სამცხე-ჯავახეთი | 67,6 | 56,2 | 73,4 | 42,0 | 125>6 | | 124,5 | 63,3 | 113,4 | 55,0 |
| ქვემო ქართლი | 47,5 | 37,0 | 15,0 | 8,6 | 42,0 | 10,6 | 26,6 | 6,0 | 31777 | 6,4 |
| აფხაზეთი | 6,6 | 6,6 | 29,7 | 14,8 | 74,9 | 15,4 | 76,6 | 14,6 | 44,9 | 20.8 |

მართალია, სომხების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა, მაგრამ ახალშენები ძირითადად სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში შეიქმნა. 1926 წელს სამცხე-ჯავახეთის 309 სოფლიდან სომხები ცხოვრობდნენ 127 სოფელში. ახალქალაქის 103 სოფლიდან 88 სოფელი სომხების ახალშენი იყო. ქვემო ქართლში დასახლებული იყვნენ 72 სოფელში. მათგან სომხების ახალშენი იყო ნახევარი – 36 სოფელი. ამ ახალშენებიდან წალკის რაიონში მდებარეობდა 14 ახალშენი, მარნეულის – 10, დმანისის – 6, ხოლო ბოლნისისა და დმანისის რაიონებში–სამ-სამი ახალშენები. ამასთან, სომხები ცხოვრობდნენ საზიარო სოფლებშიც. აფხაზეთის 5 მაზრიდან სომხები ცხოვრობდნენ კოდორის, გუდაუთის, სოხუმისა და გაგრის მაზრების 157 სოფელში. მაგალითად სოხუმის მაზრის 153 სოფლიდან 28 სომხების დასახლება იყო. გაგრის მაზრაში – 26-დან 11, გუდაუთის მაზრის 86 სოფლიდან 22 სომხების ახალშენი იყო,

კოდორის მაზრის 71 სოფლიდან სომხები ცხოვრობდნენ 27-ში, ხოლო 10 დასახლება სომხების ახალშენი იყო *[აცსა, ფ. 178, ან. 1, ს. 56, ფურც. 10; ს. 58, ფურც. 1-11, 13-18, 126-127, 142-147].*

1926 წლის შემდეგ გაიზარდა საქართველოში მცხოვრები სომხების მიგრაციული პროცესები დაბა-ქალაქებსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონებში. ამის შედეგად ცვლილებები განიცადა სომხების ახალშენებმაც. მაგალითად, 1989 წლის აღწერით საქართველოში სომხების 209 ახალშენი აღირიცხა, რომელთაგან 99 სამცხე-ჯავახეთში იყო. მათგან ახალქალაქის რაიწში – 56, ნინოწმინდის – 26, ახალციხის – 16, ასპინძის რაიონში – ერთი. ბორჯომის რაიონში სომხების სამი ახალშენი არსებობდა *[სდპმ, 1991: 119-126, 161-165, 191-194, 261-263].*

შიდა ქართლში სომხების დასახლება XVIII საუკუნიდან იწყება და 1989 წლისათვის რეგიონში 10,5 ათასი სომეხი ცხოვრობდა. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებათა გარდა, სომხები შიდა ქართლის სოფლებშიც დასახლდნენ. სომხების ახალშენები არსებობდა გორის, კასპისა და მცხეთის რაიონებში. სომხები კახეთის ყველა რაიონში ცხოვრობდნენ. მაგალითად, 1897 წელს სიღნაღისა და თელავის მაზრებში 5245 სომეხი ითვლებოდა. 1926 წლისათვის მათი რიცხოვნობა 21,3 ათასამდე გაიზარდა *[КК на 1907 год: 132-133; აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს.56, ფურც.182-190]* მაგრამ მომდევნო წლებში კახეთიდან სომხების მიგრაცია მოხდა ქალაქებსა და საქართველოს შავიზღვისპირეთის რეგიონებში, ძირითადად, აფხაზეთსა და კრასნოდარის მხარეში. 2002 წლისათვის კახეთში მხოლოდ 3789 სომეხი ითვლებოდა – 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1926 წელს *[სმპეაშ, 2003:114].* 2002 წლისათვის სომხების მეტი ნაწილი დედოფლისწყაროში ცხოვრობდა (1286 კაცი).

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო სომხების დასახლება აფხაზეთში და დღემდე გრძელდება. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთმა აფხაზეთს თავს დაატეხა დიდი ტრაგედია-მუჰაჯირობა. ამის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობა 60 ათასი-დან 30 ათასამდე შემცირდა. აფხაზეთის დაცარიელებული სოფ-ლები კი, რუსებთან ერთად, სომხებმა და ბერძნებმა დაიკავეს. 1989 წლისათვის აფხაზეთის 462 სოფლიდან 71 სოფელი სომხე-ბის ახალშენებია. ამ 71 ახალშენიდან გაგრის საქალაქო ზონაში მდებარეობდა 22 სოფელი, 22 854 მცხოვრებლით, რაც აფხაზეთში მცხოვრები სომხების 29,7%-ს შეადგენს. გუდაუთის რაიონის 14 სომხურ ახალშენში 8857 სომეხი სახლობდა (15,4%). გულრიფშის 13 ახალშენში – 13876 (25,3%). ოჩამჩირის რაიონში სომხების 7 ახალშენი ითვლებოდა 12247 მცხოვრებლით (10,3%), სოხუმის რაიონის 11 სომხურ ახალშენში 4458 მოახალშენე იყო, რაც რაიონის საერთო მოსახლეობის 11,3%-ს შეადგენს.

1992-1993 წლების კონფლიქტის შედეგად აფხაზეთიდან ქართველების დეპორტაცია განხორციელდა. უცხოელების ნა-წილმაც დატოვა აფხაზეთი. 2015 წლის დასასრულს აფხაზეთში 243,6 ათასი კაცი ითვლებოდა, თითქმის 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1989 წელს. მათგან ქართველია 19,2% (46,8 ათასი), აფხაზი – 51,1% (124,5 ათასი), სომეხი-17,2% (41,9 ათასი), რუსები – 9,2% (22,3 ათასი), უკრაინელები – 0,72% (1761), ბერძნები – 0,55% (1351).

აჭარაში სომხების ახალშენები არ იყო. სომხები ძირითადად ქ. ბათუმში ცხოვრობდნენ და ქალაქის არაქართველებს შორის XX საუკუნის 20-იან წლებში რაოდენობრივად პირველი ადგილი ეკავათ. აჭარის სოფლად სომხები სპონტანურად დასახლდნენ მახინჯაურში, ჩაქვსა და ოჩხამურში. სომხების ახალშენები შეიქმნა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისეთ რეგიო-ნებში, როგორიცაა ართვინი, ოლთისი და არტაანი. რუსეთ-ოს-

მალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ იმ რეგიონების მუსლიმანი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი მუჰაჯირად წავიდა და დაცარიელებული სოფლები სომხებმა დაიკავეს. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ქართველ მუჰაჯირთა მიტოვებულ მიწებს სომხები თვითნებურად ისაკუთრებდნენ, სხვა შემთხვევაში ყიდულობდნენ და ამისათვის დიდ ფულსაც იხდიდნენ. მაგალითად, 1889 წელს სომხებმა ართვინის ოკრუგის სოფლებში (სვეტიბარი, ლომაშენი, ირსა, თოლგომი, კვარცხანა, სათლელ-რაბათი, ოქრობაგეთი, სინგოთი (დაბა ართვინის შემოგარენი) მუჰაჯირების 495 ადგილ-მამული იყიდეს *[აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 8-25, 55-64]*. სომხებმა მუჰაჯირთა მიწები იყიდეს შავშეთ-იმერხევისა და არტანუჯის საპოლიციო უბნებშიც. პროცესი გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. თუ 1897 წელს ართვინის ოკრუგში 3173 სომეხი სახლობდა, 1913 წლის ბოლოს მათი რიცხოვნება 5,7-ჯერ – 17815-მდე გაიზარდა *[КК на 1907 год: 97; КК на 1915 год: 224-225, 234-235]*.

ოსების ჩასახლება საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნის შუა ხანაში იწყება. თათარ-მონღოლთა შემოსევების შედეგად ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში გაიხიზნენ, სადაც ცხოვრების მძიმე პირობები იყო. მონღოლებმა ოსებისაგან ლაშქარიც კი შეადგინეს, რომელიც მონღოლთა ბრძოლებში მონაწილეობდა. იგი დარუბანდიდან საქართველოში შემოვიდა და შიდა ქართლში დასახლდა. მაგრამ მაშინ საქართველოში ოსების ახალშენები არ შექმნილა, რადგან მათი ქართველებში ასიმილაცია მოხდა. საქართველოში ოსების ახალშენები XVI-XVIII საუკუნეებში იქმნება. იგი განპირობებული იყო ორი ფაქტორით: პირველი, ოსების მძიმე საცხოვრებელი პირობით და ამის გამო უკეთეს სასიცოცხლო სივრცეს ეძებდნენ. მეორე, ქართლის სამეფო ხელისუფლებისა და ქართველი ფეოდალების სწრაფვით

შეევსოთ მოსახლეობისაგან დაცარიელებული სოფლები, რათა გადასახადების გადამხდელები და ლაშქრის გამოყვანის საშუალება ჰქონოდათ. მაგალითად, შიდა ქართლის ფეოდალები მაჩაბლები ოსებს იწვევდნენ დაცარიელებული სოფლების შესავსებად.

ამასთან ერთად შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ, ლიახვისა და ქსნის ხეობებში ოსების სტიქიური, თვითნებური ჩამოსახლებაც მიმდინარეობდა. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ოსები ქართულ მიწა-წყალს ბრძოლით იკავებდნენ. ისინი თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთი დასახლების სივრცეს და XVIII საუკუნის დასასრულს შიდა ქართლის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ახალშენი მოაწყვეს. XIX საუკუნეში ოსების ჩამოსახლება უფრო ფართო მასშტაბით გაგრძელდა. 1897 წლისათვის შიდა ქართლის სამ მაზრაში (გორი, დუშეთი, თიანეთი) 64531 ოსი სახლობდა. მათგან გორის მაზრაში – 49 852, დუშეთის – 14462, ხოლო თიანეთის მაზრაში – 227 ***[КК на 1907 год: 131-132]***. საქართველოს ტერიტორიაზე ოსების ჩამოსახლებას ხელს უწყობდა რუსეთის ხელისუფალნიც. ყველა ამ ფაქტორის შედეგად საქართველოში 1800-1989 წლებში ოსების რაოდენობა 5,6-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1989 წელს საქართველოში მცხოვრები 164,1 ათასი ოსიდან ავტონომიურ ოლქში სახლობდა მხოლოდ 65,2 ათასი, თითქმის 2,5-ჯერ ნაკლები. დანარჩენი ოსები ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. 472 ოსების ახალშენიდან 306 ცხინვალის რეგიონში იყო. შიდა ქართლის 7 რაიონის 753 სოფლიდან 115 ოსების ახალშენი იყო (ცხინვალის რეგიონის გარეშე), სადაც 27,7 ათასი ოსი ცხოვრობდა. მათგან გორის იყო ოსების 29 ახალშენი, ქარელის – 26, კასპის – 16, დუშეთის – 11, ხაშურის რაიონში – 10 ახალშენი. ყაზბეგის რაიონში 46 სოფლიდან 22 სოფელი ოსების ახალშენია. ბორჯომის რაიონში, რომელიც 1991 წლიდან სამცხე-ჯავახეთის მხარეში

შედის, ოსების 11 ახალშენი ითვლებოდა, ხოლო თეთრიწყაროს რაიონში– 10. კახეთის მხარის 8 რაიონიდან ოსები ცხოვრობდნენ 6 რაიონში. ამ 6 რაიონის 240 სოფლიდან 28 ოსების ახალშენია, სადაც 12,4 ათასი ოსი ცხოვრობდა. ამ 28 ოსური ახალშენიდან 12 იყო ახმეტის რაიონში, ხოლო ამდენივე ლაგოდეხის რაიონში. დასავლეთ საქართველოში ოსების 2 ახალშენი იყო ონის რაიონში (სოფლები გადამში და ჭვებარი), რომლებშიც 188 ოსი სახლობდა *[სდპმ, 1991:213]*.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოსების პოლიტიკოსები შიდა ქართლის ოსი ეროვნების ახალშენების ბაზაზე ცალკე, დამოუკიდებელი სამაზრო ადმინისტრაციის შექმნას მოითხოვდნენ. 1917 წლის დეკემბერში ცხინვალში გაიმართა ოსების წარმომადგენლობითი ყრილობა, რომელმაც აირჩია „სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭო. ყრილობაზე ერთხელ კიდევ გახმოვანდა შიდა ქართლში ოსებისათვის განსაკუთრებული სამაზრო მმართველობის შემოღების საკითხი *[თოიძე, 1993:13-16]*. პირველად 1918 წელს გაჩნდა ტერმინი „სამხრეთი ოსეთი" და სეპარატისტული მოძრაობაც ახალ სტადიაში შევიდა. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭო არ ცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1918-1920 წლებში, ბოლშევიკების წაქეზებითა და დახმარებით, სამჯერ მოაწყვეს აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც ქართულმა გვარდიამ ჩააქრო.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ 1919 წლის იანვარში მიიღო გადაწყვეტილება სამაჩაბლოს ოსების ახალშენებისათვის საგანგებო სასამართლოების შემოღების შესახებ, მაგრამ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ არ დაამტკიცა. 1919-1920 წლების აჯანყების დროს ოსები მოითხოვდნენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან შეერთებას. „სამხრეთ ოსეთის" რევკომმა 1921

წლის სექტემბერში მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ საბ-ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამ იდეის ავტორები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, თითქოს „სამხრეთ ოსეთი“ გეოგრაფიულად ერთიანი და განუყოფელია. ადმინისტ-რაციულ-ტერიტორიული მოწყობის გეგმაში ქართული სოფლე-ბიც მოაქციეს. სეპარატისტებმა შეიმუშავეს „სამხრეთ-ოსეთის“ რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, დედაქალაქად ცხინვა-ლი გამოაცხადეს. კონსტიტუციის პროექტის მიხედვით „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ფედერაციის საწყისით შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში ***[თოიძე, 1991:30, 50, 63].***

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „სამხრეთ ოსე-თის“ სეპარატისტულ მოძრაობას ოფიციალურად თუ არაოფიცია-ლურად მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელ-მძღვანელობა. არასწორია და, შეიძლება ითქვას, გამაოგნებელია. ი.ბ. სტალინის შეხედულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართ ი.ბ. სტალინი 1921 წელს სტატიაში „პარტიის მორიგი ამოცანები ნაციონალურ საკითხში“ წერდა: საქართველო ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს. თითქოს საქართ-ველო სომხეთისა და თურქეთის ხარჯზე ცდილობდა თავისი ტერიტორიის გაფართოებას ***[ი.ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ.5, გვ. 19].*** რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე ოსების წისქვილზე წყალს ასხამდა. ამის შედეგად საქართველოს ცენტრალურმა აღმას-რულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის 20 აპრილს მიიღეს N2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტო-ნომიური ოლქის მოწყობის შესახებ“. დეკრეტით განისაზღვრა ავტონომიური ოლქის ტერიტორია, რომელშიც 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი მოაქციეს, სადაც 20 ათასამდე ქართველი და

11 ათასი ოსი ითვლებოდა. ქ. ცხინვალში, რომელიც „სამხრეთ ოსეთის“ დედაქალაქად გამოცხადდა, არცერთი ოსი არ სახლობდა ***[თოიძე, 1991:90].***

ქართველი ბოლშევიკების ასეთი დამთმობი და შემრიგებელი პოლიტიკის მიუხედავად ოს მოსახლეობაში სეპარატიზმი კვლავ მძლავრობდა. 1925 წლის მარტში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საბჭოების V ყრილობა მიესალმა ჩრდილოეთ ოსეთის წინადადებას გაერთიანებისა და საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, მაგრამ ამ სურვილმაც წინააღმდეგობას წააწყდა და აღარ განხორციელდა. ქართველი ხალხი ყოველთვის ითვალისწინებდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს. ამას ისიც მოწმობს, რომ „სამხრეთ ოსეთში“ 1926 წელს 87747 მაცხოვრებელი ითვლებოდა. მათგან ოსი – 60351, ხოლო ქართველი –23538 ადამიანი ***[ჯაოშვილი, 1984:126; თოიძე, 1991:105].*** ამ მცირერიცხოვან არაქართველ მოსახლეობას ადმინისტრაციული ოლქის ფარგლებში გამოეყო 3,8 ათასი კვ კმ ტერიტორია, გადაეცა ქართველებით დასახლებული სოფლები. ოსების მცირერიცხოვნობის მიუხედავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაიხსნა პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ოსური თეატრი, სახელმწიფო გამომცემლობა, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საქართველოში ოსების უმეტესობა ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ სახლობს, მაგრამ მათგან სეპარატისტული გამოსვლები ნაკლებად შეიმჩნეოდა. სეპარატიზმს აშკარად გამოხატავდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის მცირე ჯგუფი. ამიტომ საქართველოს ბოლშევიკი ხელმძღვანელების დიდ შეცდომად მიგვაჩნია საქართველოში მცხოვრები ოსებისათვის ავტონომიური ოლქის შექმნა და კიდევ მეტი–ქართველებით დასახლებული სოფლების ამ ოლქში

მოქცევა. ეს არის ქართველი ხალხის დიდი ტკივილი, რომელიც დღემდე გრძელდება.

ახმეტის რაიონში ჩეჩნების (ქისტების) ახალშენი იყო პანკისის ხეობაში. მაგალითად სოფელ დუისის 2772 მოსახლიდან 74% ჩეჩნები იყვნენ. საქართველოში დაღესტანელების ახალშენები არ ყოფილა. მხოლოდ ყვარელის რაიონის ორ საზიარო სოფელში 3610 ავარიელი ცხოვრობდა (სოფელ ჭიკაანში – 3525 მაცხოვრებლიდან 1058 ადამიანი – 30% ხოლო სოფელ ბალიჯიანის 727 მაცხოვრებელი ავარიელი იყო *[სდპმ, 1991:112].*

საქართველოში ბერძენთა კოლონიები ჩვენს ერამდე არსებობდა, ძირითადად შავი ზღვის სანაპიროებზე, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში მოიშალა. საქართველოში ბერძენთა ახალშენების დაარსება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. 1763 წელს ერეკლე მეორემ გიუმიშხანიდან (თურქეთი) ჩამოიყვანა 800 კომლამდე ბერძენი და ახტალას მიდამოებში ჩაასახლა სამთამადნო წარმოების განვითარების მიზნით. ადგილი ჰქონდა ბერძნების სტიქიურ მოძრაობასაც. მაგალითად, 1813 წელს საქართველოში თურქეთიდან ჩამოსახლდა 120 კომლი ბერძენი და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში დასახლდა. 1830 წელს თრიალეთში დასახლდა 7 ათასამდე ბერძენი, რომლებმაც ქართველების ნასახლარებზე 18 ახალშენი შექმნეს. XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ბერძენთა სტიქიური ჩამოსახლება გრძელდებოდა. მათ დაიკავეს ქართველებისაგან დაცარიელებული სოფლები შიდა ქართლში და საქართველოს სხვა რეგიონებში *[ჯაოშვილი, 1984:112, 233].*

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბერძენთა ახალშენები ბორჩალოს მაზრაში, აფხაზეთსა და აჭარაში. 1897 წელს საქართველოში მცხოვრები 38,5 ათასი ბერძენიდან ბორჩალოს მაზრაში სახლობდა 21,4 ათასი (55%). აფხაზეთში – 5393, აჭარაში – 4650 სული, გორის მაზრაში – 912, მეს-

ხეთ-ჯავახეთში – 224 სული და ა.შ. [**КК 1907 год: 130-132**]. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში აჭარაში ბერძნებმა სამი ახალშენი შექმნეს (კვირიკე, დაგვა, აჭყვა), სადაც 1889 წელს 103 კომლი (524 სული) ცხოვრობდა. ბერძნები, სომხებთან და ქართველებთან ერთად, ცხოვრობდნენ ახალშენში და სხვა სოფლებში ***[აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 97-98].***

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში ბერძენთა მასობრივი ჩამოსახლება აღარ ყოფილა. მათი რაოდენობრივი ზრდა მიმდინარეობდა ბუნებრივი მატების გზით. ამის შედეგად 1926-1989 წლებში ბერძენთა რიცხოვნობა თითქმის ორჯერ გაიზარდა (54,1 ათასიდან 100,3 ათასამდე). ცვლილებები აღინიშნა ბერძენთა განსახლების გეოგრაფიაშიც. მართალია, მათი ძირითადი საცხოვრისი ქვემო ქართლი დარჩა, სადაც 1989 წელს სახლობდნენ საქართველოში მცხოვრები ბერძნების ნახევარზე მეტი (51018). ბერძნების ძირითადი განსახლების ტერიტორია იყო წალკის რაიონი, სადაც 27127 ბერძენი ცხოვრობდა. შემდეგ აღსანიშნავია თეთრიწყარო (8413), დმანისი (3174), ბოლნისი (2343). ქვემო ქართლში მრავალეროვნულ სოფლებთან ერთად არსებობდა მხოლოდ ბერძნებით დასახლებული ახალშენები. 1989 წლისათვის ბერძნების 38 ახალშენიდან, წალკის რაიონში–21, თეთრიწყაროს–7, დმანისის–6, მარნეულის რაიონში –3. ბერძნების ერთი ახალშენი (ციხისჯვარი) არსებობდა ბორჯომის რაიონშიც ***[სდპმ, 1991:162-165, 251-253].***

საქართველოში ბერძენთა განსახლების მეორე რეგიონი იყო აფხაზეთი, სადაც 1959 წელს 12242, ხოლო 1989 წელს – 22019 ბერძენი სახლობდა. მათგან სოხუმში იყო შესაბამისი წლების მიხედვით 3141 და 7355 ბერძენი ***[სმეშ, 1991: 6,7].*** აფხაზეთში ბერძნები ძირითადად სოფლად ცხოვრობდნენ. აღსანიშნავია გულრიფშის რაიონი, სადაც 13876 ბერძენი ითვლებოდა ***[სმეშ,***

*1991:30-31].* ბერძნები ცხოვრობდნენ როგორც ქართველებთან ერთად, ისე ბერძნულ ახალშენებში *[სდპმ, 1991:29-41].*

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დროს ასევე საგრძნობი ცვლილებები მოხდა ბერძენი ეროვნების რაოდენობრივ შემადგენლობაში. 1897-1959 წლებში აჭარაში ბერძენთა რიცხოვნობა 1,6-ჯერ და მეტად (4650-დან 7959 სულამდე გაიზარდა. 1989 წლისათვის აჭარაში 10143 ბერძენი სახლობდა. მათგან ქ. ბათუმში – 2747), რაც რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინანდელ მაჩვენებლებს **/КК на 1907 год: 97, ასმა,** *სდპმ, 1991:8-9].* მართალია, 1897 წლის შემდეგ აჭარაში ბერძენთა ახალშენები აღარ შექმნილა, მაგრამ ბუნებრივი მატების შედეგად გაიზარდა ბერძენი მოსახლეობის რაოდენობა. მაგალითად, 1917 წელს კინტრიშის უბნის სოფელ დაგვაში ბერძენები 117, ხოლო კვირიკეში– 75 კომლამდე გაიზარდა *[ასმა, ს. 216].* 1989 წელს სოფელ დაგვაში ბერძნები, ქართველებთან ერთად, 4196 სულს, კვირიკეში – 3462, ხოლო ქვედა აჭყვაში–1586 სულს შეადგენდნენ *[სდპმ, 1991:47-48].*

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბერძნები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში–-–საბერძნეთში ბრუნდებიან. ამ მიგრაციის შედეგად საქართველოში 2002 წლისათვის ბერძნების რიცხოვნობა 6-ჯერ და მეტად – 100,3 ათასიდან 15,2 ათასამდე შემცირდა *[სმპეამ, ტ. 2, 2003:110].* ბერძნებისაგან განთავისუფლებულ სოფლებში ქართველების ჩასახლება დაიწყო, რაც ეროვნული და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით დადებით შეფასებას იმსახურებს. მაგრამ ეროვნული ხელისუფლება ნაკლებ ყურადღებას იჩენს ახალმოსახლე ქართველების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი.

საქართველოში რუსებისა და გერმანელების ახალშენების შექმნა ცარიზმის ბატონობის დამყარებისთანავე იწყება. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ციციანოვის მმართველობის დროს

გადაიდგა და ფართო მასშტაბით გაგრძელდა მომდევნო პერიოდში. რუსების პირველი ახალშენი სამეგრელოში შეიქმნა მდინარე ენგურის მახლობლად, სადაც დონელი კაზაკები ჩამოასახლეს. ამავე დროს იმერეთში ჩამოასახლეს ჩეხი სექტანტები. 1806 წელს კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში ჩამოასახლეს 2000-ზე მეტი რუსი მოახალშენე *[მანჯგალაძე, 1974:5].*

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით კავკასიის კოლონიზაციის პროგრამა შეიმუშავეს და სათანადო კომისიაც შეიქმნა. ამ პროგრამით საქართველოში იქმნებოდა რუსული ახალშენები. პროგრამა ითვალისწინებდა რუსი მოახალშენეებისათვის სახელმწიფო მხრიდან ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას. 30-იან წლებში საქართველოში ჩამოასახლეს თადარიგში მყოფი სამხედრო პირები და მათგან შეიქმნა სამხედრო ახალშენები. 1856 წლისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 21 ახალშენი ითვლებოდა, სადაც 1133 კომლი (6000 სული) სახლობდა. გარდა ამისა, საქართველოში ჩამოასახლეს გლეხური მოსახლეობა და მათგან შეიქმნა რუსული სამიწათმოქმედო ახალშენები. რუსეთის ხელისუფლება მეტროპოლიაში საშიშროებას ხედავდა რასკოლნიკების (სექტანტები) სახით. ისინი იყვნენ მორწმუნეები, რომლებიც განუდგნენ მართლმადიდებლობას და მათგან განსხვავებული რელიგიური წესები დ რიტუალები ირწმუნეს. რასკოლნიკები (დუხობორები, მალაკნები, სკოპები, სუბოტნიკები) იძულებით ჩამოასახლეს საქართველოში.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორია რუსეთის მფლობელობაში მოექცა, რუსეთის ხელისუფლება მაშინვე შეუდგა საქართველოს ამ ნაწილის კოლონიზაციას. მიწით შედარებით მდიდარი იყო ყარსის ოლქის არტაანის ოკრუგი. აქ XIX საუკუნის 80-იან წლებში 5 რუსული ახალშენი შეიქმნა. 1365

მოახალშენე რუსებს 8558 დესეტინა გამოუყვეს. თითო კომლზე საშუალოდ 61,3 დესეტინა მოდიოდა. ამ ახალშენებს რუსული სახელწოდება ეწოდა: გიულგერანი, ოდინცოვსკი, პლოდოროდნენსკი, გოლიცინსკი, პეტროპავლოვსკი. აღნიშნული ახალშენები სახელმწიფო დაახლოებას წრმოადგენდა *[სცსსა, ფ. 12, ან. 3, ს. 147, ფურც. 229].*

მართალია, ბათუმის ოლქი მცირემიწიანობით გამოირჩეოდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ აჭარაში შეარჩია 2440 დესეტინა. ეს იყო კინტრიშის საპოლიციო უბნის სოფელი ფიჭვნარი, სადაც 1881 წელს პირველი რუსული ახალშენი შეიქმნა, რომელსაც სმეკალოვკა ეწოდა. ახალშენში 114 გლეხი დაასახლეს, თითო ოჯახზე 14 დესეტინა სავარგული მოდიოდა. ამასთან, გამოუყვეს საერთო საძოვრები და ტყის მასივი. მოახალშენეებს საჩუქრად ფულიც გადაეცათ. რუსი გლეხები ვერ შეეგუენ ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და ნაწილი რუსეთში დაბრუნდა. ამის შედეგად, სმეკალოვკაში 1897 წლისათვის 49 კომლიღა დარჩა. მომდევნო წლებში ახალშენს რუსი გლეხების ახალი ნაკადი მოაწყდა და 1917 წელს სმეკალოვკაში 234 კომლი (1031 სული) მოახალშენე ითვლებოდა *[ასმა, ს. 172, ფურც. 12-15, 186; ს. 216, ფურც. 72].* აჭარაში მეორე რუსული ახალშენი 1892 წელს შეიქმნა ბათუმის შემოგარენში (ბარცხანა), რომელსაც „ხოლოდნაია სლობოდა“ ეწოდა. აქ დასახლებულ რუს მოახალშენეებს მუჰაჯირებისა და სახაზინო მიწები *გამოუყვეს [თურმანიძე, 2009:88].*

რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიზაცია დაჩქარდა XX საუკუნის დასაწყისიდან და გაგრძელდა 1917 წლამდე. ჯერ კიდევ 1899 წელს კავკასიის მთავარმართებლის ადმინისტრაციასთან შეიქმნა საგადასახლებლო სამმართველო, რომელსაც დაევალა მხარის კოლონიზაციისათვის ახალი მიწების გამოძებნა. რუსული ახალშენების შექმნისათვის ხუთწლიანი პროგრამაც შეი-

მუშავეს (1908-1912). საქართველოში ახალშენები იქმნებოდა სოხუმის, არტაანისა და ბათუმის ოკრუგებში. ამისათვის აფხაზეთში 31 ათასი დესეტინა სავარგული შეარჩიეს, სადაც 38 რუსული დასახელება შეიქმნა. 1913 წლის ბოლოს აფხაზეთში 11589 რუსი მოახალშენე სახლობდა (უკრაინელებთან დ ბელორუსებთან ერთად), რაც 1897 წლის მაჩვენებელს 1,9-ჯერ და მეტად აღემატებოდა *[КК на 1907 год: 124-125; КК 1915 на год: 242]*. აჭარაში რუსული ახალი დასახლების შექმნისათვის გამოიყო 580 დესეტინა, რომელსაც ალექსეევკა ეწოდა. იგი მდებარეობდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ზღვის შესართავთან. ფაქტობრივად, ახალშენი ალექსეევკა მოიცავდა ახალისოფლისა და ერგენლის (დონგუზ- ადა) ტერიტორიას. 1917 წელს ალექსეევკაში 46 კომლი (117 სული) სახლობდა. ამავე ხანაში კინტრიშის საპოლიციო უბნის ქობულეთის სასოფლო ოკრუგში ახალი რუსული დასახლება მოეწყო, რომელსაც კომაროვკა ეწოდა (ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორის გენერალ კ. კომაროვის პატივსაცემად). იგი შედარებით მოზრდილი ახალშენი იყო, სადც 1917 წელს 106 კომლი (362 სული) ცხოვრობდა. 1912 წელს ქობულეთის სასოფლო ოკრუგში შეიქმნა კიდევ ერთი რუსული ახალშენი რომანოვკა, სადაც 72 რუსი დასახლდა. ეს სახელი ეწოდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის რომანოვსკი-რომანკოს პატივსაცემად *[თურმანიძე, 2009: 92-93]*. ფაქტობრივად, უცხოელების დასახლებას წარმოადგენდა სოფელი მახინჯაური მწვანე კონცხთან ერთად, სადაც 1917 წელს 146 კომლიდან (741 სული) 85 უცხოელები იყვნენ *[ასმა, ს. 216, ფურც. 13-14]*.

პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს რუსების მასობრივი ჩამოსახლება აღარ ყოფილა. რუსების ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე მასობრივი იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს. იგი დაკავშირე-

ბულია ინდუსტრიისა და სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობასთან. საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავდა მრავალეროვნული ინდუსტრიული კადრების შექმნას. ამ მიზანში მოიაზრებოდა რუსიფიკაციის ფარული გეგმა. მართალია, რუსების 80-85% საქართველოს ქალაქებში სახლობდნენ, მათგან აღსანიშნავია თბილისი (124 825), სოხუმი (25739), რუსთავი (21267), ბათუმი (21 112), ქუთაისი (10273), ფოთი (10098), გაგრა (7333) და ა.შ., მაგრამ საქართველოს სოფლად 1989 წელს 18 რუსული ახალშენი არსებობდა. მათგან ბოგდანოვის რაიონში იყო 6 რუსული ახალშენი: გორელოვკა, კალინინი, ეფრემოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, როდიონოვკა. მათ შორის მსხვილი დასახლება იყო გორელოვკა, სადაც 1594 სული ცხოვრობდა ***[სდპმ, 1991:117].***

საქართველოში იყო საზიარო სოფლები, სადაც რუსები ქართველებთან, სომხებთან და სხვა ეროვნებასთან ერთად ცხოვრობდნენ. ასეთი დასახლება იყო გარდაბნის რაიონის სოფელი ვაზიანი, სადაც 3340 სულიდან 54% რუსი ეროვნება იყო ***[სდპმ, 1991:128].*** აფხაზეთში 1989 წელს 6 რუსული ახალშენიდან 5 არსებობდა სოხუმის რაიონში, ხოლო ერთი გაგრის საქალაქო საბჭოს ზონაში (ხოლოდნაია რეჩკა). თითო რუსული ახალშენი არსებობდა ლანჩხუთის რაიონში – გრიგოლეთი, მცხეთის – კარსანი, ოზურგეთის – შეკვეთილი, საგარეჯოს – კრასნოგორსკი, სიღნაღის რაიონში – ულიანოვკა ***[სდპმ, 1991:14, 39, 185, 204, 217, 221].*** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსების ნაწილი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა.

გერმანელთა ახალშენები საქართველოში 1817-1919 წლებში შეიქმნა და 1941 წლამდე არსებობდნენ. მათი ჩამოსახლება გადაწყდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის გერმანიაში ყოფნის დროს. ნაპოლეონის მიერ გაჩაღებული ომების

შედეგად გერმანელი გლეხები გაღატაკებული და გაწამებული იყვნენ, ეძებდნენ ახალ სასიცოცხლო სივრცეს. საქართველოში მათ ჩამოსახლებას მხარს უჭერდა მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ გერმანელი მოახალშენეები ხელს შეუწყობდნენ აქაური მხარის ეკონომიკის განვითარებას და პოლიტიკურადაც სასარგებლო იქნებოდა.

გერმანელთა პირველი ჯგუფი საქართველოში ჩამოვიდა 1817 წელს და დასახლდა სართიჭალის მახლობლად (თბილისის შემოგარენი). ახალშენს მარიენფელდი შეარქვეს. 1818-1819 წლებში საქართველოში ჩამოვიდნენ გერმანელთა ახალი ჯგუფები, რომლებიც ჩაასახლეს თბილისის შემოგარენში სახაზინო მიწებზე. 1919 წლის ბოლოს საქართველოში ჩამოსახლებული იყო გერმანელთა 524 კომლი. თითოეულ კომლს გამოუყვეს 35 დესეტინა სავარგული. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში თითო გლეხის ოჯახზე 2-5 დესეტინა მოდიოდა. გერმანელებს გადაეცათ საერთო საძოვრები და ტყე.

გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება საქართველოში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, რის შედეგად მათი ახალი დასახლებანი შეიქმნა აბასთუმნის მახლობლად, ბორჩალოს მაზრაში (წალკა), აფხაზეთში. 1884 წლისათვის საქართველოში გერმანელთა 10 ახალშენი ითვლებოდა: მარიენფელდი, თბილისის კოლონია (პლეხანოვის გამზირი), ალექსანდერსდორფი, პეტერსდორფი, ელიზავეტალი, ეკატერინედორფი, ფრაიდენტალი, ალექსანდერსჰილფი, ნაიდორფი, გნადენბერგი (აფხაზეთი). საქართველოში 1885-1921 წლებში გერმანელთა 5 ახალშენი შეიქმნა: გეორფელდი, ალექსეევკა, აიგენფელდი, გრიუნფელდი, ტრიუნფელდი ***[მანჯგალაძე, 1974: 11-32].*** ამრიგად, საქართველოში 1921 წლისათვის გერმანელების 15 ახალშენი არსებობდა. მათ საკუთრებაში იყო 27690,5 დესეტინაზე მეტი სავარგული.

გერმანელები კარგი მეურნეები იყვნენ. მათი საოჯახო მეურნეობა მართლაც რომ სანიმუშო იყო. ისინი მაღალ დონეზე ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, მებაღეობა-მევენახეობას, მებოსტნეობას. გერმანელებმა საქართველოში პირველად გაავრცელეს კარტოფილის კულტურა. ისინი ხელოსნობითაც გამოირჩეოდნენ, ფლობდნენ 36 ხელობას. მათ შორის აღსანიშნავია მექოთნე, კალატოზი, თერძი, ფეიქარი, ზეინკალი, მჭედელი, ხარატი, მეჩექმე, საპნის მწარმოებელი დ სხვა. გერმანელმა მოახალშენეებმა საქართველოში სკოლებიც გახსნეს, სადაც სწავლება გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გერმანელებზე კონტროლი გაძლიერდა. რამდენადაც გერმანიის სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედებოდათ ბრალი. ამასთან დაკავშირებით გერმანელთა ახალშენებს სახელწოდებებიც შეუცვალეს. მაგალითად, ახალშენ ალექსანდერსდორფს ეწოდა ალექსანდროვსკოე, მარიენფელდს–მარინო, ფრაიდენტალს– ვესიოლოე, ეკატენინფელდს–ეკატერინოვკა, ალექსანდესჰილდს– ალექსანდროვკა, გრადენბურგს–დუბოვსკოე, პეტერსდორფს-პეტრევსკოე და ა.შ. 1926 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 12874 გერმანელი სახლობდა. მათგან 228 გერმანელი აჭარაში ცხოვრობდა. გერმანელების უმრავლესობა ახალშენებში ცხოვრობდნენ. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების წინ საქართველოში სახლობდა 5226 გერმანელთა ოჯახი (19186 სული). 1941 წელს საქართველოში მცხოვრები გერმანელები ყაზახეთში გაასახლეს და მათ ახალშენებიც ისტორიის კუთვნილება გახდა *[სშსსა, ფ. 31, ან. 1, ს 80, ფურც. 244; Отлен, 1998:20]*.

საქართველოში ქურთების და ჰემშილების ახალშენები ძირითადად XVII - XVIII საუკუნეებში იქმნება. ჰემშილები გამუსლიმანებული და გათურქებული სომხებია. ქურთების ისტორიული

სამშობლოა ქურთისტანი, რომლის ტერიტორია 408 ათას კვ კმ-ს შეადგენს. აგრესორმა სახელმწიფოებმა ქურთისტანი დაიპყრეს და თავიანთ პროვინციად აქციეს. ქურთისტანი ირანის, ოსმალეთის, ერაყისა და სირიის შემადგენლობაში აღმოჩნდა *[მენთეშაშვილი, 1988:7-8]*.

საქართველოში ქურთები ცხოვრობდნენ სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში. მცირე ნაწილი კახეთში. საქართველოში მცხოვრები ქურთები სარწმუნოების მიხედვით იყვნენ მუსლიმანი სუნიტები, ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, ზაფხულობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთებში მიდიოდნენ, შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულს– დაბლობ ადგილებში ატარებდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა, როგორც ქურთისტანში, ისე საქართველოში მესაქონლეობა იყო. უპირატესად ჰყავდათ წვრილფეხა რქიანი საქონელი (ცხვარი). საქართველოში 1897 წლის აღწერით 20415 ქურთი ცხოვრობდა. მათგან სამცხე-ჯავახეთში–2206. ბათუმის ოლქში–1811, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში – 16070, თბილისის გუბერნიაში - 328 ქურთი *[КК на 1907 год: 95-97, 112, 114, 116,126, 128, 129-130]*.

პირველი მსოფლიო ომის წინ (1913 წლის ბოლოს) საქართველოში ქურთების რიცხოვნობა 65909-მდე (3,8-ჯერ) გაიზარდა. რაოდენობრივი ზრდა ძირითადად მოხდა არტაანისა და ოლთისის ოკრუგების ხარჯზე, სადაც მათი რიცხოვნობა 50881 სულს ითვლიდა (74%). ამ რეგიონში ქურთები გადმოსახლდნენ ყარსის ოლქის სხვა ოკრუგებიდან, ოსმალეთის სახელმწიფოდანაც. ასეთი მიგრაცია განპირობებული იყო მომთაბარე ცხოვრებით, პირუტყვის უკეთესი საძოვრების ძიებით. არტაანის ოკრუგი კი შედარებით მდიდარია მდელოებითა და საბალახოებით. ოლთისის ოკრუგში ქურთების რიცხოვნობა 3505-დან 26946 სულამდე

(7,7-ჯერ) გაიზარდა, აღნიშნულ ოკრუგში ცხოვრობდნენ საქართველოში მცხოვრები ქურთების 40% *[КК на 1915 год:224, 244, 248].*

ბათუმის ოლქში ქურთები ძირითადად ცხოვრობდნენ კინტრიშისა და გონიოს საპოლიციო უბნებში, თანამედროვე ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. 1913 წლისათვის ბათუმის ოლქში 2719 ქურთი აღირიცხა (2688 სული–ბათუმის ოკრუგში, ხოლო 31–ართვინის ოკრუგში). 1889 წლის ცნობით ქურთების ახალშენები იყო ჩაქვისთავში (34 კომლი, 145 სული), კახაბერში (110 კომლი, 687 სული), გონიოში (62 კომლი, 234 სული). სპონტანურად სხვა სოფლებშიც ცხოვრობდნენ. ჰემშილების ახალშენები არსებობდა გონიოში (25 კომლი, 108 სული), მაკრიალში (56 კომლი, 200 სული). მთლიანობაში ბათუმის ოლქში ითვლებოდა ჰემშილების 81 ოჯახი 308 სულადობით *[КК на 1915 год:224; აცსა, ფ.ი. 81, ან. 1, ს. 25, ფურც. 98, 103].*

პირველი მსოფლიო ომისა და გასაბჭოების შედეგად შეიცვალა საქართველოს ტერიტორია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ თურქეთმა მიიტაცა. ცხადია, ქურთების და ჰემშილების უმეტესობა თურქეთის სახელმწიფოს ახალ საზღვრებში მოექცა. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში ქურთები ძირითადად ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში დარჩნენ. 1926 წლის აღწერით საქართველოში 10924 ქურთი ითვლებოდა (7955 მუსლიმანი და 2969 იეზიდი). ისინი განსახლებული იყვნენ თბილისის მაზრასა და ქ. თბილისში, სამცხე - ჯავახეთსა და აჭარაში. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში 4071 ქურთი ითვლებოდა, ახალქალაქის მაზრაში – 973 ხოლო ახალციხის მაზრაში - 3098 *[აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 56, ფურც. 11; ს. 58, ფურც. 1-12].* ახალქალაქის მაზრის 118 სოფლიდან ქურთების ახალშენი იყო 12 დასახლება. ახალციხის მაზრის 205 სოფლიდან ქურთები ცხოვ-

რობდნენ 47 სოფელში. მათგან ქურთების ახალშენი იყო 27 დასახლება *[აცსა, ფ. რ-178, ან.1, ს.58, ფურც.3-12]*.

აჭარაში 1926 წლის ცნობით ქურთები ცხოვრობდნენ 25 სოფელში (ბათუმის რაიონის 15 და ქობულეთის რაიონის 10 სოფელი). მათი საერთო რიცხოვნობა 3185 სულს შეადგენდა (ბათუმის რაიონში – 2524 და ქობულეთის რაიონში–661 სული). თავისებურება იმაში გამოიხატა, რომ ქურთების რიცხოვნობა გაიზარდა გონიოს, კახაბრის ახალშენებში და, ამასთან, შეიქმნა ქურთების ახალი დასახლებანი თხილნარში (56 სული), ჭარნალში (61), ახალსოფელში (47), ხელვაჩაურში (216), იჯადიეში (19), ორთაბათუმში (71) ყარადერეში (82), გელაურში (158), ნაინგლისევში–94), აჭყვაში (37), ბობოყვათში (26), დიდჯამეში (32), დაგვაში (14), ბუკნარზე (84), ციხისძირში (80) და სხვა სოფლებში. ჰემშილები ცხოვრობდნენ სარფში, ჭარნალში, გონიოში, ხალაში და სხვა სოფლებში, სულ 595 ადამიანი. გონიოს დასახლებაში ჰემშილების რაოდენობა ერთნახევარჯერ 174 სულამდე გაიზარდა *[აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 58, ფურც. 150-155]*. რელიგიური რწმენის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ქურთები იყვნენ როგორც მუსლიმები, ისე იეზიდები. 1913 წელს იეზიდი იყო 25582 ქურთი, საერთო რაიოდენობის 40%. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობდა ოლთისის ოკრუგში (21767 ადამიანი) და შედარებით მცირე (3815) ქ. თბილისში, 49 იეზიდი ახალქალაქის მაზრაშიც ცხოვრობდა. თითო-ოროლა ქურთი ქრისტიანი რწმენისა იყო *[КК на 1915 год; 224, 244, 248]*.

1944 წელს ქურთები და ჰემშილები საქართველოდან ყაზახეთში გაასახლეს. მოტივაცია ის იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ ადამიანების სახით საშიშროებას მოიაზრებდა. კერძოდ, მათ ჯაშუშობას აბრალებდნენ თურქეთის სასარგებლოდ. ძნელია იმის თქმა, რამდენად სამართლიანია ეს ბრალდება. მაგრამ 1944

წელს სწორედ ამ ბრალდებით საქართველოდან ყაზახეთსა და შუა აზიაში გაასახლეს ქურთების 1830 და ჰემშილების 304 ოჯახი (სულ 2134 ოჯახი). უმრავლესობა აჭარიდან იყო – 792 ოჯახი ქურთი და 304 ოჯახი ჰემშილი *[სშსსა, ფურც. 31, ს. 80, ფურც. 247-248].*

XX საუკუნის 50-იანი წლებში საქართველოში ქურთების ნაწილი, ძირითადად, იეზიდები, შემოდიან საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებიდან. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ დროს რელიგიური კონფესიების მიხედვით მოსახლეობის აღწერა არ ხდებოდა. 2002 წლის მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ქურთები წარმოდგენილი არიან ორი ეროვნების - საკუთრივ ქურთებისა და იეზიდების სახით. მათგან საკუთრივ ქურთი (მუსლიმი) იყო 2514 ადამიანი, ხოლო იეზიდი - 18329 (მთლიანად 20843 სული). ამ დროისათვის საქართველოში ქურთების ახალშენები აღარ არსებობდა. ისინი ძირითადად ქალაქად (თბილისში) ცხოვრობდნენ *[სმპეაშ, 2003: 110-116].*

ამრიგად, საქართველოს მრავალეროვნულობა და უცხოელების ახალშენების არსებობა XXI საუკუნეში ჩვენი ქვეყნის რეალობაა. ამ რეალობას ვერსად გავექცევით. ამიტომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ამასთან, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიქმნას მაქსიმალური პირობები, რათა საქართველოში მცხოვრებმა არაქართველებმა შეისწავლონ ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა. ამით მათ შესაძლებლობა მიეცემათ სრულფასოვნად მონაწილეობდნენ საქართველოს

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. არაქართველების ქართულ ორგანიზმთან შერწყმისათვის აუცილებლობას წარმოადგენს უცხოელების ახალშენებში, სადაც ამის შესაძლებლობა იქნება, ქართველების ჩასახლება და მეგობრული თანაცხოვრების განვითარება. ამით მოგებული აღმოჩნდებიან როგორც ქართველები, ისე საქართველოში მცხოვრები არაქართველები.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


**სცსსა** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი (ფ.)12, ანაწერი (ან.) 3, საქმე (ს.) 147.

**სშსსა** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო არქივი, ფ. 31, ან. 1, ს. 80.

**აცსა** – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. ი-81, ან. 1, ს. 25.

**აცსა,** ფ. რ-178, ან. 1, საქმეები (სს) 56, 58.

**სმეშ, 1991:** – საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი.

**სდპმ, 1991:** – საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი.

**სმპეაშ, 2003:** – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის შედეგები, ტტ. I, II, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი.

**ასმა** – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, სს. 172, 216.

**სინ, 1973:** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**სინ, 1970:** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**ი. ბ. სტალინი,** თხზულებანი, ტ. 5.

**ჯაოშვილი, 1984:** – ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**თოიძე, 1991:** – ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**თურმანიძე, 2009:** – ო. თურმანიძე, საადგილ-მამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წწ.), ბათუმი.

**მანჯგალაძე, 1974:** – გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**მენთეშაშვილი, 1977:** – ა. მენთეშაშვილი, ქურთები და ქურთისტანი, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**მენთეშაშვილი, 1978:** – ა. მენთეშაშვილი, ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**გიულდენშტედტი, 1962:** – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გამომ. „მეცნიერება“, თბილისი.

**იმმაშ** – ინტერნეტის მასალა: მოსახლეობის 2014 და 2016 წლების აღწერის შედეგები.

**Отлен, 1998:** – Отлен С.В. Времена не выбирает. Тбилиси

**АКАК, 1863:** – Акты Кавказский археографиченской комиссий, т. I, Тифлис

**КК, на 1907 год** – Кавказский календарь на 1907 год. Тифлис.

**КК, на 1915 год** – Кавказский календарь на 1915 год. Тифлис.

**Otar Turmanidze**

## Foreigners' Settlements in Georgia

Summary

Colonization of Georgia by foreigners counts the centuries. But construction of new settlers starts from XVI and lasts till the XX century of 90s. As a result of long struggle against foreign invaders, Georgia has been abducted from the population.There were deserted villages and ruined dwellings. This territory was filled with Tatars, Armenians, Ossetians, Greeks, Kurds and other ethnic groups.

History of foreigners'settlements(colonies)in Georgia can conventionally bedivided into threeperiods. The first period includes centuries, the second one the period of Russian domination, the third - 1918-1990 years. In the XVI-XVIII centuries, Tatars, Ossetians, Armenians and Greeks' settlements(colonies) wereestablished. By 1897, 197 thousand Armenians, 101thousand Russians, 81,1 thousand Azerbaijanians, 38,5 thousand Armenians, 7,4 Germans and some other foreigners lived in Georgia.

The article reviews the quantitative-qualitative status of foreigners. Their settlement area was SamtskheJavakheti, Kvemo and ShidaKartli, Kakheti, Abkhazia and Adjara. Armenians' new lands were mainly in Samtskhe-Javakheti, KvemoKartli and Abkhazia, Ossetia -ShidaKartli, Azerbaijan-KvemoKartli and Kakheti, Kurds-Samtskhe-Javakheti and Adjara.

Following the rehabilitation of Georgia's independence (1991) the migration of foreigners started. In the result of this their number reduced. By 2002, the number of foreign settlers was 16% and 2% of the Georgian population. The article describes the total number of foreigners and the number of new settlers.

**თამარ მაჭუტაძე**
**მერაბ მეგრელიშვილი**

# საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრთა 1917 წლის წერილები
## (აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული მასალების მიხედვით)

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი 1917-1918 წლებით დათარიღებული წერილები, რომლებიც შედგენილია ფრანგულ და გერმანულ ენებზე. საყურადღებოა საქართველოს მუსლიმთა განმანთავისუფლებელი კომიტეტის 1918 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე და სულეიმან დიასამიძე, წერილებისადმი ინტერესს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ იგი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრთა 1917-1919 წლების წერილების შინაარსი მიანიშნებს ქართველ პატრიოტთა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მათ სულიერ სწრაფვაზე ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ქართველ კაცში იმდენად ძლიერი იყო რუსეთის დესპოტურ, საოკუპაციო რეჟიმთან შეურიგებლობის გრძნობა, რომ ზოგჯერ ქვეყნის განთავისუფლების ჟინით შეპყრობილი მამულიშვილნი, ნებსით თუ უნებლიედ უცხო ძალაზე ამყარებდნენ იმედს.

ფრანგულენოვანი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმანის გააზრებიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მართალია

ევროპის სახელმწიფოები დაკავებულნი იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხით, მაგრამ ზოგჯერ მათი და საქართველოს ინტერესები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რადგან საქართველოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ექსპანსიიდან განთავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის აპრილ მაისში საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი იდგა და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ევროპული სახელმწიფოები, რადგან მათ უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში.

1918 წლის 15 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის წევრები პეტრე სურგულაძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები წერილით მიმართავენ ევროპის ქვეყნებს, რომელშიც წუხილს გამოთქვამდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გამო და აღნიშნავენ, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი, რომელსაც რუსეთი და თურქეთი ინაწილებენ, ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

1918 წლის 11 აგვისტოს ბერლინიდან აკაკი ჩხენკელის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის ხელისუფლებასა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ორივე ქვეყანას ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა კავკასიის ფრონტზე საბრძოლველად ქართველი მოხალისეებისგან შექმნა რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ლეგიონი.

თურქეთი სიტყვით აღიარებდა საქართველოსადმი დახმარებას, მაგრამ სინამდვილეში ცდილობდა რუსეთ-თურქეთის 1877 წლამდე არსებული საზღვრების გადახედვას, რაც ქართველი პატრიოტების აღშფოთებას იწვევდა. საქართველოს დამოუკიდე-

ბელი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე აღნიშნავდა, რომ ქართველი მუსლიმი ინტელიგენცია სახალხო იდეალების ერთგული რჩება და განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის, ამ პერიოდში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ერთი ნაწილი განიცდიდა თურქული პანისლამისტური აგიტაციის გავლენას, მაგრამ რელიგიური ფანატიზმი არასოდეს მდგარა ზოგადად ქართველობაზე მაღლა **(ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 2, ფურც. 31).**

ამ პერიოდში რუსეთს არ ეცალა საქართველოსთვის, იგი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური სვლით იყო დაკავებული და დროებით დათმო საქართველო.

უახლესი ისტორიის მკვლევარი ე.ვ. არხიპოვა სტატიაში ,,ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში" მიანიშნებს, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ფიზიკური და ეკონომიკური სისუსტე ართმევდა მათ შესაძლებლობას რეალურად განეხორციელებინათ კავკასიაში თავიანთი ძალაუფლება" **(არხიპოვა, 2016: 216-224).**

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა თავისი ძალაუფლება აჭარაში. დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განებივრებული სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა ახალციხეზე, ახალქალაქსა და ბათუმზე. შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული იყო ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება

უახლესი ისტორიის მკვლევარი ა.ა. მანუხინი სტატიაში ,,რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები" აღნიშნავს: მოლოდინი იყო იმისა, რომ 1917 წელს დემოკრატიული რუსეთი გარდაიქმნებოდა ძალად, რომელიც წარმართავდა სამხედრო ქმედე-

ბებს **(მანუხინი, 2016: 163).** მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი მოლოდინად დარჩა და 1917 წლის 25 ოქტომბრის სამხედრო-რევოლუციური გადატრიალების შედეგად დემოკრატიული რუსეთი შეიცვალა დიქტატორულ რუსეთად.

ამ პერიოდში ევროპის სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ საუკეთესო პროექტს შეადგენდა რუსეთიდან გამოყოფა და კავკასიის შეერთებული შტატების შექმნა, რაც ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო სამწუხაროდ ვერ განხორციელდა. საქართველოს დღესაც გააჩნია ისტორიული შანსი რეალურად განახორციელოს კავკასიური სახლის იდეა და ამით დაიცვას და გააძლიეროს მოპოვებული დამოუკიდებლობა. საფრანგეთის პრეზიდენტს შარლ დე-გოლს მიაჩნდა, რომ ერი, რომელიც არ იბრძვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის, ის უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, მისი მოღვაწეობის პერიოდში საფრანგეთი ევროპის წამყვანი სახელმწიფო გახდა.

ქართული ეროვნული მსოფლმხედველობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს ილია მართლის სიტყვები: ,,ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკეთ“.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება საქართველოს მუსლიმთა განმანთავისუფლებელი კომიტეტის 1918 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომელშიც საუბარია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პოლიტიკურ უფლებებზე. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებელი კომიტეტის წევრი ზია აბაშიძე შეხვდა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, მაგრამ განსაკუთრებული შედეგი ამას არ მოჰყოლია.

პროფესორი მალხაზ სიორიძე წიგნში: ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“ აღნიშნავს, რომ სამუსლიმანო საქართველოს მოწინავე მამულიშვილთა პოზიტიურმა დამოკი-

დებულებამ საერთო ქართული საქმისადმი დადებითი როლი შეასრულა, სხვადასხვა აღმსარებლობის თანამოძმეების მხარდამხარ ბრძოლას სამომავლოდაც ჰქონდა დიდი ეროვნული მნიშვნელობა, რადგან ხელს უწყობდა საერთო ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების თუ შეხედულებების ჩამოყალიბებას **(სიორიძე, 2007: 95).**

საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის წევრთა წერილებში გაანალიზებულია მეზობელი რუსეთის ,,დახმარების" ილუზიით იმედგაცრუებულ ქართველ მეფეთა მწარე გამოცდილება. წმ. ილია მართალი ბრძანებდა, რომ ერის გათახსირება, გაწყალება, აბუჩად აგდება იწყება მაშინ, როდესაც ის თავის ისტორიას ივიწყებს.

მემედ აბაშიძემ საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელის პეტრე სურგულაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა, იგი წერდა: ,,დღითი დღე მცირდება და ირღვევა სამშობლოს საუკეთესო შვილთა რიგები, გვაკლდება ეროვნული ნამდვილი ,,მე-ს" გამომხატველი და დამცველი ძალები, ვსუსტდებით, ვიცლებით ეროვნული შინაარსით, მორალით და სისხლით (წერილები სტამბოლის.., 2017:169).

ბოლოს, წარმოგიდგენთ ბულგარეთიდან ჩამოტანილი, აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული ფრანგულენოვანი დოკუმენტების ქართულ თარგმანს (თარგმნა თამარ მაჭუტაძემ).

**წერილი №1**

**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 1, ფურც.1**

„მის აღმატებულებას ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს სახელმწიფოს ჩახშობის შემდეგ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, მთელი რიგ ახალი მოვლენების შემდეგ, გახდა ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან რთული ქართველი ერისთვის, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული მისი არსებობაც კი.

წინა საუკუნის დასაწყისში, როცა ქართველები მოტყუებულნი აღმოჩნდნენ რუსების მიერ, რომლებიც ძალადობით, რატიფიცირებული ხელშეკრულების დარღვევით შემოიჭრნენ საქართველოში, რამდენჯერმე ამხედრდნენ რათა მოეცილებინათ ცრუმოწმეების ტირანია, მათ დაიწყეს დახმარებისა და მხარდაჭერის ძებნა მეზობელ სპარსეთსა და თურქეთში. სამეფო პრინცი ალექსანდრე, სათავეში ჩაუდგა რუსების წინააღმდეგ ბრძოლას და იმედი ჰქონდა სპარსეთის დახმარების. იმერეთის მეფე (დასავლეთ საქართველო) სოლომონ II დახმარება სთხოვა თურქეთს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრძოლა გაგრძელდა რამდენიმე წელი და დამარცხებით დასრულდა, მეფე გაიხიზნა თურქეთში, სადაც გარდაიცვალა.

სამწუხაროდ, უიმედო ბრძოლაში ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად და რუსების ბატონობის წინააღმდეგ საქართველომ ვერასოდეს მოიპოვა თავის მეზობლებთან ვერც საკმარისი დახმარება, ვერც თანადგომა და ვერც სახელმწიფო აღიარება, რაც აუცილებელია და აბსოლუტურად გარდაუვლად საჭირო რათა დამონებულმა ერმა შეძლოს ენერგიულად ბრძოლა უცხო ძალის წინააღმდეგ და მიიყვანოს ეს ბრძოლა საბოლოო ტრიუმფამდე.

ამგვარად, საქართველო ვეღარ დაეყრდნობოდა თავისი ძლიერი მეზობლების დახმარებასა და მხარდაჭერას, ის იძულებული იყო შეერთებოდა რევოლუციურ რუს ძალებს, რათა შებრძოლებოდა რუსეთის დესპოტურ რეჟიმს, რის შედეგადაც ისინი ნაკლებ საშიში უნდა ყოფილიყვნენ ქართველი ხალხისათვის და ამით შეენარჩუნებინათ ეროვნულობა. სწორედაც საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას ის უცნაური ფენომენი, რომ ყველა რუსულ რევოლუციურ პარტიაში ქართველები თამაშობდნენ ძალიან დიდ როლს და ემსხვერპლებოდნენ ხშირად უფრო მეტი სიმამაცითა და მონდომებით, ვიდრე რუსი რევოლუციონერები.

მაგრამ დღეს მივიჩნევთ, რომ მხედველობაში მისაღებია საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენმა მეზობლებმა უნდა შეიცვალონ თავიანთი მოსაზრება საქართველოს საკითხთან მიმართებაში აღიარონ ქართველი ერი, მათი დამოუკიდებლობის უფლება და დაეხმარონ ბრძოლაში რუსების ბატონობის წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთში, რუსეთ-თურქეთის ბრძოლაში პოლიტიკური შეხედულება ქართველი ერის მიმართ იყო უმნიშვნელოვანესად გასათვალისწინებელი.

მაგრამ საქართველოს მიმართ პოლიტიკური ორიენტაცია საბოლოოდ იქნება დასრულებული და განმსაზღვრელი მოკავშირე სახელმწიფოების ბულგარეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის დამოკიდებულებით საქართველოს მიმართ. ქართველი ერის რუსეთთან თანამშრომლობა განახლებისა და რეკონსტრუქციის იყო ძალდატანებითი. ქართველები, მიუხედავად განსხვავებული პარტიებისა და პროგრამებისა, საზრდოობენ დამოუკიდებლობის სულისკვეთებით. მაგრამ ამ სულისკვეთებას ახლავს ქართველების დაუოკებელი სურვილი იმისა, რომ ერი ჩაერთოს გადამწყვეტ ბრძოლაში ამ იდეალის განსახორციელებ-

ლად, ამისთვის კი საჭიროა, მათ ჰქონდეთ რწმენა, აბსოლუტური მხარდაჭერა და რეალური გარანტია იმ შემთხვევაში თუ ის იბრძოლებს ღიად რუსეთის წინააღმდეგ, მეზობელი თურქეთი და მოკავშირეები მას გაუწვდიან მეგობრულ ხელს და გაუმარტივებენ პოლიტიკურ ემანსიპაციას.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია:

1. ძლიერმა მოკავშირეებმა, ბულგარეთმა, გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა და თურქეთმა უმალვე უნდა აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიების საზღვრებით.
2. ქართველ ხალხს მისცეს გარანტია, რომ აღიარებს დროებით მთავრობას იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს მოუწევს წინააღმდეგობის გაწევა რუსეთზე და გამოცხადდება დროებითი მთავრობა.
3. გარანტია გაწიონ, იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი იქნება სამხედრო ჩართულობა, ძლიერი მოკავშირეების არმია შემოვიდეს საქართველოში, როგორც მოკავშირე სახელწმიფოს არმია, სადაც დაიცავენ ადამიანების უფლებებს და მათი ძალისხმევა აქეთკენ იქნება მიმართული;
4. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე და დროებითი მთავრობის გამოცხადებისთანავე ისინი საქართველოში გამოაგზავნიან მათ დიპლომატიურ და სამხედრო წარმომადგენლებს და პირიქით მიიღებენ საქართველოდან.

გერმანიის და თურქეთის უდიდესი დახმარება, ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის კეთილგანწყობა რომელიც გაგვაჩ-

ნია აქამდე, გვამხნევებს მუდმივად და გვამლევს საფუძველს, ვიმედოვნოთ რომ საქართველოს საკითხი აინტერესებთ ისევ, იმის გათვალისწინებით, რაც ხდება რუსეთში.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოკავშირე მთავრობები შეიმუშავებენ ერთიან მანიფესტს, რაც გამამხნევებელი იქნება ქართველი ერისთვის, აქტები გაიცვლება დიდ პარტიებს შორის, რაც მიიღებს საერთაშორისო ოფოციალური აქტის სახეს.

ამიტომაც გვაქვს პატივი, ვთხოვოთ ბულგარეთის მთავრობას რომ ინებოს აქტების გაცვლა ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის მთავრობასთნ და ჩვენ გაგვიზიაროს საბოლოო მოსაზრება საქართველოს საკითხ-თან დაკავშირებით.

წინამდებარე მემუარი გაეგზავნა გერმანიის, ავსტრია-უნგრე-თისა და თურქეთის მთავრობას.

საქართველოს ეროვნული კომიტეტი
პრეზიდენტი: პეტრე სურგულაძე
პრინცი გიორგი მაჩაბელი
წევრები: მიხეილ წერეთელი
გიორგი კერესელიძე
მდივანი: ალექსანდრე გოზალიშვილი“

## წერილი №2

**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 2, ფურც. 33**

„ბერლინი, 6 ივნისი, 1918 წელი
მის აღმატებულებას ბულგარეთის მინისტრს ბერლინში

ბატონო მინისტრო,

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა თბილისში და მთავრობა დაკომპლექტდა ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

რუსეთის საქართველოზე ერთ საუკუნიანი ბატონობის შემდეგ ქართველმა ხალხმა დაიკავა ადგილი სხვა დამოუკიდებელ ერებს შორის.

რუსეთთან ერთიანი პოლიტიკური შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიის სრული თავისუფლებისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად, საქართველო მალევე აღიდგენს მის მოპარულ უფლებებს, მის თავისუფლებას, რაც სრული ანექსიური რეჟიმით იყო წართმეული.

მაგრამ, ქართველ ერს არასოდეს უთქვამს უარი თავის უფლებებზე, არც თავის ათასწლოვან ტრადიციებზე, ელოდებოდა შესაბამის დროს რათა თავისი უფლებები და პოლიტიკური მოთხოვნები გაეცხადებინა.

იმ დროიდან, როცა რუსეთის მთავრობამ გაიყვანა კავკასიიდან ჯარი, და საქართველოს არაფერი აღარ აკავშირებდა რუსეთთან, სხვა სახელმწიფოს ვალდებულებებისაგან თავისუფალმა გამოაცხადა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ახლა მიზნად ისახავს თავისი საერთაშორისო ურთიერთობების მოგვარებას თავისი ინტერესების შესაბამისად და დამოუკიდებლობის შემდგომი განვითარებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით.

მთავრობის სახელით მაქვს პატივი, რომ ვთხოვო მის აღმატებულებას, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება ბულგარეთის მიერ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს.“

**წერილი №3**

**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 3, ფურც. 79**

„საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩხენკელი

საქართველოს მუსლიმთა
განმათავისუფლებელი კომიტეტი
3 აგვისტო, 1918 წელი

სერთიფიკატი

კომიტეტი, რომლის მიზანია ქართველი მუსლიმანების განთავისუფლება იმ საფუძვლით, რომ ხალხს მიენიჭება უფლებები, რითაც ისინი თავად გადაწყვეტენ თავიანთ პოლიტიკას, რომლითაც მხარს დაუჭერენ ხალხის უფლებებს და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით გააგზავნიან სპეციალურ მისიას ძლიერი მოკავშირეების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ბერლინში ან კონსტანტინეპოლში, რომელსაც სათავეში ეყოლება პრეზიდენტი ბეი აბაშიძე და კომიტეტის წევრი ყადირ ბეი შერვაშიძე და მათ მიეცემათ უფლება განცხადებების გაკეთებისა, დოკუმენტების წარდგენის, განთავისუფლებაში მონაწილეობის მიღების და ისე მოქმედების, რომლითაც შეასრულებენ თავიანთ მისიას, რაც ენიჭებათ და დადასტურებულია ხელმოწერითა და ბეჭდით.

ხელმოწერილია კომიტეტის პრეზიდენტის ჰაიდარ აბაშიძის მიერ

მდივანი ს. დიასამიძე

ორიგინალის ზუსტი თარგმანი

ხელმოწერები: ზია ბეი აბაშიძე
ყ.ბ. შერვაშიძე“

**წერილი N4**

**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 4, ფურც. 58**

„საქართველოს რესპუბლიკა
საგარეო საქმეთა სამინისტრო
№64 ბერლინი, 6 ივლისი, 1918

ბატონო მინისტრო,
ტელეგრამით შევიტყვე, რომ თურქეთის ძლიერი არმია, რომელიც შედგება 800 ადამიანისგან, ჩამოვიდა ივნისის ბოლოს სოხუმში ან ახლოს ამ ქალაქთან.

ოსმალეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის უხეში დარღვევის შემდეგ, რომელიც არის საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური ნაწილი, საქართველოს მთავრობა იწყებს ფორმალურ პროტესტს და მიმართავს ბულგარეთის სამეფოს მთავრობას

ამ სერიოზული ფაქტის შესახებ, რაც ასევე პირდაპირ კავშირშია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასთან.

ფორმულირება გავუკეთე რა წინამდებარეს მაქვს მტკიცე იმედი, რომ ბულგარეთის მთავრობა ჩაერევა ამ საქმეში, რათა თურქეთის ჯარმა უდავოდ დატოვოს აფხაზეთი.

გთხოვთ, ირწმუნოთ ბატონო მინისტრო ჩემი პატივისცემა.

ა. ჩხენკელი".

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**


**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 1** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-87, ანაწერი 2, საქმე №1.

**ასს ფ. ი-87 ან. 2, ს. 2** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-87, ანაწერი 2, საქმე №2.

**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 3** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-87, ანაწერი 2, საქმე №3.

**ასს, ფ. ი-87, ან. 2, ს. 4** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-87, ანაწერი 2, საქმე №4.

**არხიპოვა, 2016:** - ე.ვ. არხიპოვა, ,,ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში", ჟურნალი ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები" (რუსულ ენაზე), 2016, №3, მოსკოვი.

**მანუხინი, 2016:** - ა.ა. მანუხინი, ,,რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები", ჟურნალი ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები" (რუსულ ენაზე), 2016, №5, მოსკოვი.

**მალხაზ სიორიძე, 2007:** - მალხაზ სიორიძე ,,სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში", ბათუმი, 2007.

**წერილები სტამბოლის.., 2017:** - წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, ბათუმი, 2017.

**Tamar Matchutadze, Merab Megrelishvili**

# Letters of Members of the Georgian National Committee of Independence for 1917 (According to the Materials Protected by the State Archives of Adjara)

Summary

The article deals with the analysis of the diplomatic mission of the members of the Georgian National Committee of Independence, based on the French-language documents protected by the Archives. The research is also related to their correspondence with the representatives of the European states, aimed at achieving the independence of the country.

# დაპაუზებული ისტორია, ანუ ქმნა მართლისა სამართლისა...

## (ნაწილი მეორე)

გარდა ზემოთ უკვე მოხსენებული „სიკეთეებისა“, საქართველოს „ფიზიკური გადარჩენისა“, რასაც ასე გვამადლიან რუსები და ქართველი რუსეთუმეები, ქართულმა სინამდვილემ რუსეთის იმპერიაში ყოფნის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიიდან მემკვიდრეობად მიიღო **„ციციანოვობა“**, იმპერიის მიერ აღზრდილი სამშობლოზე შეორგულებული მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაუძინებელი მტრები; **„ვარლამიჩები“**, ვარლამ ერისთავის მსგავსად საქართველოს რუსეთის საწოლში ჩასაწვენად „მომკაზმავნი“; **„გარსევანიჩები“**, დღემდე შენიღბული და ქართული „საადვოკატო ხელოვნებით“ დაცული სამშობლოს ამომგდები მოღალატეები და მისგან გამომდინარე **„გირგოლაობა“**, როცა სხვათა დასანახად სამშობლოს ბედზე მოთქვამენ, საქმით კი სწორედ ამ სამშობლოს მტრებს ემსახურებიან და ამლიერებენ; **„პავლიკიანები“**, სულიერი მამები, რომლებიც საკუთარ სამწყსოს წყევლიან და შეაჩვენებენ, გასცემენ მას უკანასკნელი დასმენა-მაბეზღრობით; **„უვაროველები“** - ქართული საეკლესიო და საერო საგანძურის გადარჩენაზე „მზრუნველი“ რუსი მალადმაცხოვნეები და მათ სათავეში მდგომი **„მო-ცარ-ულები“** - ყველა რუსი იმპერატორი, რომლებიც არაფრად აგდებდნენ მათ მიერვე მიცემულ მეფურ სიტყვას და მათ საქმეთაებრ „მოიცარნენ“. მათმა ერთობლიობამ კი წარმოქმნა **მანდრაგორას აბიბინებული ველი**, რომლის აქტიური გამოყენება დღესაც ხდება საქართველოში

რუსეთუმეების მიერ თავიანთი **„ძროხების“** გამოსაკვებად, იმ იმედით, რომ საბოლოოდ თუ ვერ ჩაკლეს მათში ყოველივე ქართული, **რძეს ხომ მაინც გაუფუჭებენ...**

აღნიშნული პროცესი ერთხელ და სამუდამოდ რომ შეწყდეს, საჭიროა დიდი და ფართომასშტაბიანი სამუშაოს ჩატარება და ზოგჯერ ძალზედ მტკივნეული სიმართლის პირდაპირ თქმა...

ნაშრომში როდესაც ლაპარაკია საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერთა დევნაზე (ნაშრ., I ნაწილი, გვ. 409), ავტორი, სამწუხაროდ, რატომღაც აგრძელებს ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ეპისკოპოს ლეონიდეს ღვაწლის ხელოვნურად დამცრობის პოლიტიკას და მისი სახელის მოხსენიებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების მომენტისთვისაც კი თავს არიდებს (იქვე, გვ. 414), რაც მაგონებს საქართველოს უახლოეს წარსულში მომხდარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დღემდე ზოგიერთთა მიერ ზვიად გამსახურდიას ღვაწლის მიჩქმალვის მცდელობას. საქართველოში საშიშ ტენდენციად იქცა, რომ ქართული საქმის უანგარო მსახურებს თავზე უნდა გადავასვათ „დიდი პოლიტიკოსები“ და რუსეთის აპოლოგეტი „მეცნიერები“... აქვე ავტორი აღნიშნავს 1906 წლის აპრილში პეტერბურგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე შეკრებილ სინოდის სხდომაზე ეპისკოპოს კირიონის მოხსენებას - „რომელმა „ივერიამ“ მიიღო ავტოკეფალია XI საუკუნეში“, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ იმ „ივერიაში“, რომელმაც XI საუკუნეში ავტოკეფალია მიიღო, არა მთლიანად საქართველო, არამედ მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ე. წ. „ივერიის თემი“ იგულისხმებოდა“, და იქვე მკვლევარი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ „კირიონის ეს თეზისი სწორი არ იყო და მხოლოდ ჰიპოთეზად შეიძლება ჩათვლილიყო“ (იქვე).

ჩვენ თავს უფლებას მივცემთ ვიკითხოთ, ეპისკოპოს კირიონს, რომლის 1906 წელს პეტერბურგის დელეგაციაში დანიშვნას არცთუ დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ეპისკოპოსი ლეონიდე, საერთოდ რაში დასჭირდა, ან რატომ უნდა დაეყენებინა აღნიშნულ სხდომაზე ისეთი საკითხი, რომელიც საწინააღმდეგო პოზიციას უმაგრებდა ზურგს და არა იმას, რასაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრეები მოითხოვდნენ?!... მითუმეტეს, რომ **კირიონის ეს მოხსენება პირდაპირ ხელს უშლიდა ალ. ცაგარელის მიერ მეცნიერულ საფუძველზე დაყენებულ ივერიის უძველესი და აწ გაუქმებული საკათალიკოსოს აღდგენის მოთხოვნას.** რაც შეეხება ამ სხდომების შემდეგ მიღებულ 1906 წლის 23 აგვისტოს **„უმაღლეს ბრძანებულებას“,** ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი გამოცემით რუსმა „მოცარულებმა“ ხელიდან გაუშვეს თავიანთი ცოდვების (მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვების) მონანიების უკანასკნელი შანსი და სასტიკად დაისაჯნენ კიდეც... ამას კი ნაშრომში მოსდევს მელიტონ კელენჯერიძისეული სრულიად სამართლიანი დასკვნა, რომ „ქართული ეკლესიის საფუძვლები ვერც სპარსელებმა, ვერც ოსმალებმა ვერ შეარყიეს, და ეს მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთმა მოახერხა“... იგი იქვე აცხადებს: „რაღა უნდა ითქვას ამის შემდეგ იმ საცოდავ კაცუნებზე, რომლებიც უსინდისოდ და სიამაყით უცხადებენ ქართველებს - რუსი ხალხის რაღაც დიდ დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე?!“ (იქვე, გვ.422).

ნაშრომში სამართლიანად არის შეფასებული რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში იმპერიული ცენზურის პირობებში ქართველი პატრიოტების მიერ გაწეული უდიდესი მუშაობა და თავგანწირვა, მათი ღვაწლი ქართული სულიერების გადარჩენაში (ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვა).

აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი თანამდევი პროცესების თითქმის სრული შეუფასებლობა, ყურადღების გადატანა ისეთ თითქოსდა „საგარეო“ ფაქტორებზე, როგორიცაა „ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი“ და „აფხაზეთის ომი 1992-1993 წლებში“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი განხილვის შედეგად გამოტანილი დასკვნები სავსებით რეალურია, რასაც მოსდევს მათი შემოქმედი რუსეთის ქმედებათა ასევე მართებული შეფასებანი, რომ „2008 წლის აგვისტოს აგრესია, რომელშიც რუსეთი საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით ჩაერთო, რუსეთის მხრიდან აგრესიულ და დამპყრობლურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად რუს პოლიტიკოსთა შენიღბული ქმედებებისა, დღეს აშკარაა, რომ აღნიშნული კონფლიქტები არის არა მხოლოდ დაპირისპირება ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის, არამედ ეს არის რუსეთის იმპერიული ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისათვის. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება XXI საუკუნეშიც იგივე მეთოდებით იბრძვის და არანაირ ანგარიშს არ უწევს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს“ (დასახ. ნაშრ. ნაწ. II, გვ. 475).

მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ის ომი, რომელიც „რუსეთის მხრიდან აგრესიულ და დამპყრობლურ ხასიათს ატარებს“ და „არის რუსეთის იმპერიული ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისათვის“, ასეთივე სახელწოდებით დაგვეფიქსირებინა („რუსეთის ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისათვის“) და არა როგორც „ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი“ და „აფხაზეთის ომი 1992-1993 წლებში“; რაც ყველას საშუალებას მისცემდა განესაზღვრა, თუ რასთან გვაქვს საქმე და რომ აქ ეს ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტი და ომი, თავისი ფსევდო აქტიორებით, რომლებიც ფაქტობრივად რუსულმა იმპე-

რიულმა მანქანამ შექმნა და იყენებს მოძმე ხალხების ერთმანეთზე მისაქსევად, არაფერ შუაშია. სწორედ ამას აფიქსირებს სავსებით მართებულად ავტორიც, როდესაც მოვლენათა საფუძვლიანი ანალიზის კვალობაზე გაკეთებულ დასკვნაში წერს: „2008 წლის აგვისტოს რუსულმა აგრესიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს მტრულად განწყობილი კონფლიქტური რეგიონები, რომ არსებობს ერთი სტრატეგიული და ტაქტიკური მოწინააღმდეგე რუსეთის სახით“ (იქვე, გვ .476).

დიახ, ჩვენც სრულიად ვეთანხმებით მოცემული თავისა და პარაგრაფის ავტორს, რომ „ეს არის იმპერიული რუსეთის ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისათვის“. დანარჩენი კი თავად აფხაზმა და ოსმა ხალხმა განსაზღვროს, - შედის თუ არა მათ ინტერესებში, რუსეთს ამ იმპერიულ ომში მას თავი საზარბაზნე ხორცად გამოაყენებინონ?!

აქვე მოხსენიებულ რუსეთის მიერ ქართველი ხალხის დაჩოქებაზე კი ვიტყოდი, რომ ეს, საბოლოოდ, აუხდენელი ილუზიაა, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ ქართველმა ხალხმა, ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, მისი დაჩოქებისა და განადგურების არა ერთი მოსურნე მოინელა, და რაც ვერ შეძლო „ათასწლოვანმა რომმა“, ბიზანტიამ, არაბობამ, თურქ-სელჯუკებმა, ძლევამოსილმა მონღოლმა თუ ირანელმა დამპყრობლებმა, რუსეთის იმპერიისთვისაც აუხდენელ ოცნებად დარჩება, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს სამშობლოს მისი მადლი და მეოხება იცავს. მართლმორწმუნე ქრისტიან რუს ხალხს, ეს დიდი ხანია აუწყეს მისი წიაღიდან გამოსულმა წმინდა მამებმა და გააფრთხილეს იგი, რომ საქართველოსთან კონფლიქტი, ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა რუსეთის სახელმწიფოს. ჯერ კიდევ არა არის გვიან, რუსეთში მოახერხონ გონიერების ამ ხმის გაგონება...

ქართული სახელმწიფოს მესვეურთ კი ვურჩევდით, რომ თავიანთი ქვეყნის პრობლემების მოგვარების დროს, საკუთარი მშვიდობიანი და მაძღარი ცხოვრების უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ ე. წ. დიდი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების იმედად ნუ იქნებიან. რადგან ყველა ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი პრიორიტეტულად მიჩნეული მიზნები და ინტერესები. უნდა გვესმოდეს და შესაძლებლობის ფარგლებში გავითვალისწინოთ ეს ინტერესები; მაგრამ ისიც კარგად გავაანალიზოთ, რამდენად ემთხვევა და ხელს არ შეუშლის მათი განხორციელება საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივას, - ხელოვნურად ხომ არ ზღუდავს, ან არ აჩერებს მას, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან თანხმობაში ვერ მყოფი მათში მიმდინარე ისტორიული პროცესები და განვითარების ტენდენცია.

ამიტომ, ჩვენისთანა, პოსტსაბჭოური სივრციდან ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებისათვის სრულიად მისაღებად უნდა იქნას მიჩნეული ქმედუნარიანი სუვერენული დემოკრატია, რომლის ქვეშაც ვგულისხმობთ ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლებელს გახდის მსოფლიო განვითარების თანამედროვე პრაქტიკიდან ყოველივე პროგრესულის დაუყოვნებლივ ათვისებას, ხოლო მეორე მხრივ, მოგვცემს ქვეყნის ეროვნულ მეობასთან შეუთავსებელი ხელოვნური ორიენტირებისა და „პრიორიტეტების“ მასზე თავს მოხვევის შეუძლებლობის გარანტიას.

ჩვენ მიერ აღნიშნული ნაშრომის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს, არა აქვთ მისი ყველა ასპექტის შეფასების პრეტენზია და წარმოადგენს ჩვენთვის ხელმისაწვდომ პრიორიტეტულ მიმართულებათა რეცენზირების მცდელობას. ამასთან, გვსურს, მის ავტორებს დიდი მადლობა მოვახსენოთ მათ მიერ ნაშრომზე

გაწეული უდიდესი ძალისხმევისათვის, რომლის დროსაც მათ შეძლეს XVIII-XXI საუკუნეების საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა იმ ნიუანსების მართებული შინაარსის წარმოჩენა, რაც ამ ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს წარმოადგენდა, ამასთან, მოახერხეს ბევრი ამ საკითხის, თანამედროვეობის შესაბამისად ისტორიული გადააზრება; განიხილეს და სათანადოდ წარმოაჩინეს მრავალი, ადრე ყურადღების მიღმა დარჩენილი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლებიც აღნიშნულ ურთიერთობათა ნამდვილ, შეუფერადებელ სურათს უფრო თვალსაჩინოს ხდის.

ამიტომაც სარეცენზიო ნაშრომი „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში“ (ორ ნაწილად) ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს, რისთვისაც მისი ავტორები სათანადო წახალისებას იმსახურებენ.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები
## (ორივე ნაწილისათვის)

**ჭუმბურიძე, კიკნაძე.., 2016:** - ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, I და II ნაწილები, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2016;

**მაგარეტო, 2008:** - მაგარეტო ლუიჯი, საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2008;

**ცქიტიშვილი, 1982:** - ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982;

**გიგინაშვილი, 2007:** - გიგინაშვილი ნ., ბაგრატიონი უფლისწულების პოლიტიკური მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 2007;

**ლორთქიფანიძე, 1995:** - ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველო-ზე, თბ., 1995;

**ფრონელი, 1896:** - ფრონელი ალ., მთიულეთი 1804 წელსა, გამომც. „ქართველი ამხანაგების სტამბა", ტფილისი, 1896;

**Zubov, 1834:** - Zubov Pl., Sh est pisem o Gruzii I Kavkaze, pisannia1833 godu,Platonom Zubovim, Moskva, 1834;

**Bolxovitin,** 1802: - Bolxovitin E. A., Istoricheskoe izobrajenie Gruzii, Gruzia politicheskom, cerkovnom I eia sostoianii, SP., 1802;

**Fedotov ,1992:** - Fedotov G., Sudba i grexi Rossii, Moskva, 1992;

**Ucha Okropiridze**

## Paused History, Hence Doing Fair Justice (Second Part)

Summary

The present work is review of two volumes of "Georgian-Russian Relations in XVIII-XXI Centuries" published in 2016by Group of Authors.

It includes "Georgian-Russian Relations in XVIII-XXI Centuries in Russian Historiography of XIX Century" , "Moral portrait and actions of Russian ambassadors in XVII century's Georgia" "Relations of west of Georgia with Russia in the second half of XVIII century", "Russian Colonial Policy in Georgia and Georgian Society", "Georgia's Voluntary Integration" to Russia and the Results of it, etc. Our Analysis and the proper Conclusions of modern views of wide range of relations of Georgian-Russian in XVIII-XXI centuries.

ოლეგ ჯიბაშვილი

# XIX საუკუნის კლარჯეთის ისტორიიდან

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხე – კლარჯეთი, ტრადიციულად, ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ჟამთა ავბედითობამ იგი ოსმალეთის ფარგლებსი არ მოაქცია.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის ისტორიული პროვინცია "კლარჯეთი," რომელიც ძირითადათ ნიგალისა (ოსმალურად "ლივანა") და არტანუჯის (საკუთრივ კლარჯეთი) ქვეყნებისაგან შედგებოდა, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით გაერთიანებული იყო ახალციხის საფაშოში ლივანასა და არტანუჯის სანჯაყების სახით **(ცინცაძე, 1973: 291)**. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ, როცა ახალციხის საფაშო გაუქმდა, კლარჯეთის ტერიტორია ტრაპიზონისა და არზრუმის საფაშოებზე გადანაწილდა. ლივანას ქვეყანა ტრაპიზონის საფაშოს ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლიბაში მოექცა. მისი ცენტრი იყო ქალაქი ართვინი.

მიუხედავად თურქთა ბატონობისა, ოსმალური პერიოდის მთელ სიგრძეზე ლივანას მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით უმთავრესად ქართული იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ჯიფორდ პალგრევი, რომელიც 1867 წელს ინგლისის კონსულად დაინიშნა ტრაპიზონში. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი წარდგენილ 1868 და 1872 წლების ანგარიშებში იგი საფუძვლიანად აღწერს ტრა-

პიზონის მთელ ვილაეთს და მათ შორის ლივანაში არსებულ ვითარებას.

პალგრევის მონაცემებით, 1868 წლისათვის ლივანას ქვეყანა კაზას სახით გაერთიანებულია ტრაპიზონის ვილაეთის ლაზისტანის სანჯაყის ლივანას საკაიმაკამოში, სადაც მასთან ერთად შედიოდა მაჭახლის კაზაც **(Пальгрев, 1882 (ა): 62)**.

პალგრევი ლივანას კაზას ცენტრად ქალაქ ართვინს ასახელებს, რომელსაც იგი ლივანასაც უწოდებს. ართვინში 7170 მცხოვრებს მიუთითებს, რომელთაგანაც მაჰმადიანი იყო 3520, სომეხი-კათოლიკი – 2810 და სომეხი-გრიგორიანი – 840; მისი ცნობით, ართვინს გარდა კაზაში ცხოვრობდა კიდევ 62800 ადამიანი, აქედან 57448 მუსლიმი და 5352 არამუსლიმი. აღსანიშნავია, რომ აქაურ მუსლიმებს პალგრევი ქართველებად თვლის. ქართველია კაიმაკამიც, რომელიც კონსულის სიტყვით ქართველი ბეგების გვარიდანაა **(Пальгрев, 1882 (ა): 62-63)**.

კიდევ უფრო საინტერესოა პალგრევის 1872 წლის მონაცემები. იგი აღნიშნავს:

“ლივანაში ითვლება 59 დასახლებული პუნქტი და 5052 ოჯახი. ართვინის ჩათვლით ოლქის (კაზას) მთელი მოსახლეობა არის 36430 კაცი. ქალაქისა და მისი შემოგარენის გარდა ოლქში (კაზაში) არ არის ქრისტიანი. სოფლის მაცხოვრებლები უკლებლივ ყველანი ქართველი მაჰმადიანები არიან, რომლებიდანაც მხოლოდ მცირედმა იცის თურქული” **(Пальгрев, 1882 (ბ): 58)**.

როგორც მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, მიუხედავად ოსმალეთის სახელმწიფო მანქანის ასიმილატორული პოლიტიკისა, ქართული მოსახლეობა მაინც უმრავლესობას წარმოადგენდა. მიზეზი ასეთი მდგომარეობისა იყო ის, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე ბრწყინვალე პორტას ბატონობა აქ

ნომინალურ ხასიათს ატარებდა და ფაქტობრივი ძალაუფლება ადგილობრივი არისტოკრატიის ხელში იყო მოქცეული.

ოსმალეთის იმპერია 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში დამარცხების შემდეგ ყოვლისმომცველმა კრიზისმა მოიცვა. კრიზისი მანამდეც მძვინვარებდა, აღნიშნული ომის შემდეგ კი მისი მასშტაბები კატასტროფულად გაიზარდა. ამიერკავკასიაში რუსეთის გამოჩენამ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა თურქთა იმპერიის არსებობას.

შექმნილ ვითარებას კარგად გვიხატავს თურქოლოგი ო. გიგინეიშვილი თავის გამოკვლევაში.

“ამრიგად, – ასკვნის მეცნიერი, – 70-იანი წლების დასასრულისათვის (იგულისხმება XVIII საუკუნე) ოსმალეთისათვის აღმოსავლეთ ანატოლიაში მეტად კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. მისი მორჩილებიდან ფაქტიურად გამოვიდა აღმოსავლეთ ანატოლიის ბევრი ფაშა და ფეოდალი. აღარ იყო სანდო აღარც ახალციხის ფაშა და არც ჯანიკლი ალი ფაშა. სულეიმანი უკვე აშკარად უკავშირდება ერეკლესა და სოლომონს, ჯანიკლი ალი ფაშა მზად არის უღალატოს ოსმალეთს. აღმოსავლეთ ანატოლიის მომთაბარე ტომები, რომლებიც აქ უმრავლესობას შეადგენდნენ, თითქმის მთლიანად გამოვიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან. ასეთ პირობებში ირანისათვის შედარებით ადვილი იყო წარმატების მიღწევა. აქტიურდება საქართველოც, რომლის ზურგს უკან ახლა რუსეთი დგას. შეტევაზეა გადმოსული თავად რუსეთიც... რუსეთ-საქართველოს დაახლოება თითქმის დაუძლეველ ამოცანას სახავდა ოსმალეთის წინაშე. ახლა ოსმალეთი აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში თავდაცვაში მყოფ ძალას უფრო წააგავს, ვინემ შეტევაზე გადასულ სახელმწიფოს” **(გიგინეიშვილი, 1959: 222-223).**

რუსეთის ფაქტორი რადიკალურად ცვლიდა ძალთა ბალანსს ამიერკავკასიასა და მიმდებარე რეგიონებში და აიძულებდა ოსმალეთს ეფიქრა საწრაფო კონტრზომების მიღებაზე. იქ არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ, რომ რუსეთით ზურგგამაგრებულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს მხარს ოსმალეთის იმპერიაში მოქცეული ქართველებიც მისცემდნენ და ერთობლივად გაილაშქრებდნენ პორტას წინააღმდეგ. არსებულ სიტუაციას კარგად გვიხატავს ზ. ჭიჭინაძე. ოსმალებმა დაიწყეს "მისი ცდა, რომ მხოლოდ გურჯისტანის საზღვრები გაემაგრებინათ და თავიანთი საბრძანებელი დაეცვათ, მასთანვე ფიქრს მიეცენ, რომ დღეის შემდეგ იქით უნდა დავნიშნოთ ჩვენი ერთგული ისეთი ფაშები, რომელნიც გურჯებს კარგად მოუვლიანო, თორემ ვაი თუ ისინიც სხვა გურჯებივით რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდნენ და მის გამო ჩვენც წაგვერთვას ხსენებული კეკლუცი მხარეო" – მიუთითებს იგი **(ჭიჭინაზე, 1911: 137-138).**

ქართველთა სამწუხაროდ, რუსეთის ფაქტორის ჩვენდა სასარგებლოდ გამოყენება ვერ მოხერხდა – რუსეთი საკუთარი მიზნების რეალიზებისათვის მოდიოდა ახლო აღმოსავლეთში და არა ქართველთა ინტერესებისათვის საბრძოლველად. სამაგიეროდ, მისი გამოჩენის უარყოფითმა მხარეებმა მკვეთრი ასახვა ჰპოვა საქართველოს ბედზე, განსაკუთრებით მის იმ ნაწილზე, რომელიც ოსმალეთის ფარგლებში იყო მოქცეული.

განჭვრიტეს რა მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბები, იმპერიის ბედზე მზრუნველი ძალები ოსმალეთის სახელმწიფოებრიობის გადარჩენას რეფორმების გატარებითა და ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებით შეეცადნენ. მათ დახმარების ხელი გაუწოდეს დასავლურ-ევროპულმა სახელმწიფოებმა, რომელთათვისაც რუსეთის წინსვლა ახლო აღმოსავლეთის სიღრმეში მიუღებელი იყო.

ე.წ. თანზიმათის რეფორმების გატარების შემდეგ ოსმალეთის ქართულ პროვინციებში ადგილობრივ არისტოკრატიას ძალაუფლების საფუძვლები გამოეცალა. შესაბამისად, შედარებით განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, რასაც "ოსმალოს საქართველოში" და, მათ შორის, ლივანა-კლარჯეთში თურქული ენისა და თურქიზაციის პოლიტიკის გავრცელება-გაძლიერება მოჰყვა.

რუსეთისაგან მომდინარე საფრთხემ განაპირობა, აგრეთვე, მართლმადიდებელი ქრისტიანების დევნის გამძაფრება და ისლამიზაციის პოლიტიკის გააქტიურება. თუ მანამდე ბრწყინვალე პორტა შედარებით ნაკლებად ცდილობდა ძალდატანებით ისლამის დამკვიდრებას, რაზეც იმდროინდელი მოგზაურებიცა და თანამედროვე მკვლევარებიც მიუთითებენ **(კოხისა და.., 1981: 190; ბაწაში, 1988: 35),** XVIII საუკუნის მიწურულიდან იგი ცეცხლითა და მახვილით იწყებს მის გავრცელებას.

მესხეთის ქართველები და, მათ შორის, ლივანელ-კლარჯებიც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალთა ასიმილატორულ პოლიტიკას. როგორც ზ. ჭიჭინაძის მიერ ლივანის მოსახლეობაში შეკრებილი მასალები მოწმობს, ეს ბრძოლა ძალიან სასტიკი ყოფილა და ოსმალებს ზოგიერთი დიდგვაროვანი ქართველის მოსყიდვის შემდეგ მიუღწევიათ წარმატებისათვის **(ჭიჭინაძე, 2004: 47-49)**.

ზემოთ აღნიშნულმა ვითარებამ ლივანა-კლარჯეთში ისლამის ფართოდ დამკვიდრება, ხოლო მის გარკვეულ ნაწილში თურქული ენის გაბატონება განაპირობა.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, სხვა ქართულ მიწებთან ერთად, კლარჯეთის პროვინცია რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა. შავშეთ-კლარჯეთი ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგში გაერთიანდა და დაიყო სამ უბნად: ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევისა. საქრისტიანო და სამაჰმა-

დიანო საქართველოს უდიდესმა ნაწილმა ერთ სახელმწიფოებრივ სხეულში მოიყარა თავი. თითქოს იქმნებოდა ხელსაყრელი ვითარება ქართული ეროვნული სხეულის განმთლიანებისა და ერთიანი ცნობიერების აღდგენისა.

სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებას სულ სხვა მოსაზრებები გააჩნდა. იმპერიის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე იგი დაჟინებით ცდილობდა ქართული ეროვნული სხეულის დაქუცმაცებას. გამომდინარე აქედან, ლივანა-კლარჯეთში, ისევე როგორც სხვა ახლად შემოერთებულ ქართულ კუთხეებში, რუსეთის იდეოლოგიური მანქანა ცდილობდა ქართული ცნობიერების არა აღდგენა-განმტკიცებას, არამედ მის საბოლოო დეგრადირებასა და მუსლიმი ქართველების ჩამოშორებას ერთიანი ქართული სხეულიდან.

ხელისუფლება ცდილობდა აქაური მაჰმადიანი ქართველობის რუსიფიცირებას, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი იყო, უმჯობესად მიაჩნდა მათი გათურქებისათვის ხელშეწყობა, ვიდრე დანარჩენ ქართველობასთან ინტეგრირება. ეს ტენდენცია კარგად აისახა ოფიციალურ საისტორიო ნაშრომებსა და სტატისტიკურ მასალებში, რომლებშიც ქართველი მუსლიმები, განსაკუთრებით კი მათი ის ნაწილი, რომელმაც ბრწყინვალე პორტას ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად მშობლიური ენა დაკარგა და თურქულზე გადავიდა, ხელაღებით თურქებადაა გამოცხადებული. წარმომავლობასა და ისტორიულ რეალობას არავითარი ანგარიში არ ეწევა.

მაგ. რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვ. ლისოვსკი დარწმუნებით მიუთითებს, რომ არტანუჯის მთელი საბოქაულო და ართვინის საბოქაულოს სამხრეთი ნაწილი დასახლებულია ეთნიკური თურქებით, რომლებშიც მცირედ ქართველებიც არიან ათქვეფილი **(Лисовский, 1887: 52-53).**

ოფიციალური სტატისტიკური მასალებითაც ლივანა-კლარჯეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქებად არის აღრიცხული. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა 1902 წლის კავკასიის კალენდარი, რომელშიც აისახა 1900 წლისათვის ამიერკავკასიის გუბერნიებში არსებული ეთნო-დემოგრაფიული ვითარება.

აღნიშნული კალენდრის მიხედვით, ართვინის ოკრუგის ართვინისა და არტანუჯის უბნებში ფიქსირდება 104 დასახლებული პუნქტი და 27104 სული მცხოვრები. აქედან არტანუჯის უბანი (47 დასახლებული პუნქტი, 14698 მცხოვრები) მთლიანად თურქულად არის მიჩნეული; რაც შეეხება ართვინის უბანს, მისი სამი საზოგადოებიდან მთლიანად ქართულად დასახელებულია მხოლოდ მურღულის საზოგადოება (29 დას. პუნქტი, 3361 მცხოვრები), ხოლო დანარჩენ ორ საზოგადოებაში (ერთად – 28 დას. პუნქტი, 9045 მცხოვრები) თურქულ-ქართული შერეული მოსახლეობაა მითითებული თურქულის დომინანტობით **(KK, 1901: 92).** ამოსავალ წერტილად აქ სამეტყველო ენაა აღებული – ის კლარჯები, რომლებმაც მშობლიური ენა დაკარგეს და თურქულზე გადავიდნენ, თურქებად არიან დაფიქსირებული. ეს ფაქტი კარგად მიუთითებს ქართველებისადმი ოფიციალური რუსეთის დამოკიდებულების ხასიათზე – ის მოსახლეობა, რომელსაც ოსმალეთის იმპერიაში ყოფნისას პალგრევი ქართველ მაჰმადიანებად მოიხსენიებს, რუსული ოფიციოზისათვის თურქულია.

აქ არ შეიძლება კვლავ არ განვიხილოთ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც 1902 წლის კალენდარს უკავშირდება.

კალენდრის მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში (რომელშიც შედიოდა ბათუმის ოლქი ბათუმისა და ართვინის ოკრუგებით) მცხოვრები ქართველები დაყოფილია სამურზაყანოელებად, მეგრელებად, სვანებად, იმერლებად, გურულებად, აჭარლებად და მათი ქართველობა ფაქტობრივად იგნორირებულია **(KK, 1901: 83-**

**91).** თბილისის გუბერნიაში ასევე ცალკე ხალხებადაა გამოყოფილი თუშები, ხევსურები, ფშავები, მთიულები და ინგილოები, ხოლო მაჰმადიანი სამცხელები და ჯავახები თათრებადაა გასაღებული **(КК, 1901: 73-82)**. ასეთ ფონზე, რაც არ უნდა საოცარი იყოს, ქუთაისის გუბერნიაში ქართველებად მოიხსენიებიან მხოლოდ ართვინის მხარის ქართულენოვანი მოსახლეობა და იმერეთში, ქართლის საზღვართან მცხოვრები ქართლელები **(КК, 1901: 91)**.

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის მესვეურები, მიზანმიმართულად ახორციელებდნენ რა ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის რღვევას და ქართველი ერის შემადგენელი ეთნოგრაფიული ჯგუფების დამოუკიდებელ ხალხებად გასაღებას, რატომღაც განსხვავებულად უდგებიან ქართულენოვან ართვინელთა საკითხს და აღიარებენ მათ ქართველობას. ფაქტია, აქ თავისი როლი ითამაშა ადგილობრივ ქართველთა თვითშეგნებამაც, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საკითხი ბოლომდე ნათელი ჯერ კიდევ არ არის და საჭიროა მისი უკეთ შესწავლა.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ირკვევა, რომ ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთდაპირისპირების გამძაფრება უარყოფითად აისახა ოსმალეთის იმპერიაში, საზღვრის ახლოს მცხოვრები ლივანელ-კლარჯების მდგომარეობაზე. ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგად აქ გაძლიერდა ისლამიზაციისა და თურქიზაციის პროცესი, რამაც XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევარში თანდათან გამოიწვია ქრისტიანობის მაჰმადიანობით ჩანაცვლება, ხოლო მოსახლეობის ნაწილში – თურქული ენის დამკვიდრებაც.

რეგიონის რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ ზემოაღნიშნული პროცესი არათუ შეჩერდა, არამედ, გამომდინარე რუსეთის იმპერიული მისწრაფებებიდან, ახალი ძალით წარიმართა.

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:


**ბაწაში, 1988:** – წ. ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბ., 1988.

**გიგინეიშვილი, 1959:** – ო. გიგინეიშვილი, საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თსუ შრომები, ტ.73, თბ., 1959.

**კოხისა და.., 1981:** – კ. კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი **და** კომენტარი დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

**ცინცაძე, 1973:** – ზ. ცინცაძე, სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) პოლიტიკური რუკა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, საისტორიო კრებული, ტ. IV, თბ., გამ. ,,მეცნიერება", 1973, გვ. 291.

**ჭიჭინაზე, 1911:** – ზ. ჭიჭინაზე, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი, ბათ., 1911.

**ჭიჭინაძე, 2004:** – ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში (ზეპირი გადმოცემების მიხედვით), მასალები შეკრიბა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ნინიკაშვილმა, თბ., 2004.

**КК, 1901:** – Кавказский календар на 1902 год, Тиф., 1901.

**Лисовский, 1887:** – Лисовский В. Я., Чорохский край (Военно-статистический очерк), Тиф., 1887.

**Пальгрев, 1882 (ა):** – Отчет консула В. Джиффорда Пальгрева (за 1867-68 гг.) о провинциях: Трапезондской, Сивасской, Кастамунийской и части Ангорской. Перевел Ф. В. Ячевский. Приложения к VII тому "Известий Кавказского Отдела Императорского Русскаго Географическаго Общества," Тиф., 1882.

**Пальгрев, 1882 (ბ):** – Отчёт консула Пальгрева, за лето 1872 года, о берег Лазистана и прилагающих к нему внутренних Округах, между Шевкетилем или укреплением св. Николая на русско-турецкой границе на берегу Чёрнаго моря и Трапизондом. Перевел А. А. Ционглинский. Приложения к VII тому "Известий Кавказского Отдела Императорского Русскаго Географическаго Общества," Тиф., 1882.

**Oleg Jibashvili**

## From the History of Klarjeti in the XIX$^{th}$ Century

Summary

In the article there is considered the ethno-religious situation of one of historical regions of Georgia - Klarjeti in the XIX$^{th}$ century. This region has long been within the Ottoman Empire, and after the Russian-Ottoman 1877-1878 War it entered to the Russian Empire. It is showed also that Ottoman and Russian empires anti-Georgian politics toward the Georgian population of Klarjeti has negatively impacted to the Klarjeti population. At the end of the XIX$^{th}$ century, the local population step by step became Muslim and in many parts of it the Georgian language was replaced by Turkish.

ბიჭიკო დიასამიძე
ოლეგ ჯიბაშვილი

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის და არქეოლოგიის განყოფილების 2017 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

**განყოფილების უფროსი:** ბიჭიკო დიასამიძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი).

**განყოფილების პერსონალური შემადგენლობა:**

1. ბიჭიკო დიასამიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი)
2. ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
3. გიორგი თავამაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
4. ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
5. უჩა ოქროპირიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
6. მაია ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
7. ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
8. ირინე ვარშალომიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

## I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

| # | შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით | პროექტის ხელმძღვა-ნელი | პროექტის შემსრულებლები |
|---|---|---|---|
| | **სამეცნიერო პრობლემა** – სამხრეთ-დასავლეთ საქარ-თველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემები<br><br>**თემა** – აჭარის ადმინის-ტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორია<br><br>**ეტაპი** – ქობულეთის მუნი-ციპალიტეტი (ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა)[98] | ბიჭიკო დიასამიძე | ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები |
| წლიური შრომები | | | |
| 1 | ქობულეთის მუნიციპალიტე-ტი აჭარის ადმინისტრაციულ -ტერიტორიულ სტრუქტურა-ში; მუნიციპალიტეტის ისტო-რია უძველესი დროიდან 1921 წლამდე | | ბიჭიკო დიასამიძე |

[98] თემა ნაწილია ხუთწლიანი (2013-2017) პროექტისა „აჭარის ადმინისტრა-ციული ერთეულები“. 2013 წელს შესწავლილ იქნა ხულოს მუნიციპალიტე-ტი, 2014 წელს – შუახევის მუნიციპალიტეტი, 2015 წელს – ქედის მუნიციპა-ლიტეტი, 2016 წელს – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ქობულეთის მუნიციპალი-ტეტის ისტორია 1921-1990 წწ.-ში;<br>ქვეყნის უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი (საერთა-შორისო მისიები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონ-ფლიქტები, 2008 წლის ომი). | | უჩა ოქროპირიძე |
| 3 | ქობულეთის მუნიციპალი-ტეტის ეკონომიკის ისტორია 1921-1990 წლებში (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, კომუნიკაციის საშუალებები), | | ოთარ თურმანიძე |
| 4 | ქობულეთის მუნიციპალი-ტეტის სოციალური ისტო-რიის საკითხები (ჯანმრთე-ლობის დაცვა, სპორტი, ტუ-რიზმი – XIX-XX საუკუნეები) | | ოლეგ ჯიბაშვილი |
| 5 | ქობულეთის მუნიციპალი-ტეტის არქეოლოგიური ძეგლები | | ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, |
| 6 | ქობულეთის მუნიციპალი-ტეტის საკულტო არქიტექტუ-რის ძეგლები | | მაია ჭიჭილეიშვილი |
| 7 | მონეტები ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან | | ირინე ვარშალომიძე |

## განყოფილების წლიური შრომების საერთო ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომებში არქეოლოგიური მასალის, წერილობითი წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერება-ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ უძველესი ადამიანის ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების გამო, საერთოდ აჭარის და, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი ჩანს ძველი ქვის ხანიდან (პალეოლითი), ხოლო უწყვეტი ცხოვრება დასტურდება გვიან მეზოლითისა და ნეოლითის ხანიდან.

წარმოდგენილია უძველეს დასახლებათა ადგილები, ახსნილია ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში გორა-ნამოსახლარების წარმოშობის მიზეზები. ნაჩვენებია ბრინჯაოს ეპოქის ძეგლები, ახსნილია „ხევებისა" და შესაბამისად „აჭარის ხევის" წარმოქმნის პირობები, ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე ლითონ-დამამუშავებელი სახელოსნოები და გაკეთებულია დასკვნა, რომ ეს რეგიონი ითვლება ისე, როგორც მთელი ჭოროხის აუზი, ლითონის მოპოვება-დამუშავების უძველეს კერად. განხილულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში (კოლხეთი, იბერია) გაერთიანების პირობები. ნაჩვენებია V-X საუკუნეებში ქობულეთის მხარის ტერიტორიაზე განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები: ქრისტიანობის დამკვიდრება და სალოცავების მშენებლობა, პეტრას საეპისკოპოსოს ფუნქციონირება; პოლიტიკურ მოვლენათაგან - ბიზანტია-ირანს შორის ბრძოლა ეგრისისათვის.... XI საუკუნიდან აბუსერისძეთა მმართველობა, მხარის ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა.

მოთხრობილია ამ მხარეში, მის ეკლესია-მონასტრებსა და ხინოს საეპისკოპოსოში წარმოებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე, აქ შექმნილ იერუსალიმის მონასტერზე დაქვემდებარებულ იერუსალიმის მეტოქის **ჩაიხედენას** და **ჩაქვისთავსა** და **ნაცხვატევში** ჩამოყალიბებულ ყმა-მამულებზე, ქობულეთელთა აქტიურ

მონაწილეობაზე ოსმალთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამ მხარესთან დაკავშირებულ მოვლენებზე, ნაჭიშკრევის ტრაგედიაზე, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ქობულეთის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებზე, XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური პოლიტიკის შეცვლასა და მის მიზეზებზე, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა ხანებში ბათუმ-ქობულეთის მხარეებში განვითარებულ მოვლენებსა და ომის შედეგებზე, მუჰაჯირობაზე;

ნაჩვენებია რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზნები, 900-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის გამოძახილი ქობულეთის მხარეში და პირველი მსოფლიო ომისა და მომდევნო წლების მოვლენების შედეგები საერთოდ აჭარისა და კერძოდ ქობულეთის მხარისთვის.

ასევე, ასახულია თანამედროვე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული პროცესები 1918-1921 წლებში, საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ ათწლეულებში (მათ შორის 1937 წლის რეპრესიები), II მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდებში, ე.წ. „უძრაობისა“ და „გარდაქმნის“ წლებში, შესწავლილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე ეტაპი და პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი წლები მუნიციპალიტეტში, აგრეთვე, ქობულეთელთა მონაწილეობა სამშვიდობო მისიებსა და რეგიონალურ ომებში.

ნაჩვენებია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანდაცვის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ისტორია XIX-XX საუკუნეების მანძილზე.

კარგად არის გაშუქებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ისტორია 1921-1990 წლებში. შესწავლილია ბუნებრივი და შრომითი რესურსები, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. გაანალიზებულია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ქობულეთის მუნიცი-

პალიტეტში განხორციელების ფორმები, მეთოდები და თავისებურებანი. განხილულია ახალი ტიპის საწარმოთა - სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობების, კოლმეურნეობების, მეურნეობათაშორისი ორგანიზაციების, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მშენებლობა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შესწავლილია მუნიციპალიტეტის მატერიალური წარმოების ძირითადი დარგები: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, ტუნგის კულტურა, მეხილეობა, მემინდვრეობა და მეცხოველეობა.

არქეოლოგიის კუთხით დეტალურად არის განხილული რეგიონის ქვის ხანის ძეგლები, შუა ბრინჯაოს ხანის უნიკალური ნამოსახლარის ისპანის ძირითადი მახასიათებლები, გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, სადაც ცხოვრების უწყვეტი კვალი შეინიშნება ელინისტური ხანის ჩათვლით. დიდი ადგილი ეთმობა რკინის მეტალურგიის განვითარების თემას, კერძოდ, რკინის სადნობი ნედლეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ დიუნურ სადგომებს, რომლების საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზეა მიკვლეული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვნებს, რომლებიც უნიკალური მონაცემებითაა ცნობილი.

წარმოდგენილი მასალა კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს ბატონ დავით ხახუტაიშვილის თეზისს, რომ ქობულეთის „ქვეყანა“ ქართველური სამყაროს არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ნაწილი იყო, არამედ სულიერი ცხოვრების თანამოზიარე იყო, რაც კარგადაა ასახული იმ ნივთიერ კულტურაში, რომელიც ქობულეთის „ქვეყნის“ არქეოლოგიური შესწავლის შედეგად არის გამოვლენილი.

აგრეთვე, კარგად არის შესწავლილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკულტო არქიტექტურის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მქონე ნიმუშები, შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები - პეტრა-ციხისძირის ეკლესიები, ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია,

ჩეხედანას (ცხრაფონას) წმინდა გიორგის ეკლესია თავისი რელიეფებითა და ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტებით, სოფელ ქვედა სამების ეკლესიის ნანგრევები. ასევე, შავი ზღვის სანაპიროზე 1882-1884 წლიდან საქართველოში ჩამოსახლებულ პონტოელ ბერძენთა მიერ აშენებული დაგვის ღვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლესიის არქიტექტურა და კედლის მხატვრობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუსლიმური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან შესწავლილია ქართული ხალხური ხელოვნების საინტერესო ნიმუში - კვირიკეს მეჩეთი. ნაშრომში წარმოჩენილია რაიონის კულტურული განვითარების პროცესი, ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების თავისებურებები და მხატვრულ-ისტორიული ღირებულების საკითხები.

განხილულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მდიდარი ნუმიზმატიკური ძეგლებიც. ისინი დაჯგუფებულია ქრონოლოგიური და გეოგრაფიული თანმიმდევრობით. თითოეული პერიოდის მასალა ცალკე თავებად არის გამოყოფილი: 1. ადრეანტიკური ხანის უცხოური და ადგილობრივი მონეტები, 2. ელინისტური ხანის მონეტები, 3. რომაული ხანის მონეტები, 4. სასანური 5. ბიზანტიური ხანის მონეტები, 6. XIII საუკუნის სელჩუკური და აღმოსავლური მონეტები, 7.კირმანეული თეთრი, 8.ევროპული მონეტები. აღწერილია ყველა ეპოქის მონეტების ავერს-რევერსი, მეტროლოგიური მონაცემები. დამუშავებულია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, ნაჩვენებია მონეტების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენის, შემოსვლის გზები, მიზეზები და ამასთან დაკავშირებული ისტორიული ასპექტები.

მთლიანობაში, წარმოდგენილი წლიური ნაშრომები სრულ სურათს ქმნის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიასთან დაკავშირებით უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

**I. 2.** შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| # | პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით | დამფინანსებელი ორგანიზაცია | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები |
|---|---|---|---|---|
| 1 | „ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი“, (FR 17 504), ჰუმანიტარულ მაცნიერებათა, ისტორია და არქეოლოგია | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | ირინე ვარშალომიძე | ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე |
| 2 | (სამაგისტრო გრანტი) პროექტი: წყალმომარაგების სისტემები და სანიტარულ-ჰიგიენური ობიექტები გონიოაფსაროსიდან (№ MR_2016_6_247); მიმართულება: ისტორია და არქეოლოგია | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | სულხან მამულაძე | სულხან მამულაძე |
| | პროექტი: ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | შოთა მამულაძე | შოთა მამულაძე, მერაბ ხალვაში, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ქართული კულტუ-რული მემკვიდრე-ობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლე-სიები, საკომუნიკა-ციო და საყოფაცხოვ-რებო არქიტექ-ტურის ნიმუშები) (№ 217910); მიმართულება: ისტორია და არქეოლოგია | | | ემზარ კახიძე, თამაზ ფუტკარაძე, კახაბერ ქამადაძე, სულხან მამულაძე |

**I. 3.** სხვა სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| # | პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართუ-ლების მითითებით | დამფინანსე-ბელი ორგანიზაცია | პროექტის ხელმძღვა-ნელი | პროექტის შემსრულებ-ლები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანმანათლებლო გრანტი (№ 7-2/OO/24158) | ტარტუს უნი-ვერსიტეტი (ესტონეთი) | სულხან მამულაძე | სულხან მამულაძე |

## II. 1. პუბლიკაციები:

## ა) საქართველოში

**მონოგრაფიები**

| # | ავტორი/ავტორები | მონოგრაფიის სათაური | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბიჭიკო დიასამიძე | სამი ისტორი-ული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტე-ტის ფარგლებში | ბათუმი, შპს „თეგი“ | 60 გვ. |
| 2 | შემდგენელი უჩა ოქროპირიძე | კეთილგვაროვანი ოქროპირი-ძენი...(ოქროპი-რიძეთა საგვარე-ულო ისტორია) | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად, 450 გვ. |
| 3 | გიორგი თავამაიშვილი | თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები | | მომზადებუ ლია დასა-ბეჭდად, 293 გვ. |

**კრებულები**

| # | ავტორი/ ავტორები | კრებულის სახელწოდება | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერ-დების რაო-დენობა |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ავტორთა კოლექტივი | **,,ჩვენი სულიერების ბალავარი“- IX** | თბილისი, გამომც. “უნივერსალი” | 534 გვ. |
| 3 | ავტორთა კოლექტივი | **,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“-VIII** | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 429 გვ. |
| 5 | ავტორთა კოლექტივი | **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ - II (VII)** | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 234 გვ. |

**სტატიები**

| № | ავტორი/ავტორები | სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება | ჟურნა-ლის/ კრებუ-ლის ნომერი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდე-ბის რაოდე-ნობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბიჭიკო დიასამიძე | ქრისტიანობა მაჭახლის ხეო-ბაში, ევფრატის ეპარქია;<br><br>კრ.: „ჩვენი სუ-ლიერების ბალა-ვარი„ (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონ- | IX | თბილისი, გამომც. „უნივერსალი“ | 121-133 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ფერენციის მასა-ლები) | | | |
| 2 | ბიჭიკო დიასამიძე | საქართველოს სამოციქულო მართლმადიდე-ბელი ეკლესიის უწმინდესი სი-ნოდის 2012 წლის 5 ივლისის განჩინების შესახებ<br><br>კრ.: „ჰუმანიტა-რულ მეცნიერე-ბათა ფაკულტე-ტის პერიოდუ-ლი სამეცნიერო ჟურნალი“ | XVI | ქუთაისი, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“ | 57-65 |
| 3 | ბიჭიკო დიასამიძე | ცვლილებები IX-X საუკუნეების ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი<br><br>კრ.: „ქართვე-ლური მემკვიდ-რეობა“ | XXI | ქუთაისი, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“ | 105-111 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბიჭიკო დიასამიძე | ქობულეთის მხარე XVII-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში<br><br>კრ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ | II (VII) | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 15-29 |
| 5 | ბიჭიკო დიასამიძე (თანაავტ. ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი) | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2016 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში<br><br>კრ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს | II (VII) | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 111-190 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ | | | |
| 6 | ბიჭიკო დიასამიძე | ხულოს მუნი-ციპალიტეტი, ზოგადი ცნო-ბები, ბუნებ-რივი პირობები<br><br>კრ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები | XIII | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 7-34 |
| 7 | უჩა ოქროპირიძე | კიდევ ერთხელ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკ-რულებების შესახებ;<br><br>საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია | №1 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე-მიის სტამბა, თბი-ლისი, რუსთავე-ლის გამზ. 52 | 161-171 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | უჩა ოქროპირიძე | ისტორიული დოკუმენტი და ისტორიული მომენტი;<br><br>კრ.: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ | №20 | თბილისი, გამომც. „უნივერსალი“ | 447-455 |
| 9 | უჩა ოქროპირიძე | ქვევრის წარწერის საიდუმლო...<br><br>კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი„ (საერთაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასა-ლები) | IX | თბილისი, გამომც. „უნივერსალი“ | 297-304 |
| 10 | უჩა ოქროპირიძე | კიდევ ერთხელ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებ ის შესახებ;<br><br>საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის | II | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, რუსთაველის გამზ. 52 | 171-180 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | აჭარის ა. რ. რეგიონალური ცენტრი, შრომები | | | |
| 11 | უჩა ოქროპირიძე | ბათუმისათვის ბრძოლა და მისი ასახვა ქობულეთურ თქმულება-გადმოცემებში;<br><br>კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედრო-ვეობა„ (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასა-ლები) | VIII | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 263-269 |
| 12 | უჩა ოქროპირიძე | ლაზურად „ჭანნი“ ნიშნავს „ციურნი...“<br><br>ჟურნ. „ჭოროხი“ | № 4 | ბათუმი, გამომცემელი ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი, ჟურნ. დაიბეჭდა სტამბა „კოლორში“ | 79-86 |
| 13 | უჩა ოქროპირიძე | ხულოს მუნიციპალიტეტი 1921-1991 წლებში | XIII | ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო | 35-76 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | კრ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები | | უნივერსიტეტი“ | |
| 14 | უჩა ოქროპირიძე | კიდევ ერთხელ თურქი მესხების პრობლემის შესახებ;<br><br>კრ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ | II (VII) | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 53-73 |
| 15 | უჩა ოქროპირიძე | მაჭახლის ხეობაში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში<br><br>კრ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ | II (VII) | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 191-213 |
| 16 | უჩა ოქროპირიძე | კიდევ ერთხელ თურქი მესხების | №30 | საერთაშორისო ინტერნეტ- | 14 გვ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | პრობლემის შესახებ;<br><br>ჟურნ. „ამირანი“, კავკასიოლო-გიის საერთა-შორისო სამეც-ნიერო-კვლევი-თი საზოგადო-ებრივი ინსტი-ტუტის მოამბე | | ჟურნალი, თბილისი, ინტერნეტ-მისამართი: http://www.caucasology.com/amirani.php?cat=30&page=2 | |
| 17 | ოთარ თურმანიძე | დიმიტრი ბაქ-რაძე და საად-გილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში<br><br>საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული ცენტრის შრომები | II | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, რუსთაველის გამზ. 52 | 150-158 |
| 18 | ოთარ თურმანიძე, ნუგზარ ზოსიძე, | რუსეთის იმპერიის აგრარული პოლიტიკა აჭარა | II | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, | 143-147 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ნადიმ ვარშანიძე | 1880-1900 წლებში<br><br>საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული ცენტრის შრომები | | თბილისი, რუსთაველის გამზ. 52 | |
| 19 | ოთარ თურმანიძე | აგრარული სექტორის კადრების რეპრესიები აჭარაში 1937-1938 წლებში<br><br>კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) | II | თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ | 3-36 |
| 20 | ოთარ თურმანიძე | ბათუმის ბოტა-ნიკური ბაღის ისტორიიდან (1912-1940)<br><br>კრ.: „ბათუმი – წარსული და | VIII | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 152-170 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | თანამედრო-ვეობა„ (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასა-ლები), | | | |
| 21 | ოთარ თურმანიძე | აჭარის ინტელი-გენციის რეპრესიები<br><br>კრ.: „არქივის კვალდაკვალ - ბათუმი“ (სპეციალური საარქივო გამოცემა) | | თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა არქივი | 146-169 |
| 22 | ოთარ თურმანიძე | სამეურნეო-სა-წარმოო კად-რების, კულა-კების და სხვა „არასასურველი“ ადამიანების რეპრესიები<br><br>კრ.: „არქივის კვალდაკვალ - ბათუმი“ (სპეციალური საარქივო გამოცემა) | | თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა არქივი | 170-201 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | ოთარ თურმანიძე | ხულოს მუნიცი-პალიტეტის სამეურნეო-ეკონომიკური დახასიათება 1921-1990 წლებში<br><br>კრ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები | XIII | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 77-111 |
| 24 | ოთარ თურმანიძე | სახალხო მღელვარებები და ანტისაბჭო-თა გამოსვლები XX საუკუნის 20-იან წლების პირველ ნახევარში<br><br>კრ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ | II (VII) | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 30-52 |
| 25 | მაია ჭიჭილეი-შვილი | ბათუმის ბულვარი | | ბათუმი, „ხელოვნების უნივერსიტეტის | 71-78 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საერთაშორისო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ მასალები | | გამომცემლობა“ | |
| 26 | მაია ჭიჭილეი-შვილი | ხულოს მუნიცი-პალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა<br><br>კრ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები | XIII | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 117-139 |
| 27 | მაია ჭიჭილეი-შვილი | ბათუმის ბულვარი - ტრადიცია და თანამედროვეო-ბა<br><br>კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედრო-ვეობა„ (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასა-ლები), | VIII | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 402-410 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28 | მაია ჭიჭილეი-შვილი | ქრისტიანულ ლიტურგიასთან დაკავშირებული „წმინდა ჭურჭელი“ აჭა-რის მაღალმთი-ანეთიდან<br><br>კრ.: ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები | VII | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 52-62 |
| 29 | ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტ: ისტ. დოქტ. ნანა ხახუტა-იშვილი) | ეროვნული ცნობიერება შავშეთში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე<br><br>კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი„ (საერთაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასა-ლები) | IX | ბათუმი, გამომცემლობა: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 511-519 |
| 30 | ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტ: ისტ.დოქტ. ხათუნა | სახალხო ზეიმად ქცეული იუბილე<br><br>კრ.: საქართველოს | №2 | თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა | 146-155 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
